ლიტერატურული გაზეთი

№11 (267) 5 - 18 ივნისი 2020 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევობით ფასი 80 თეთრი

ლია სტურუა

* * *

პირველად მაშინ დავიბადე, როცა დავიბადე,
მეორედ — ქალაქიდან რომ გავედი
და თავისუფალი ბალახი ვნახე,
იქვე წარმოვიდგინე რძე,
არა ქვაბში ადუღებული, სადაც
ბავშვები და მოხუცები სხედან,
პური ჩააფშვნეს და იქვე დარჩნენ...
სხვა რძეზე ვამბობ, რომელიც
დაიღვრება და ყელს გაიკეთებს.
ამ სილამაზისგან, შეიძლება, მოკვდე,
რამდენჯერ, დაბადებების გათვალისწინებით?
ერთხელ მეტაფორის ძეგლს დაგიდგამენ,
ჰიპერბოლებს მოსთხოვ, მერე
მათი ჯამისგან შემდგარ პათოსს,
მერე მინდორში გახვალ,
თავისუფალ ბალახს დაინახავ
და მიხვდები, რომ ჯაჭვი: ბალახი — ძროხა — რძე
ოქროსი არაა, ჟანგიანი ლურსმნები კი
არ გაკლია ტვინში...
სანამ რძეს ბავშვები და მოხუცები
მოუსხდებიან, შენი წილი დაღვარე
და ყელს რომ გაიკეთებს,
აქვე გაიტრუნე, ამ სილამაზეში...

IV-V

ოლგა ტოკარჩუკი

იენთას ამბავი

თანამედროვე პოლონელი მწერლის, 2018 წლის ლიტერატურული ნობელის პრემიის, ბუკერისა და კიდევ მრავალი სხვადასხვა პრემიის ლაურეატის, ოლგა ტოკარჩუკის, მონუმენტალურ რომანში „წიგნები იაკობისა“ (2014) მოქმედება XVIII საუკუნის მეორე ნახევრის პოლონეთში ვითარდება. ქვეყანას მძიმე ხანა უდგას. მოსახლეობა გამუდმებული ომების, თავდასხმის, ძარცვის რეჟიმში ცხოვრობს და სიღატაკის ზღვარზე იმყოფება. ამ დროს პოდოლეში ჩადის ახალგაზრდა ქარიზმატული ებრაელი იაკობ ფრანკი. შორეული სმირნადან მოსული იდუმალებით მოცული უცხოელის ქადაგება ებრაულ სამყაროს ორ ნაწილად ყოფს. ერთი ნაწილისთვის ის საშიში ერეტიკოსია, მეორესთვის კი მხსნელი — მესია, რომლის მიმდევრების რიცხვი დღითი დღე მატულობს. იბადება უცნაური დოქტრინა — ფრანკიზმი, რომელიც სულ მალე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ევროპის ისტორიაზე.

ეს 900-გვერდიანი რომანი, რომელიც შვიდი წიგნისგან შედგება, მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ მოახერხა იაკობ ფრანკმა მეთვრამეტე საუკუნის ევროპის მრავალფეროვან სოციალურ, კულტურულ და რელიგიურ შრეებში შეჭრა და იქ ესოდენ მრავალრიცხოვანი მიმდევრისა და მფარველის გაჩენა; წარმოუდგენლად მოკლე დროში მასების აზროვნების, რწმენისადმი მათი საუკუნეობრივი დამოკიდებულების შეცვლა და სიღარიბეში, ცრემლსა და ტკივილში ჩამხრჩვალ ებრაელთა ნაწილისთვის უპირობო მხსნელად და იმედად მოვლინება. თანამოაზრეებთან ერთად ის სწორედ მაშინ ჩნდება, როცა ადამიანებს გადასარჩენად ჰაერივით სჭირდებათ სოციალური უსამართლობით გამოწვეული მათი უღირსი ყოფის ტრანსცენდენტური გამართლება, იმაში დარწმუნება, რომ ეს მძიმე ხვედრი შემოქმედის ამოუცნობი გეგმის ნაწილია. ამიტომაც არის, რომ ისინი ბრმად დაჰყვებიან მათ მიერვე გამოგონილ მესიას დრამატულ და სახიფათო მოგზაურობაში სულიერების, პიროვნული და პოლიტიკური დამოუკიდებლობის საძიებლად და მოსაპოვებლად. მხოლოდ ასე თუ იქნება შესაძლებელი ებრაელი ერის დახსნა მათთვის მარადიულად თანმდევი განსაცდელისგან.

იაკობ ფრანკის ოლგა ტოკარჩუკისეული ბიოგრაფია არა მარტო სამ რელიგიაში — ქრისტიანობაში, იუდეიზმსა და ისლამში — არსებული ღირებულებების ერთმანეთთან დაკავშირების საინტერესო მცდელობაა, ის ამასთანავე არის მტკივნეული ტრაქტატი იმის შესახებ, თუ რის ფასად მოიპოვებოდა მსოფლმხედველობისა და რწმენის თავისუფლება მეთვრამეტე საუკუნეში.

ასეთ საჩუქარს უმზადებს ქართველ მკითხველს გამომცემლობა „ინტელექტი“.

გთავაზობთ მცირე ამონარიდს ოლგა ტოკარჩუკის რომანიდან „წიგნები იაკობისა“.

XIV-XV

*

— გამარჯობა, ბინას აქირავებთ? განცხადება ვნახე.

— დიახ, რამდენმა ადამიანმა უნდა იცხოვროს?

— მე უნდა ვიცხოვრო, ერთმა.

— პირველი და ბოლო თვის წინასწარ რომ უნდა გადაიხადოთ, ხომ იცით?

— კი, არ იქნება პრობლემა.

— რამდენი ხნით გნებავთ?

— ჯერ ერთი წლით და მერე ვნახოთ...

სხვის სახლს შენი ტანსაცმლითა და წიგნებით კი გამოავსებ, მაგრამ თამამად ვერ დახვრეტ კედლებს ნახატების ან პოსტერების დასაკიდებლად. თუმცა ეს დიდად არაფერს ცვლის. სამაგიეროდ, იცვლება ხედი სამზარეულოს ფანჯრიდან, იცვლება კაფელის ფერი აბაზანაში. დღის ბოლოს მრგვალ, ძველთბილისურ ეზოში გაჭიმულ თოკზე შარვლები და ტრუსები სხვა, უცნობი შარვლებისა და ტრუსების მახლობლად მიირწევიან. მოცუცქნული სილამაზის სალონი ადგილობრივ სამეზობლოს ძლივს აუდის და ეზოს ერთადერთ ხეს მეძუძური დედასავით ასკდება გასიებული კვირტები.

ნანამ, სახლის მეპატრონემ, ერთხელ ბინის ჩვენებისას და მეორედ გასაღების მოცემისას, იმდენი რამის მოყოლა მოასწრო, ახლა ვზივარ გაუთხოვარი მამიდამისის ნაჩუქარი ბინის მისაღებში ლურჯ დივანზე და ვფიქრობ, როგორ წაეშველება ორი წლის წინ უმუშევრად დარჩენილ ნანასა და პენსიონერ დედამისს გაქირავებული ბინის ქირა. თურმე ჩემამდე ამ ბინაში ლიტველი შუახნის კაცი ცხოვრობდა ქართველ ცოლთან ერთად. თბილისში სამოგზაუროდ ჩამოსულა, თავისი მომავალი მეუღლე გაუცნია, დაბრუნებულა ვილნიუსში და ინტერნეტით გაუგრძელებიათ კომუნიკაცია. ამ მიწერ-მოწერაში ისე გადარეულან ერთმანეთზე, რომ სამ თვეში ეს კაცი ისევ ჩამოსულა, მოუკიდია ხელი ამ 37 წლის ქალისთვის და ლიტვაში წაუყვანია. მერე კი საქართველოში ჩამოსვლა გადაუწყვეტიათ და სწორედ ამ ბინაში უცხოვრიათ ხუთ წელიწადს. შვილიც გასჩენიათ და ჯონი დაურქმევიათ ბავშვის ქართველი ბაბუის პატივსაცემად. ოდნავ წამოზრდილ ჯონის კედლებზე პასტელებით ხატვა შეყვარებია. მისაღები ოთახის ცენტრალურ კედელს სამახსოვროდ შემოუნახავს მისი აბსტრაქტული არტი. მე მაინც მერიდება სხვისი კედლების ხელყოფა და სახლიდან წამოღებული დიდი ტილო — ჩემი მამიდაშვილის დახატული გაფარჩხული ხელები — დივანის გვერდით მაქვს მიყუდებული.

ეს ოჯახი რომ წავიდა, ნანამ მთელი წლის განმავლობაში ვეღარ გააქირავა ბინა. იმ არასამთავრობო ორგანიზაციამ, სადაც მუშაობდა, პროფილი შეიცვალა, ნანას ეკონომიკური ანალიტიკის არაფერი გაეგებოდა და უმუშევარი დარჩა. ვალები დაგროვებიათ. მოკლედ, სიხარულით გადმომაბარა თავისი ბინა.

ბოლო დროს, რაც მარტო ყოფნა შემიყვარდა, არყის წრუპვას შევეჩვიე. ოღონდ ისე ვერ ვსვამ — ალუბლის ან ბროწეულის წვენში ვურევ. ახლაც ვზივარ ამ ლურჯ დივანზე, მაღალ გამჭვირვალე ჭიქაში შინაური კოქტეილი მისხია და ვფიქრობ, როგორ მოუყვებოდა ნანა დედამისს თავიანთ ახალ მდგმურზე; როგორ ეტყოდა, დედისერთა გოგოა, მარტო ცხოვრება უნდოდა და იმიტომ იქირავა ბინაო და როგორ უპასუხებდა დედამისი — გულაობს, ალბათ, თორემ მშობლებთან ცხოვრებას რა ჯობს, რას დააკლებდნენ ერთადერთ შვილს, პატივისცემით თუ შეაწუხებდნენო.

*

სიმართლე გითხრათ, მედიცინა არასდროს მაინტერესებდა. ყოველთვის მეგონა, რომ შეიძლება გამოხვიდე ბიბლიოთეკარი ან თუნდაც თმის სტილისტი, მაგრამ არა სტომატოლოგი. იმიტომ, რომ ღრძილებისა და კარიესების კვლევას წიგნების კვლევა ან, ჯანდაბას, თმის სტრუქტურის კვლევა სჯობს მილიონჯერ. მაგრამ ისე არ გაიგოთ, რომ ექიმებს პატივს არ ვცემ, პირიქით, მგონია, რომ მათზე უფრო მნიშვნელოვან და დასაფასებელ საქმეს არავინ ემსახურება დედამიწის ზურგზე. უბრალოდ, მე ვერასდროს ვიქნებოდი ექიმი.

ამიტომ თვითონაც არ ვიცი, რატომ მომინდა, სამედიცინო გადაცემის პროექტი დამეწერა. სულ სხვა მიმართულების გადაცემაზე ვმუშაობდი და ისე ვცადე — თუ გამოვიდოდა, გამოსულიყო. ასე ამოვყავი თავი ავადმყოფობების ისტორიებში. სიუჟეტებისთვის, რომლებსაც ამ თემებზე ვამზადებთ, ვირჩევთ გმირებს, მათ, ვინც ჯანმრთელობის რთული პრობლემა დაძლიეს, და მთლიანად ვაცოცხლებთ ამბავს — სიმპტომებიდან, დიაგნოზის დასმიდან და პირველი რეაქციიდან დაწყებული, ხანგრძლივი მკურნალობითა და ცხოვრების ახალი შანსის გააზრებით დამთავრებული.

თავიდან უფრო ემოციური მომეჩვენა. პირველი რესპონდენტი თავის ამბავს რომ მიყვებოდა, მისი სახის კონტურებს და მიმიკას ცრემლები მიბუნდოვნებდა. მერე მივეჩვიე. ეს საქმეც, ისევე, როგორც ყველა სხვა საქმე ტელევიზიაში, იქცა ერთგვარ ხელობად, პროფესიულ ჩვევად, რომელსაც დრო კი დიდი უნდა, მაგრამ არ სჭირდება განსაკუთრებული ფორიაქი.

*

ჩემი ცალკე გადმობარგებით გულდათუთქული დედაჩემი ჩვეულებრივზე უფრო ხშირად მირეკავს დღის განმავლობაში. თერთმეტი წელია, ვმუშაობ და ამ თერთმეტი წლის განმავლობაში დღე არ მახსოვს, სადღაც 5 საათისკენ არ დაერეკოს და არ ეკითხოს: „სამსახურში ხარ, დედა?“ „კი, დედა“ — ვპასუხობ. „რატომ? ვერ მორჩი ჯერ?“ „არა, მოვრჩი და მისწორდება სამსახურში ჯდომა, დედა.“ სწყინს და თიშავს. ისე ვცოფდები, მინდა, გადავურეკო და ერთხელ და სამუდამოდ გავაგებინო, რომ ჩემი სამსახური ხუთ საათზე არ მთავრდება. როგორც წესი, არც შვიდზე და თუ სასწაული მოხდა და დამთავრდა, ჩანთას ვიღებ და გამოვდივარ, იმიტომ, რომ სამსახურის გარდა სხვა რამეებითაც ვკაიფობ ცხოვრებაში.

ახლაც მირეკავს და არკვევს, საჭმელი თუ მაქვს რამე, თეთრებს ხომ ცალკე ვყრი სარეცხის მანქანაში, ხომ არ გამოვყრუვდი მარტო. მერე მიყვება, რომ მამაჩემს სეზონურმა ალერგიამ შეახსენა თავი; რომ გუშინ ღრმა თეფშები მიუტანა „გორგიადან,“ მშვენივრად აურჩევია, ლურჯები. სინამდვილეში ამ ინფორმაციას მიცვლის გაფაციცებაზე, ან გულიან სიცილზე, რომელიც მიანიშნებს, როგორ მომენატრა მამაჩემი.

არა, არ მომნატრებია და თუ შეიძლება, თავი დამანებე. ამას ჩემთვის ვამბობ, გულში, და ყოველ ღამე, ძილის წინ გულშივე ვაწარმოებ დედაჩემთან დიალოგს, რომელიც კამათში და, არცთუ იშვიათად, სკანდალში გადადის.

— აღარავინ გინდა და იმიტომ გადახვედი მარტო, — ამბობს ის.

— თუნდაც ეგრე იყოს, არ მაქვს ისე ყოფნის უფლება, როგორც მინდა?

— ესაა შენი ცხოვრება?!

— ბოდიში, რომ ჩემი ცხოვრება შენსას არ ჰგავს. ან რა ნიშნით გგონია, რომ უკეთესად ცხოვრობ?!

ამ დიალოგს შედეგად არასდროს მოჰყოლია არც გამოსავალი, არც თანხმობა. უბრალოდ, ეს კითხვები უნდა გაჟღერდეს. თითოეულმა საკუთარი პოზიცია უნდა დაიცვას. მე ვიცი, რას გრძნობენ ადამიანები, რომლებიც კარგად ყოფნისთვის იბრძვიან, მაგრამ არ ვიცი, რას გრძნობენ დედები უმადური შვილების გამო. იმიტომ, რომ არ მინდა, გადავიხადო მადლობა და მოვიხადო ბოდიში იმისთვის, რომ მე ასე მინდა და არა სხვანაირად.

— საერთოდ გიყვარს ვინმე?

— არა, არავინ.

— მერე ეგაა შენი უბედურება.

— და შენი ბედნიერება შენს ქმარშია, ნახე რამდენი დრო გამოგითავისუფლდა, მიუჯექი და დატკბი ამ ბედნიერებით, რით ვერ შეირგე?!

— შენზე კარგად მაინც ესმის ჩემი.

— აბა, არა. მით უმეტეს, ბოლო წლებში, რაც მე ხისთავიან შვილად ვიქეცი, განსაკუთრებით ბევრი გამოგიჩნდათ საერთო — დარდი იმაზე, სხვებს რა თვინიერი შვილები ჰყავთ და თქვენსას რა ჯანდაბა ეცა.

*

ერთი გოგოს სამედიცინო ისტორიას ვიღებდი დღეს და გუშინ. ეტლში ზის უკვე თერთმეტი წელია. სამეგრელოში დასასვენებლად წავიდა ბებიასთან, მდინარეზე ჩავიდნენ ბიძაშვილები, წყალში მაღალი ქვიდან გადახტა, ფეხი აუსრიალდა და ხერხემალი ისე დაუზიანდა, ხელს არავინ ჰკიდებდა, ნული პროცენტია გადარჩენის შანსიო. ბოლოს ერთმა ექიმმა გარისკა — დასაკარგი არაფერი იყო, შეიძლებოდა, მომხდარიყო სასწაული. იმის მერე თხუთმეტამდე ოპერაცია გადაიტანა და ახლა მეტ-ნაკლებად სრულფასოვანი ცხოვრება აქვს, მუშაობს კიდეც სახლიდან, თარგმნის. სპორტდარბაზში დადის. ერთადერთ პრობლემას არასაკმარისი პანდუსები უქმნის, რაც გადაადგილების ტრაექტორიას უზღუდავს და სოციალურ ინტეგრაციას ურთულებს. ძალიან მაგარი გოგოა, უჯანსაღესი ფსიქიკით. ისე მშვიდად მიყვება, დარტყმისას გონება არ დამიკარგავს, თოჯინასავით აქეთ-იქით მივარდებოდა თავიო, მგონია, საშინელებათა ფილმს ჰყვება და ლამის გამეცინოს. მონტაჟისას, თავიდან რომ ვუსმენ, ვრწმუნდები, ამასობაში მართლა კაი გვარიანად გავისქელე კანი და როგორ შემზარავ ამბავსაც უნდა ვისმენდე, სულ მახსოვს, კიდევ უარესებიც ხდება ცხოვრებაში. წინასწარ გულის გახეთქვა ვერაფრისგან დაგვაზღვევს. ჩვენ ვერ ვიცხოვრებთ იმაზე დაფეთებით, რომ ქვიდან უწყინარი, ლაღი ნახტომი შეიძლება, საბედისწერო აღმოჩნდეს. ჩვენი გული ვერ გაუძლებს წამდაუწუმ გაწურვას, თუ მას ბარიერები არ ამოვუშენეთ გარშემო, არ გადავაფარეთ ფილტრი და თუ გავჯიუტდით, რომ ბოლო წვეთამდე შევიგრძნოთ სხვისი ტანჯვა მაშინ, როცა არც ექიმები ვართ, არც ფსიქოლოგები. მხოლოდ ამბების თხრობა გვავალია, მაყურებლის ემოციის პროვოცირება, მისი თანაგრძნობის გამოწვევა, მისი ატირება. და ჩვენი პროფესიული ოსტატობაც იმაშია, რომ ნაკლებად გვეტკინოს სხვის ტკივილზე მოყოლისას.

*

ჩემი და დედაჩემის სატელეფონო დიალოგი ისევ საყვედურებით მთავრდება — აღარავინ მახსოვს, აღარავინ მინდა. ეს მგონია ცხოვრება. მადლობის მაგივრად ეს მიიღეს.

არ ვპასუხობ, ვემშვიდობები. ამ დღეებში მივალ და ერთხელ და სამუდამოდ მივახლი, რომ არ ვაპირებ მადლობის გადახდას, მეტიც, ბოდიშს ვითხოვ. მე არ ვიცოდი, თქვენ რა საიდუმლო მექანიზმი გქონდათ დაზავების, რითი მკურნალობდით ერთმანეთის მიმართ გაუცხოებას, მარტო ის ვიცი, რომ ღამღამობით მამაჩემის ღრიალი და შენი წივილი მაღვიძებდა და ხელისგულები მიოფლიანდებოდა შიშისგან. ვიზაფრებოდი იმ აზრისგან, რომ ყელში ამოგივიდოდა ქმრის სახლში არმოსვლები, სამი დღის არმოსულზე მისი უტიფარი, აგდებული „მაჭამე რამე,“ ტაფით გაუცხელებდი ჩახოხბილს და შეგუბებული სიმწრის ამოხეთქვისგან უჩვეულოდ გათამამებული, ტაფიანად შეათხლეშდი საჭმელს სახეში. ის ჯერ გაოგნებული შემოგხედავდა, მერე გეცემოდა, დაგახრჩობდა და ზიზღით გადაგაბიჯებდა გალურჯებულსა და დაჩაგრულს.

გაგიკვირდება, მაგრამ არ მომწონდა ღამით ფეთიანივით გაღვიძებები, იმიტომ, რომ თქვენ ხმადაბლა ვერასდროს ვერაფერს აგვარებდით, მხოლოდ ყვირილით და ამ ყვირილის სეანსების შემდეგ ხმადაბლა, ალბათ, ავადმყოფური სიყვარულით თუ კავდებოდით, იმიტომ, რომ თქვენი საძინებლიდან არასდროს გამოდიოდა სიყვარულის ხმა და მე მალევე ვიეჭვე, რომ თქვენ შორის სულაც არ იყო სიყვარული. ყოველ შემთხვევაში, ის არ იყო, რაც მე მომწონდა, რაც სულ სხვანაირად წარმომედგინა. აი, მოპასანთან რომ იყო, მაგალითად — ახალგაზრდა ქალი წყაროს წყალს პირში ჩაიგუბებს და საკუთარი პირიდან დაალევინებს საყვარელ კაცს.

შენ რომ ამ ფიქრებს მიკონტროლებდე, იფიქრებდი, რომ მძულხარ. ამიტომ, როცა ასე ბოროტად ვფიქრობ ხოლმე შენზე, ვნატრობ, არ დამირეკო. ერთხელაც იქნება, მიხვდები, რომ კი არ მძულხარ, მეცოდები და ყველაზე მეტად ეს გრძნობა არ მინდა, შენთან მაკავშირებდეს.

სინამდვილეში თვითონ ვარ ცოდო იმის გამო, რომ ჩემს უცნაურ მეხსიერებას არ დაჰყვა შერჩევითობის ფილტრი და დავიწყების უნარი. და, შესაბამისად, მოკლებული აღმოვჩნდი იმედს, რომ ოდესმე ეს ყველაფერი გაფერმკრთალდება. ჩამოიშლება ევროპული კრიზისის მენეჯმენტის მითივით.

მე მინდოდა, გემოგზაურა, ლამაზი ნივთები გქონოდა. მინდოდა, თბილისის უნივერმაღში მუზეუმის ექსპონატებივით კი არ გვეთვალიერებინა კაბები და ჩამოსასხმელი ფრანგული სუნამოები, ხელი დაგედო ნებისმიერისთვის და წამოგვეღო სახლში. იცი, ჩემი აზრით, შენ ძალიან, აი, რაღაც სასწაულად მოგიხდებოდა იისფერი, მოგიხდებოდა ახლადშემოსული სუნამოები, მაგალითად, ვარდისფერი „ლანკომი“ და შენაძენი ისეთ კარგ გუნებაზე დაგაყენებდა, სიცილ-კისკისით დახვდებოდი შენს მოღალატე ქმარს და ის მიხვდებოდა, რომ შენ ყველაზე ლამაზი და მხიარული ქალი ხარ და შეეშვებოდა სხვების ლოგინებში კოტრიალს.

ამას არასდროს გეტყვი. ამის მაგივრად მომინდება, რაღაც ისეთი მტკივნეული წამოგაძახო, ისეთი ცუდი, რომ ენა ჩაგივარდეს და თავის მართლების მაგივრად უხერხულად წაეთამაშო დივანის ნაქსოვ გადასაფარებელს.

*

ისე დავგეგმეთ, რომ სიუჟეტში მხოლოდ სანახევროდ მოვყევით ამბავს. ცხოვრების ახალ ეტაპზე, პრაქტიკულად დაძლეულ დაავადებაზე, პაციენტს თავად

უნდა გაეგრძელებინა თხრობა სტუდიაში. ჩაწერის დილას დამირეკეს, თამთა ღამით ძალიან დამძიმდა, ინსულტის ნიშნები ჰქონდა და საავადმყოფოში გადაიყვანესო. ისე გავბრაზდი, ჩემი თავის შემეშინდა. საპირფარეშოში შევედი და ბოლო თვეების განმავლობაში პირველად ვიტირე. არ ვიცოდი, კონკრეტულად რა მატირებდა, ალბათ, ყველაფერი ერთად — 23 წლის გოგო, რომელსაც მოულოდნელად სახსრები ასტკივდა და თავის ტვინის სიმსივნე აღმოაჩნდა; ის, რომ დაგეგმილი გადაცემის ჩაწერა ჩაიშალა; რომ ორმოცამდე ადამიანისთვის უნდა ჩამომერეკა, ამეხსნა, გაუთვალისწინებელი რაღაც მოხდა; სასწრაფოდ დამეწყო ახალი სიუჟეტის გადაღება, ახალი სტუმრის შეთანხმება. რა საზიზღარი დღე გამოვიდა.

არადა, ზოგჯერ ყველაფერი იმაზე იოლი გვგონია, ვიდრე ჩვეულებრივ დღეებში. ამას მაშინ მივხვდი, პირველად რომ გავსინჯე მოსაწევი შარმ-ელ შეიხში. ის მოსაწევი ანიმ, ჩემმა ბავშვობის მეგობარმა, მოიპოვა მასზე ერთი ნახვით შეყვარებული სასტუმროს დამლაგებელი ბიჭისგან ლოყაზე კოცნის სანაცვლოდ.

მაგრამ გამოფხიზლებას უპირობოდ მოაქვს რეალობისთვის თვალის გასწორების სევდა. იქამდე გგონია, რომ, აი, ეცემი და, მაგალითად, წიგნს დაწერ. მაგრამ არ იწერება რომანები ერთ ან ორ საათში, თუნდაც ის გაბრუებული საათები საუკუნეს წააგავდეს გამლღვალი უსასრულობის განცდით.

იღლიების გაპარსვასავით არ უხდება ტომ უეიტსის მოსმენას მოწმე.

მაგრამ, იცით, ჩვენ მაშინვე გვეშველება, როგორც კი ფუჭი მოლოდინებისგან დავიწმინდებით. ტაქსის მძღოლისთვის მინდოდა, ეს მეთქვა და დამეზარა. შემომჩიოდა, ისე უღიმღამოდ ჩაიარა ახალმა წელმა, ვერც გავიგეო. მინდოდა, მეთქვა, რა სამწუხაროა, რომ აწი სულ ასე იქნება-მეთქი. ცხოვრებაში ორი ვერსიაა: იქამდე, სანამ რაღაც კონკრეტულს ვიგრძნობთ და მეორე — ახალი ეტაპი — უკვე ნაგრძნობით.

*

— მაგრამ შენ ხომ გაქვს შენი ოთახი?

— ოთახი, რომელსაც კედლები არ აქვს?

— შენ არ შეაღებინე ის კედლები თეთრად? ნახატები რომ დაგეკიდა...

— იმ ოთახს კედლები აღარ აქვს.

ახლა უნდა ამბობდე, რომ ფსიქოლოგი მჭირდება და თუ მინდა, სთხოვ ლილი დეიდას, თავის მულისშვილთან ჩამწეროს, ძალიან მაგარ ფსიქოლოგთან. მაგრამ შენ მიყურებ უნუგეშო და ამ უნუგეშობის უტიფარი დემონსტრირებისთვის სასჯელის უმაღლეს ზომას დაგაკისრებდი.

მე არ მაქვს სახლი.

სახლი ის არის, სადაც უნდა გეცნენ და ხასიათი გამოგიკეთონ, მე კი ის მინდა, ჩემს საშინელ ხასიათს შემატოვონ და ეფოფინონ იმას, ვინც ამას ელის და მადლიერებისგან გულსაც კი აიჩუყებს.

შენ მთავაზობ სახლს, რომელიც ჩემი სახლი არ არის. შენ მთავაზობ დახმარებას, რომლის გარეშეც ნაკლებ უხერხულობას ვგრძობ. გულს, რომელიც ყველანაირ წონასწორობას მირღვევს თავისი ასინქრონულობით.

რა ცუდია, რომ ასე გამოვიდა.

არადა, ისე მინდოდა, შენი იმედი მქონოდა და ასეც იყო დიდხანს, სანამ ერთ დღეს არ გაცხადდა, რომ რაც ნაკლებად შეგეჩვევი, მით უკეთესი იქნება ჩემთვის. იმიტომ, რომ სახლში შენი ნაბიჯები სულ უფრო და უფრო ემსგავსება ბებიაჩემ ზაირას ჩუსტების ჩლაჩუნს და წნევის წამლებისგან შეშუპებული შენი სახე სულ აღარ ჰგავს იმ ქალის სახეს, გამოძინების მეტი რომ არაფერი სჭირდებოდა, სახასიათო ან განსხვავებული კი არა, ლამაზი რომ ყოფილიყო. შენ არასდროს გენდომება ჩემი ტკივილი, მაგრამ ერთხელაც ადგები და მიმატოვებ. და მე ვეღარასდროს მოვირბენ შენთან განშორებისგან გულჩაწყვეტილი და კარშივე ვერ დაგიყვირებ: შენ მე მომიკვდი, დედა.

ვიდგები ზღურბლზე და ტირილამდე გამიჭირდება შენგან გაცლილ ოთახში შებიჯება, სადაც ტელევიზორი უიშვიათესი შავი ფლამინგოსავით შეაკვდა კედელს, შენი სერიალის მთავარმა გმირმა გოგომ დეტექტივი დაიქირავა და შეყვარებულს ხვალ-ზეგ კუთხეში მიიმწყვდევს. შენს კედლებზე შენს ნახატებს დაედება შენგან უკვე ვეღარგადაწმენდილი მტვერი და შენს ქაოტურ გარდერობში შენს მარცხენა წინდას კვლავაც არ ეცოდინება, სად წავიდა მისი მეორე ნახევარი, მარჯვენა.

და ეს ყველაფერი ძალიან დაემსგავსება შენს შურისძიებას.

ალბათ, იმის გამო, თხუთმეტი წლისამ რომ ვიკოცნავე ჩიტაძეზე, შუა ქუჩაში. საშინლად მრცხვენოდა და მერიდებოდა, მაგრამ ვახრჩობდი ამ სიმორცხვეს და ანგარიშს ვუსწორებდი შენს თვითკმაყოფილებას, გამოკვებილს იმით, რომ ერთადერთი შვილი ასე სწორად და შეუცდომლად აღზარდე. არადა, ერთი კეთილისმსურველის იმ ქუჩაზე ჩავლა უნდოდა ამ ამბავს და მთელი სამყარო, მამაჩემით დაწყებული, ბებიაჩემ ზაირათი გაგრძელებული და რა ვიცი, ვინ ოხერით დამთავრებული, თვითონ შენ მიგაყენებდა კედელთან შენი საშინელი სერიალის მთავარი გმირივით და მოგთხოვდა პასუხს იმისთვის, რომ „რაღაც გაგეპარა.“

ჰოდა, ისე, რომ არასდროს არაფერს შეიმჩნევ, ადგები და შურს იძიებ, ყველა შესაძლებლობისას რომ გწირავდი. თუ მაინც ვერ გამიმეტებ, შენს მაგივრად ზეციური ძალები დაირაზმებიან სამართლიანობის აღსადგენად და გადაწყდება: ახლა თავად იტიროს, კიდევ ოც წელიწადს შეეძლო, ჰყოლოდა დედა.

ცოტა მეტად რომ გაფრთხილებოდა.

მე არ გაგიბრაზდები, მაგრამ მაინც დამწყდება გული — თუ საქმეში შენც ერიე, გეთქვა, რომ არავითარი ცოტა მეტად გაფრთხილება მე არ ვიცი, არ შემიძლია. რომ ამ მცირედსაც გაუსაძლისი სიმწრით ვადნობ ჩემი თავისგან. გამიკვირდება, რატომ არ დამიცავი.

და როგორც ცნობილ სატელევიზიო შოუში გადანახული დახმარება, მეც მექნება ერთი ნუგეში — ავდგები და გავყიდი ამ სახლს. ამ ლამაზ სახლს. ამ ნათელ სახლს. შენს წიგნებიან და ავეჯიან სახლს. იქამდე კი უცებ, გულის აჩუყების გარეშე შევესევი შენს ტანსაცმელს, არაფერს დავუწყებ ლოლიავს, წამოვკრეფ დიდ ცელოფნებში და აქვე, ბუნკერთან დავალაგებ. ნახევარ საათში კი ფანჯრიდან გავიხედავ და დავინახავ, როგორ ალაგებს ოთხად მოკუზული გამჭვირვალე ბებო თავისი ხელისგულისხელა, ნაჭრის დაძონძილი საფულიდან შენს ნაცრისფერ საფულეში პატარა-პატარა ფურცლებს, სავარაუდოდ, წამლების სახელწოდებებს, და ხურდა ფულს. გვიან საღამოს კი, სამზარეულოს კარადიდან გამოთრეული ბოთლების, არაჟნის ქილებისა და კარაქის კოლოფების გადასაყრელად ჩასულს, არცერთი ცელოფანი აღარ დამხვდება და უცნაური მომეჩვენება ის ამბავი, რომ ჩაიდანს ვეღარ შემოდგამ გაზქურაზე, მაგრამ ვიღაცას საკუთარი გემოვნებით გამოუვსებ კარადას.

*

შენ ხომ მეკითხები ხოლმე, როგორ მოვიქცეოდი შენს ადგილზე და მე პასუხს არასდროს გცემ. ჰოდა, აი, გპასუხობ, რომ იმ დროიდან, როცა მივხვდი, რომ შენს ოჯახურ ცხოვრებას საერთო არაფერი ჰქონდა სიხარულთან და პროტესტი გამიჩნდა ზოგადად ოჯახის — როგორც რაღაცების თმენაზე და არშემჩნევაზე დაშენებული ერთობის მიმართ, იმასაც მივხვდი, რომ შენ არასდროს გეყოფოდა გამბედაობა. არც მრჩეველი გყავდა ვინმე, არც ნამდვილი გულშემატკივარი, რომელიც ამ შენს ცხოვრებას ისე კი არ შეხედავდა, როგორც სხვა, მეორე ადამიანის საჩოთირო საქმეს, შეძლებდა, რომ თავი შენს ადგილზე დაეყენებინა. აეხსნა, რომ მარტივი არაა, მაგრამ შესაძლებელია, შეცვალო ის, რაც გახრჩობს. რომ კი, ყოველთვის ტვირთია სხვებისთვის, უპირველესად კი ძალიან ახლობლებისთვის, ჩვენი რადიკალური გადაწყვეტილებები — შენს საკუთარ ცხოვრებასთან ერთად სხვების უდრტვინველ ყოფასაც რომ უცვლის კალაპოტს. აიძულებს მათ, შეგიმჩიონ, ფეხზე წამოგაყენონ და შენი პრობლემები და ტკივილები გაიზიარონ, სანამ თავიდან დაეჩვევი თანაბრად სუნთქვას. ამიტომ მათ ურჩევნიათ, თავი მოიკატუნონ, ვითომ არაფერი ხდება, ან თუ ხდება, შენგან ოსტატურად დამალულს ვერაფრით ამჩნევენ და სადღაც შენი სიძლიერის იმედიც აქვთ — ამასაც გაუძლებ.

მე რომ შენს ადგილზე ვყოფილიყავი, შეიძლება, მეც დავლოდებოდი, მოთმინება სადამდე გაქაჩავდა. ყოველ შემთხვევაში, მირჩევნია ასე მჯეროდეს. მინდა, იმისაც მჯეროდეს, რომ პერიოდულად წამოგივლიდა ხოლმე სურვილი, მამაჩემისთვის მოულოდნელ მომენტში საშინლად მტკივნეული ფორმით დაგესვა წერტილი. კი არ დაშორებოდი, მიგეტოვებინა, იმიტომ, რომ მან უღალატა შენს ოცნებებსა და წარმოდგენებს ბედნიერებაზე; შენს სურვილს და მცდელობას — ყველაზე მაგარი ოჯახი გქონოდა. და ამ წყენის დემონსტრაციულად საჩვენებლად, ჩამომდგარიყავი შუაბანდის სარკესთან და დაფიქრებულიყავი, როგორ გაგეხადა მისი ცხოვრებიდან შენი ამოხევა აუტანლად მტკივნეული. და მოგდომებოდა, მოსულიყო სახლში და დახვედროდა თქვენი დიდი საწოლი ერთი ბალიშით და ერთი საბნით; თაროზე — სურათების ჩარჩოები — ქორწილის ფოტოების გარეშე; შენი კარადა — ცარიელი, შემოსასვლელი — შენი ჭაობისფერი შლაპის გარეშე, საკიდზე მთელი ამ სევდის ფირუზისფერი სიმბოლოთი — შეყვარებულობისას მისი ნაჩუქარი შენი საყვარელი შარფით და მის ქვეშ ჩემი პირველი სანდლებით. ან თუნდაც ისე მომხდარიყო, რომ ბოლოს ამდგარიყავი და წასულიყავი. უბრალოდ, გაგეხურა კარი და მას დარჩენოდა მთელი თქვენი საერთო სამყარო შენს გარეშე. შენი შლაპით, წიგნებით, ბლოკნოტებით, ჩემი სათამაშოებით, თქვენი საერთო ფოტოებით, საძინებელში — ტილოს ფარდით, რომლის შავი ორნამენტები ღამღამობით კონტურულ რუკებს ემსგავსებოდნენ და წააგავდნენ ორიენტირებს, რომლებიც გეგონებოდა, რომ შენს საყვარელ საძინებელთან ერთად სამუდამოდ დაკარგე, როცა თქვი: მორჩა.

*

ყველა დარეკვაზე, როცა რაღაც სასაცილოს გიყვები და ერთად ვმხიარულობთ, შენ გგონია, მომბეზრდება ქირაში ფულის ყრა და დავბრუნდები, მაგრამ არა, არ დავბრუნდები. არის რაღაცები, რაც აღარ გადაკეთდება. ბებიაჩემი ზაირაც, ალბათ, ვეღარასდროს წავა მილანში და ვერ ნახავს ქუჩაში ლაღად მოსეირნე იტალიელ თანატოლებს, რომლებსაც ჩემი ბეჭდებაჩონჩხლილი ბებო არაფრით ჩამოუვარდება საკუთარი ქვეყნის უსულგულო საპენსიო სისტემის გარდა, თვის დასაწყისში პროდუქტების მოკრძალებული მარაგის გაკეთებას რომ აიძულებს.

არსებობს უსიტყვო შეთანხმებები. არსებობს უსიტყვო დასტური. მაგრამ არ იფიქრო, ყოველ დილით შიშით არ ვსვამდე კითხვას: დედა, როგორ ხართ?

ცხოვრება მეტისმეტად გრძელია იმისთვის, რომ ერთხელაც შვებით ამოვისუნთქოთ და გულზე მოგვეშვას.

ერთხელ მითხარი, რომ ჩემ გამო უთმინე მამაჩემს ამდენი. 13 წლის ვიყავი. ისეთი განცდა გამიჩნდა, რომ ყურთან დამიბოყინეს და მადლობას დაელოდნენ.

— სულ არ მყოლოდა მამა, მე გთხოვე? შენ ჩემთვის არ გიკითხავს.

ამ ასაკიდან ჩვეულებრივი ამბავი ხდება მშობლის კედელთან მიყენება. თან ერთხელ რომ იზამ, ჩათვალე, გახსნილდა.

— მე ვცადე. მე მინდოდა, ბედნიერი ყოფილიყავი.

— არ გამოგივიდა, ფაქტია.

მაგრამ იმ 13 წლის მერე ერთი იმდენი და კიდევ მეტი გავიდა. სიბერეც ერთი ხელის განვდენაზეა და ახლა დაბეჯითებით უზომავთ ერთმანეთს წნევას, უფრთხილდებით ჩემგან მოუფრთხილებელ ერთმანეთს და ნაღვლობთ, რომ მე ამ ყველაფრით გულის აჩუყების უნარი ჩამოვირეცხე.

შენ იმ დღეებს მისტირი, ტირილით, მაგრამ უყოყმანოდ რომ ვამბობდი: მე მიმატოვეს. მე მომატყუეს. მე შეცდომა დავუშვი.

განდობის სურვილს რომ ვამჟღავნებდი.

აზრად რომ არ მოგივიდოდათ, ბინას ვიქირავებდი და ცალკე გადავიდოდი.

მე ამას საზეიმოდ ვიტყვი. ნიშნისმოგებით. და შენი ყველა სიტყვა დაემსგავსება ჩაბნელებულ ოთახში ორიენტირების ხელების ფათურით მონიშვნას.

— ხალხი რას იტყვის, — ჩაებღაუჭები ბოლო, ცინიზმამდე უსუსურ იმედს, რომელიც ჰაერში საცოდავად გამოეკიდება და შეურთდება თითოეული ჩვენგანის უთვალავჯერ ჩაყლაპულ წყენას, ახლიდან დაწყების ჟინს და სევდიან თანხმობას იმაზე, რაც ასე სხვანაირად გვინდოდა, ყოფილიყო.

და შენ ინატრებ, რომ ვიყო ოდნავ უფრო თვალთმაქცი; რომ ეს აღმოჩნდეს მზაკვრული ხუმრობა ან თუნდაც ცხელ გულზე წამოსროლილი მხილება, რომელსაც ხუთ წუთში მაპატიებ.

*

ზოგჯერ მგონია, რომ ეს ის ქალაქი არაა, რომელსაც ასე შევეჩვიე. ის ქალაქი, მგონი, საერთოდ გადაიტანეს აქედან.

გადაცემის მაღალი რეიტინგი მახარებს. სამსახური სულ მინდა, მქონდეს, მაგრამ არ მქონდეს სახლი, რომელსაც ლოკოკინასავით მიეზრდება ჩემი შვილი, თუ ოდესმე გავაჩენ. იმიტომ, რომ არ მინდა შვილი, რომელიც უნდა შემომეტმასნოს ხვიარასავით და ვკვებო იმედით.

მომავალზე ფიქრი წამდაუწუმ მახსენებს თავს. სხვანაირად როგორ იქნება, მე ხომ უშენობას ვსწავლობ, სანამ გუდა-ნაბადი აგიკრავს ჩემი ცხოვრებიდან და დავმსგავსებივარ ჯუჯა ჩიხუახუას, გული რომ ასკდება დაფეთებულს და მოჩვენებით წიოკს არ იშლის.

ავტობუსით არ ვმგზავრობ, მაგრამ სულ მინდა, ერთხელ ავიდე და ბილეთი არ ავიღო. მინდა, ვცადო — შეუმჩნევლად ჩავიძურწო ჩემს გაჩერებაზე, უკნიდან მომწვდეს დაკვირვებული კონტროლიორის ხმა: გოგონა, გოგონაა... მინდა, მსჯავრდებულივით გამომიჭიროს შუახნის ენერგიულმა დეიდამ, პირადობის მოწმობა გამომართვას და ხუთლარიანი ჯარიმა მომარჭოს, მე კი უხერხულად ვაცეცო თვალები აქეთ-იქით, ვითომ შემთხვევით დამაყუდეს აქ, ვითომ არაფერ შუაში ვარ.

მაინტერესებს, რას გრძნობენ უბილეთო მგზავრები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია სტურუა

* * *

რა კონსერვატორიები უნდა
ჩაიშენო ყურში, რომ
ეს ხმა არ მოგწვდეს —
აბრეშუმზე გასმული დაკვნეტილი ფრჩხილების,
უცხო და არამშობლიური,
განსხვავებით ასიმეტრიისგან
მშენებარე ლექსში, ან ტაძარში,
ალვის ხეებისგან ფეხებში...
ამას რომ ვეღარ დაინახავ
და საყრდენი წერტილების
ძებნას დაიწყებ, ე.ი.
გადახვედი პოეზიიდან გრამატიკაზე:
აქაც კარგია;
მოქმედებითი გვარის ზმნას
აუღლებ, როგორც დარბიხარ,
ყველაზე საჭირო სიტყვები
ისევ კაწრავენ ყელს,
ზედსართავი თუ არ მიაშველე
და გახუნებული ფეხსაცმელიდან
ის ადრინდელი წითელი ენა ამოვარდება
კაშკაშით გახსოვს...
დაკვნეტილ ფრჩხილებს აბრეშუმზე უსვამ,
კივის ქსოვილი, რომლის
აღმატებითი ხარისხი პირდაპირ ცაა!

* * *

ქსოვილის სახე რომ დაბურულია,
სარჩული პრიალა, ძილში —
ერთი ლოყა ცხელი, მეორე ცივი,
ამას ვინ აკეთებს?
ხელებში და ფეხებში რომ ჩიტები გყავს,
ანუ, ზამბარები როცა ვეღარ იგრიხებიან,
სიტყვებში გადააქვს
და რა დრეკადი ხდება სიტყვა!
რა მშვენიერი სემანტიკა!
მაგრამ რა მწარე, ერთი ტანი
მეორის გარეშე, ბგერების ანბანურობა
და არა კაკუნი ორ შუბლზე,
სწორედ ის რიტმი,
ლექსს რომ ჭირდება.
ისე, ულექსოდაც შეიძლება ცხოვრება,
მარტო პრიალა სარჩულის ხარჯზე,
სავსე ცხოვრება, მაძღარი, მშვიდი,
მერე ჩიტები?
ბეღურებიც რომ ყოფილიყვნენ,
გაფრინდებოდნენ, მაგრამ
ჩვეულებრივი ზმნები იყვნენ გრამატიკიდან
და უმოქმედობის დარდმა შეჭამა.

თბილისი. ბაზალეთის ქუჩა

მარტი. სახე მეხორკლება
ბალახის მოლოდინით
მოდი, ხელი გადაუსვი ამ მინდორს!
სიზმარში, მაინც, ხომ შეიძლება...
ერთ ამოჩემებულ ოთახში ვცხოვრობ,
დანარჩენი 100 კვ.მ. გზატკეცილია,
იქით რომ ფეხი გადამიცდეს,
მანქანა გადამივლის,
ან პოლიცია გამაჩერებს:
— ქუჩაში არ ფიქრობენ, ქუჩაში დადიან,
თუ, მაინცდამაინც, მოცეკვავე ნაბიჯით
და არა უკუღმა!
ერთ ამოჩემებულ ოთახში ვცხოვრობ,
ხელოვნურად შეზღუდულ სივრცეში
და ზღვა მენატრება, შუაზე გაჭრილი,
საიდანაც სილურჯის პროცენტი
ხომ, მაინც, მეკუთვნის?
კიდევ, ნახევარ რემბოს ვამატებ
სხვა ზღვიდან, რასაც
თანაბარმარცვლიანი სუნთქვა ჭირდება
(პატარა ლიტერატურული შეღავათი)
მე კი ქოშინი მეწყება.
მინდორი მოკვდა.
წითელ ბალახზე ალერგია მაქვს,
მეშინია, ამდენი პოეტური დავიდარაბის
მიუხედავად, საკუთარ სახლში
მანქანამ არ გადამიაროს...

რაკურსი

მზე იკბინება ძაღლივით,
ტკივილი რომ ძალიან არ შემეტყოს,
ტანზე სახე კი არ მადგას,
ფართე და მართალი,
არამედ პროფილი, თავისი
შეზღუდული ემოციებით.
ისეთი გადაულახავი დარდი მქონდა,
რომ დავთმე სახე, ავიღე პროფილი,
სიაშკარავეს მატყუარა რაკურსები შევუჩინე:
მაგ. სპილენძის მზე
ჩაისფრად ჩანდა,
დარდის შინაური ნაირსახეობა
სუბტროპიკულ ჰავაზე ხელებს ითბობდა,
წიგნში ყველაზე პესიმისტურ
ლექსს იპოვიდა და ლურჯ სანიშნს ჩადებდა
ცივი ლურჯი იყო, პროფილიც ასეთივე...
ჩემი ძველი სახე რომ აღედგინა,
მზე, რომელიც ჩაიში კი არ ჩანს,
ძაღლივით იკბინება,
შენც სახაზავი ამოგეღო თავიდან
და მანძილი ჩემს ორ თვალს შორის
შაკიკით გაგეზომა!
(მესამედან ღმერთი იხედება)...
ისიც ხომ შეგეძლო —
ჩემისთანა გარეკილის
ბრინჯაოში ჩამოსხმა,
მაგრამ უკვე აღარ იყავი...

ზღვა დაკეტილია

მტკივა. ცოფიანი ძაღლი
მყავს მუცელში, უნდა ამოვიღო,
ამოვიხიო, ამოვიგლიჯო
ეს წითელი ბაირაღი!
რევოლუცია?
სადღა შემიძლია. პირიქით, ვწერ
და ამ ძაღლის შუქი მინათებს,
ანუ ტკივილის...
სულ მის გარშემო არ ვცეკვავდი,
მთავარ წიგნთან მისასვლელად,
თუ ბოლოსთან, როგორც დედასთან?
— ზღვა მენატრება, ვეუბნები,
არ უკვირს, დგას და ცას აპრიალებს,
ფერით მეხმარება,
მაინც, მხატვრის ცოლი ვიყავი...
ზღვას კონვერტითაც ვერ გამომიგზავნის,
მარკიანი, ბეჭდიანი, საქმიანი კონვერტით,
რომელსაც მისამართი აწერია...
სწორედ ის მისამართი შეჭამეს,
თავის მელნიან-შტამპიანად,
მიწა, სადაც სახლის კოლოფი უნდა მქონოდა,
მიწა ფხვიერი და ტკბილი იყო,
კოლოფი მუყაოსი...
მთავარ წიგნამდე კიდევ რამდენი
წითელი კილომეტრი გასავლელი!
ამიტომ დავჯექი და ორ ძაღლს შორის
თხელი, რვეულივით წიგნი დავწერე,
რომელსაც დავარქვი: „ზღვა დაკეტილია“.

კორონა ვირუსი

ჩაგკეტეს სახლში. ასეთივე, შენისთანები
გენატრება: პირველი, მეორე, მეათე
და სხვ. ამ „და სხვასთან“ შეგიძლია
ზეპირი რომანიც გააბა,
მაგრამ სადაა თანმხლები სევდა?
ისრები, ტირეები
დარდისკენ იხრებიან, მერე
ქრესტომათიის შორეული მზისკენ:
სევდა მხატვრული, ოდნავ მანერული,
დარდი — რომ შეგამცივნებს
და ხორკლებს დაგაყრის,
ქრესტომათიას კრიალი გაუდის...
ერთი სიტყვაც უნდა შუაში,
მგონი, „თვითკმარობა“, მოულოდნელად
ღონიერი: არავითარი სისხლი ყელიდან,
ან სიმწრის ოფლი შუბლზე!
თვითკმარი თუ ხარ,
წრეხაზები უნდა შემოივლო გარშემო
და ცენტრი იყო, უფრო თვალსაჩინოდ,
ღერძი გლობუსის, კარუსელის
შენ ატრიალებ? ნარინჯისფერ აბრეშუმს
ივარცხნი თავზე, ამით ანათებ!
მაინც ჩაგაქრო
პატარა ჩინურმა აპოკალიფსმა!
მარტოობა მრგვალი ბეჭდით დაგიდასტურა.
— გენატრება ვინმე? მოკალი!
მკვდართან ლაპარაკი კილომეტრების
იქიდანაც შეიძლება.
რაც არ გამოგდის,
არც მეტაფორის გვერდზე გადადება.
სათვალე გაგიტყდა,
ფანჯრებს იკეთებ თვალებზე:
ერთში ფსიქიატრიული საავადმყოფო ჩანს,
მეორეში, ზოგჯერ, ღმერთი იხედება...

მზის ქვეშ დადიხარ

კითხულობ ბიბლიას,
ანუ დადიხარ მზის ქვეშ.
ზმნა და მზე იმდენია, თითქოს,
ზაფხულის ფანჯარაში იხედები...
(ტყუილი — მომდევნო პოეზიაში).
მზე, გულუბრყვილო, ემოციური წარმართი,
აშენებს და კლავს, ტვინი კი აქვს,
მაგრამ სამართალი?
ღმერთს არ სცალია,
საყოველთაო ჰარმონიაზე მუშაობს.
მთავარი საქმე გააკეთა,
ახლა გამრავლდნენ! სიყვარულით,
ინცესტებით, როგორც უნდათ!
მზე ყველაფერს მოავარაყებს,
ოქროს თავისი კანონები აქვს,
ტკივილს — თავისი. ამას რა უყონ?
და ისეთ ღმერთს წაყვებიან,
რომელსაც ტკივა, რომელსაც შეუძლია,
ბიბლიის დამწერს კეფაზე აკოცოს
და იქიდან გალაკტიონი,
ან ლორკა ამოუშვას,
შენც რომ სთხოვო: — ღმერთო, მიშველე!
იქვე იგრძნობ, რომ ტკივილზე
სულს გიბერავენ
და მზის ქვეშ დადიხარ...

ისტორიას ვუსმენ

ისე რომ ვხედავდე სიტყვებს,
როგორც მესმის, კარგი კალიგრაფი

ვიქნებოდი, დროს თუ ფეხი დავაჭირე,
იქნებ, ჟამთააღმწერელიც,
მაგრამ თვალში სინდისი მეტია,
ყურში — მუსიკა, ისტორიას ვუსმენ,
სადაც მეფე მეფეა — დოლები, საყვირები!
მათ ალქიმიას ოქროს ნაცვლად
თაფლი შეუძლია, თაფლზე ფუტკარს — გმირი,
მეფეები და გმირები — ქრონიკები,
პოეტები — აპოკრიფები,
მუქთი ლაჟვარდი, ესეც მესმის,
როცა სი ბემოლის წვეროზე ვდგავარ,
ან რად უნდათ ბიოგრაფია,
თუ ბროლ-ბადახშ-ლალიან ანტურაჟში
ქვას ტოვებენ, რომელსაც ესმის
ოღონდ, არა ისტერიკა —
ყვირილის წითელი სპირალები პირიდან.
ეს უკვე შენია...
ცნობისმოყვარეობა გააუქმე,
ყველა გამოცანის პასუხი წიგნის ბოლო გვერდზეა,
ასეთი სიმარტივე ხაოიან სიტკბოში გითრევს
სად ისტორია, სად ეს კამერული ბედნიერება?
ქვას რომ გესროდნენ,
რომელიც ერთი შუბლით იარაღი იყო,
მეორეში ტვინი ჰქონდა ჩატანებული,
სისხლთანაც შეეძლო შეთანხმება,
ავტორიც ყავდა. აი, სად იყო ჰარმონია!
და არა შენს უკანოდ ცხოვრებაში,
ყველა ტკივილზე სისხლით
რომ რეაგირებ, ყვირი და პირში
გამათბობლის სპირალები გეგრიხება,
რასაც ბიოგრაფიაში ვერ შეიტან,
მის „წადი-მოდის“ წაეკიდება,
ბიოგრაფიას მეფეები და გმირები საჭიროებენ,
ქრონიკებს, დოკუმენტურ ფილმებს,
პოეტები უფრო ხშირად იკარგებიან,
მეტაფორულად კვდებიან,
ლიტერატურის თეორიულად, ანუ უსაფლაოდ
პოეტები-აპოკრიფები...

იერი

თავს კი არ ვიკლავდი,
დავიღალე სახლში ჯდომით
და ფანჯრიდან გავედი,
ვინმეს რომ ეყვირა — გელოდებიო,
დავბრუნდებოდი, ცოტა შელახული,
მაგრამ კმაყოფილი, რომ
სევდიანი შვეული ხაზი გამომივიდა...
გახეთქილმა თავმა, კიდევ, შარავანდედი
იცის, მუსიკის ენაზე
ორკესტრი, დოლების და ტრომბონების
უპირატესობით,
ჩემს ხელობას სისხლის გემო აქვს,
სახით კი სათნოებას
და სიმშვიდეს ვტყუი,
რაც კედელს აკვდება,
თავისი გაბრტყელების ნიჭით,
ცოტა სიგიჟეც რომ დაამატონ,
იმ იერს დაიჭერენ, რომელიც დავრჩი,
რომლითაც შემიძლია ფანჯრიდან გასვლა
და დაბრუნება, ანუ ლექსი,
ლექსს კი სქოლიო არ უხდება,
ან სულ ყურში უნდა გქონდეს
და ქაღალდზე ნაკაწრს ტოვებდეს,
ან უნდა შეინახო,
მეხსიერებას რომ ქვესკნელი აქვს,
სადღაც იქ.

* * *

მარტო ტყე იყო დამნაშავე,
მეზობელს რომ მანქანა მოვპარე,
წითელ თმაზე შავი ხილაბანდი წავიკარი,
მზის სათვალე გავიკეთე და წავედი,
ხანდაზმულობა, მოსალოდნელი
ლეტალური ბოლოთი, სახლში დავტოვე,
ჩემს ანგელოზს, ზოგჯერ, ზურგს უკან
რომ მიდგას და სკამისხელაა,
გამოვეთხოვე და წავედი...
მანქანის ტარება არ ვიცოდი,
არც ის, როგორ მივედი ტყესთან,
მისმა პატრონმა, რა თქმა უნდა,
დანიშნულმა, თორემ ტყე თავისუფალია,
რომელიმე ხეზე მანქანით ასვლა შემომთავაზა,
შთაგონების გახურება
არ მეგონა, ასეთი სიტყვები თუ იცოდა,
დავუჯერე და თვითონ მას გადავუარე,
მაგრამ ისეთი რეალისტი იყო,
რა მოკლავდა!
მეც არც ერთი უნივთობის
კონფისკაცია არ მომისაჯეს,
მათ შორის, მონატრების
ოღონდ, ჩემთვის ჩუმად, სიზმარში,
სადაც კილომეტრები ბამბისაა,
ფეხები მეფლობა შიგ და ფრენას ვიწყებ.

ემზარ კვიტაიშვილი

სამადლოგელი

ლურჯი, მოქნილი, ასე გამძლე,
ძარღვები ჩემი, ვინაც მოწნა
თუკი როგორმე მოვიხელთე,
მისი ხელების მინდა კოცნა.

ქებათა ქებას ვერ ვპირდები,
ფერსავსეს, გადავუშლი სურათს,
სათქმელს ვედრებით მივახვედრებ,
არ მსურს ჩამთვალოს უმადურად.

სახელის ხარბი არ ვყოფილვარ,
ღარიბი კაცის მქონდა სარჩო;
მცირეოდენი მომცეს ძალა,
მის სადიდებლად გავისარჯო.

დრო — ჩვენი დამფუნგავი

შეანელა სექტემბერმა
კალიების კრინი...
საცოდავებს, წინ ორი თვე
უდევთ, გასაყინი.

მისრიალებს შემოდგომა —
გიშრად, ქარვად, ბროლად...
ბრუნავს ჟამი, წინ და უკან
იცის გადასროლა.

იავნანურს, ვისმენ ღრიტინს,
თითქოს ნექტარს ვსვამდე...
მომიწევს, ამ წუთისათვის,
დაცდა, გაისამდე.

როდის დამწიფდება ისევ
მაყვალი და ჟოლო...
თავბრუ მესხმის, თვალი რას და
რამდენს გავაყოლო?

ჯერ შრიალებს, გასაძარცვი,
ალვის ტანი, მწვანე...
ვერაფერი მომაბრუნებს,
მე თუ გავექანე.

* * *

რამდენ რამეზე დამიჩივლია,
ამასაც ვიტყვი ბარემ;
გაზაფხულთან და შემოდგომასთან
განშორებაზე მწარე —

არაფერია. ალუბლის რტოზე
წვიმის კანკალებს წვეთი...
თქვას იმან, ვისაც გამოუცდია
უფრო გულდასაწყვეტი.

ხატვა რომ შემძლებოდა

გამოუვლია შორი მანძილი...
ბუდის საშენი ჩხვაკების წიკვით,
გაბეზრებული, გადაქანცული,
შეისვენებდა ამ ტოტზე ჩხიკვი.

გამცოცხლებელი მიყვარს მთა-ბართა,
ბალახზე მოხტუნავე შაშვები...
გულსატკენია, წარსულს ჩაბარდა —
დრო აღტკინების და თავაშვების.

ვივიწყებ, ტანში ცივად რო მცრიდა,
მზე აჭერს, მიწის ზურგი გახურდა...
ვიცდი. მომესმას ზაფხულის ციდან
თაფლად მწვეთარი ხმა მოლაღურთა.

მოშვებულს, შვება მრგებია მისგან,
ქარი ფუმფულა ღრუბლებს მიმოშლის...
ბუმბულზე იწმენდს გასისხლულ ნისკარტს,
მტაცებლის ჭყივილს ვცნობ მიმინოში.

მეგულვის ხერხი, ბარე აბამდი,
ივარგებს ბევრი რამე აბრისად;
წინასწარ ვიცი, სად რას ჩავსვამდი,
ბოლოს კი შევარჩევდი, ზღაპრისას.

არავის გავდა

შემოდგომის შესაფერი
დღე და ავდარია,
მომენატრა კაი კაცი —
მიშა ქავთარია.

სიწითლე და თავის დახრა,
გაცინება მისი;
მომენატრა ზნე უებრო,
მეფის საკადრისი.

უთქვამს — ლაღად იყოს სული,
არც სხეული გვემო;
მახარებდა, ლექსის, ღვინის,
მან იცოდა გემო.

არ მოვყვები მიეთ-მოეთს,
რა რის სადარია;
ვერსად ვნახე სხვა, მეორე,
მიშა ქავთარია.

პილიგრიმის დღიურიდან

წლები, ნამათხოვრალი,
გამოვტყუე კრონოსს;
„ყველას პატრონს“ მეძახდნენ,
თავად უპატრონოს.

მაფუთფუთა, ბოლომდე,
სიღარიბის ფუთამ;
„მთავარია კაცობა“! —
ეს მახსოვდა მუდამ.

* * *

ხრჭიალი დაჟანგებულ ანჯამის —
ძვლების, სახსრების ტეხვა, ტკაცანი...
ამომძრობელი სულის, მტანჯავი,
ტკივილს ტკივილი გადავაწანი.

წყდებიან ისარს წამები, სწრაფი,
სილურჯე გადაიკრა ტუჩებმა...
ვფათურობ, ვერ მიპოვია აბი,
ამ დაწყევლილის გასაყუჩებლად.

სისხლისაც აღარ ჩხრიალებს ღელე,
საშინელია გაცვეთა ასე...
გახელებული, დავეყრდენ ხელებს,
ძლივს წამოვდექი, მეორე ცდაზე.

ღამე ვიწრო სენაკში

მიბჯენილი მაქვს საწოლზე თხემი,
ჭირს, ხერგილებში, გავლა, გაგნება...
დაისაკუთრეს სადგომი ჩემი —
ობობამ, შავმა, და ტარაკნებმა.

დავყურებ წიგნებს, მიმოყრილ ფურცლებს,
გაზეთებს, დამტვერილს და ნაგვიანს...
ზანტი, მოცლილი, რაღას არ ვუძლებ,
არ ვიცი, ყოფას, ამგვარს, რა ქვია.

ტრავმატოლოგიის კლინიკაში
კორიდორი

გული შემიფართხალდა,
თუმც არა ვარ ლაჩარი...
ეტლით გამოაგორეს —
კაცის გადანაჭარი.

დაეძგერა ტკივილი —
მენჯს, ნერვების კლავესინს,
ტანში შიში გამოჯდა —
წილხვედრის, იმავესი.

შენთებული სახმილი
ერთ კუნჭულში მიჯარდა;
ვაჩერებდი, მწუხარე —
სახეებს სახიჩართა.

რის მხნეობა, სიმაგრე,
რა ხანია, აგრე ვარ;
შენ აწყობა თქვი, თორემ —
იოლია დანგრევა.

* * *

არარა ჩამიდენია ლიქნით,
არასდროს გადავყოლილვარ ფასადს;
უმთავრესია, რაც მიდევს შიგნით,
ვთვლი თავის ქალას გრაალის თასად.

გათვლილი არი ყოველი მისხლით,
მომხედავს იგი, ვინც რო მწედ არი;
გულგამოვლილი, აავსებს სისხლი,
უანკარესი, ჩამომწვეთარი.

ვენა, სასტუმროს სახურავი

ფრენის სულ მეშინოდა, არადა სულ დავფრინავ. რა არ ვცადე: დალევა, მოწევა, დამამშვიდებელი, მაგრამ — არაფერმა მიშველა. სამინისტროდან გამიშვეს ორი კვირით კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე და უინტერესოდ წავედი. ყველას გვეზარებოდა წასვლა, არადა, ვალდებულება გვქონდა: ვენაში პრაქტიკა უნდა გაგვევლო. ყველას ცოლი, ქმარი, შვილი ჰყავდა მისახედი და ამიტომ მე, როგორც უცოლო, გამიშვეს. ბილეთებიც ქუთაისიდან ამიღეს, მაგრამ სასტუმროზე ვევაჭრე და ოთხვარსკვლავიანი გამოვტყუე. ვიღაცა ნინია მოდის შენთან ერთად პრაქტიკაზე და არ მოიწყენო — მითხრეს. გულში გავიფიქრე: ბიჭი მაინც ყოფილიყო, „ვიპაძელნიკებდით“-მეთქი. წინასწარ ვიცოდი, ნინია ზემო ალვანელი იქნებოდა, მსხვილი და თმიანი მკლავებით. შესვენებაზე, ალბათ, გაკეცილ ლობიანს ჭამს და ორშაბათ დილას „ჩემი ცოლის დაქალებზე“ ლაპარაკობს-მეთქი, ვფიქრობდი. გაფრენის დღეს რესურსების განყოფილებაში ჩავედი და მხიარულად ვიკითხე: აბა, ნინია რომელია-მეთქი? თვალებით ჩემს მიერ წარმოდგენილ გოგოს ვეძებდი, თან „დედუცი“ თანამშრომლების კითხვებს ვპასუხობდი. ნუ, ბევრი რომ არ გავახურო, ალბათ, თქვენც მიხვდით, რომ როგორც ჰოლივუდურ იაფფასიან ფილმებშია, ზუსტად ისე მოხდა და ნინია ძალიან კარგი და სასიამოვნო გოგო გამოდგა, „დაჟე“, გამისწორდა, ისეთი. დავემშვიდობე. ღამე მძღოლს უნდა გამოევლო და ქუთაისში წავეყვანეთ.

ოლეგამ პირველს მე გამომიარა. იმდენს ლაპარაკობდა, მივხვდი, მთელი გზა თავის ქალას ამხდიდა. ნინია ქუჩაში გველოდებოდა უზარმაზარი ჩემოდნით. ეს, მგონი, იქ დარჩენას აპირებსო — შეშინებულმა გამომხედა ოლეგამ. მანქანიდან გადავედი და ნინიას საქმრო თუ „ბოიფრენდი“, თუ რაც ჰქვია, ეგ გავიცანი. რაღაცნაირად დაძაბული ტიპი იყო, ვითომ ნერვიულობდა თუ თამაშობდა, ვერ გავიგე. ჩავსხედით მანქანაში და დანარჩენი უკვე ჩემზე იყო. ხომ არ გეძინება-მეთქი — ნინიას ვკითხე და ჯერ არაო, მიპასუხა. მაშინ ყავა დავითრიოთ გზაში-მეთქი და ოლეგას გავხედე „ვაჟნად“. ისიც ისე დამეთანხმა, გეგონება, ყავის გარეშე ვერ ივლიდა. ნინია მოკლე-მოკლედ მპასუხობდა კითხვებზე და ის იყო, რომ უნდა ამელაპარაკებინა, ოლეგამ დაიწყო თავისი ისტორიების მოყოლა და იმანაც ტექნიკურად ყურსასმენები გაიკეთა და თვალები დახუჭა. მოკლედ, შემატოვა ოლეგას და ოლეგას ისტორიებს მარტო. მთელი გზა ტექნიკურად სარკიდან ვუყურებდი, ეძინა და ძალიან ლამაზი იყო. აეროპორტთან რომ მივედით, მოფიქრებული მქონდა, როგორ უნდა გამეღვიძებინა, მაგრამ ოლეგამ — მოვედით, მოვედითო — და ხელი გადაყო და შეანჯღრია. კინაღამ ღვედით მოვგუდე.

თვითმფრინავში გვერდით მომიჯდა ერთი ქალი, ჯერ დაძრული არ იყო, ლოცვების წიგნი ამოიღო და კითხვა დაიწყო, ნერვიულობა მეც გადმომედო და „შურიკა“ რომ ავტობუსში კითხვას იწყებს, მეც ეგრე გავითიშე. ნინიამ გაიცინა და უცებ გამოვფხიზლდი.

— რა იყო, გეშინია? ყველაზე უსაფრთხო ტრანსპორტია.

— ყველაზე უსაფრთხო შეიძლება არის, მაგრამ გადარჩენის შანსიც ნოლია. ამისმა ლოცვამ თუ არ გვიშველა და...

სიცილი დაიწყო, მეც მომეშვა. შევატყე, იმ კატეგორიას მიეკუთვნებოდა, სამოგზაუროდ რომ მიდიან და ბედნიერები არიან, თითქოს, მთელ ნეგატივს საქართველოში ტოვებდა.

ორივეს სასტუმროს ნომერი ბოლო სართულზე მოგვცეს. დაღლილები მივეყარეთ და შევთანხმდით, რომ საუზმეზე ერთად ჩავიდოდით. ტრეინინგი მეორე დღეს იყო და შეგვეძლო, გემრიელად დაგვესვენა. დილას გვიან გამეღვიძა, ნინიას მოწერილი დამხვდა — მარტოს უსაუზმია. დიდად არც უნერვიულია. ფეხით წასვლაზე შევთანხმდით და ამიტომ ადრე გავედით სასტუმროდან. რაღაცებს ვბოდიალობდი, ძალიან კარგი და წესიერი გოგო იყო. ტექნიკურად შეყვარებულზეც ვეკითხებოდი. ვატყობდი, დიდად არ უნდოდა პირად ცხოვრებაზე საუბარი. მეც შევეშვი. ემანდ, არ იფიქროს, მომეწონა-მეთქი. ტრეინინგ-ცენტრში დაგვხვდნენ იეღოველებივით უცხოელები, დაწკეპილები და ბეიჯებით, ჩვენ კიდევ — გამოუძინებელი სახეებით. საშვები გავიქანეთ ჯიბეებში, მერე დაცვა მოვიდა და აქ თბილისი და ბარნოვი არ არისო — ინგლისურად გვითხრა და ბეიჯები კისერზე ჩამოიკიდეთო. მეტალოდეტექტორთან ნინიას დავეჯახე და თმის სუნი მეცა, კინაღამ გულში ჩავიკარი. უცებ ყველანაირი დაძაბულობა მომეხსნა და მივხვდი, რომ მაგარ ადგილას ვიყავი.

ადვილად დავმეგობრდით, ძალიან თბილი იყო, მაგრამ შოპინგზე ცოტა შერყეული და გაუთავებლად მაბოდიალებდა თბილისში ნასწავლ აუთლეტებში. მეც კარგი ქმარივით დავყვებოდი და ვათრევდი პარკებს. დიდი მოყვარული არ ვიყავი ჩაცმა-დახურვის, მაგრამ რასაც მირჩევდა, დაუფიქრებლად ვყიდულობდი. მსიამოვნებდა, რომ ზრუნავდა და ხმას არ ვიღებდი. საღამოობით ყავას ვსვამდით, სასტუმროსთან რომ ღია კაფე იყო, იქ და ვლაპარაკობდით ყველაფერზე. ბევრი საერთო მეგობარი აღმოგვაჩნდა და ყველა სათითაოდ გავჭორეთ. რამდენიმე მუზეუმიც ვნახეთ, ბევრი „სელფიც“ გადავიღეთ, მაგრამ არ დადოო, გამაფრთხილა. წამოსვლის წინა დღეს შევაპარე: კარგი რესტორანი ვიცი და დაგპატიჟებ-მეთქი. უყოყმანოდ დამთანხმდა. რესტორანში თექვსმეტი წლის ბიჭივით დაძაბული ვიჯექი, ღვინო რომ მოვიდა, მიმტანს ხელში ვეცი და ხელის კანკალით ჩამოვასხი, შევატყე, ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს ხელი უნდა მეთხოვა და ისიც დაიძაბა. მივლინებით ორივე კმაყოფილები ვიყავით და ვიცოდით, კარგად გაგვახსენდებოდა. მსუბუქად ნასვამები გამოვედით, მეორე ბოთლი ღვინო ავიღეთ და ჭიქებიც გამოვიყოლეთ. ქუჩაში მოვდიოდით და ვსვამდით, თან ვლაპარაკობდით. უცებ გული გადამიხსნა, ძალიან შეგეჩვიეო. მეც ჩავურტყი, დაშორდი იმას და სულ ერთად ვიაროთ-მეთქი. სად ვიაროთო — გაეცინა. შოპინგის გარდა, სადაც გინდა, იქ გამოგყვები-მეთქი. უცებ დასერიოზულდა, ესე არ შეიძლება, უკვე ძალიან მაწუხებთო. მე გაწუხებ თუ ის-მეთქი — შევაპარე და თქვენი მოდგმაო — მიპასუხა. ნომერში არ ავედით, ჩუმად სახურავზე ავიპარეთ და ღვინო იქ ავიტანეთ. ჟაკეტი გავიხადე და სახურავზე დავაფინე, რომ დამჯდარიყო. მთელი ქალაქი ჩანდა და ყველაფერი იდეალურად იყო. ნინიამ ფეხზე გაიხადა და მომეწება, ჩუმად ვიყავით. ხვალ, ზეგ რა იქნებოდა, არ ვიცოდით და არც გვაინტერესებდა, ის წამი დავიჭირეთ ორივემ, რომელიც გვაკლდა ცხოვრებაში. უცებ გასწორდა და შეიშმუშნა. გული მიცემდა გიჟივით, მხარზე შევხედე და პატარა წერტილივით ხალზე ვაკოცე ნელა და დიდხანს. არ განძრეულა, ერთმანეთის სუნთქვა გვესმოდა. ყველაფერი შემეძლო იმ მომენტში, მაგრამ წამის მეასედში გადავხარშე, რომ გოგოს, რომელიც მომწონდა და სერიოზული ურთიერთობა მინდოდა, შეყვარებული ჰყავდა და ჩემი საქციელით უნდა გამეფუჭებინა და ამ ვნების გამო ძალიან უნდა გამებანძებინა ის ყველაფერი, რაც ძალიან ლამაზი იყო. ხასიათი მომეშხამა, ის კიდევ იყურებოდა სივრცეში და თვალებს ახამხამებდა. წავიდეთ, შემცივდაო და წამოდგა. დასახვრეტად რომ მიჰყავთ, ისე გავყევი, ფეხები უკან მრჩებოდა.

მეორე დღემ ჩვეულებრივად ჩაიარა, საღამოს გამოვფრინდით. ბევრი არ გვილაპარაკია. როგორც წესი, თბილისში დაბრუნებისას ყველა სევდიანი და ოდნავ განერვიულებულია. აფრენისას ფეხები დამიბუჟდა და ოფლმა დამასხა, ნინიამ ხელი ჩამკიდა და მომიჭირა, ნუ გეშიანიაო. ოდნავ მომეშვა. მალევე ჩამეძინა. ესეთი მოუხერხებელი თვითმფრინავი არსად მენახა.

ქუთაისის ჰაერი რომ ჩავისუნთქეთ, ორივეს თვალები ჩაგვისისხლიანდა. ბარგიც, როგორც იქნა, ავიღეთ და გამოვედით. გამოსასვლელში ოლეგას მოვკარი თვალი და ხელი დავუქნიე. წამოვიდა გაღრეჭილი. ვიღაც ბიჭი მოყვებოდა უკან. დავაკვირდი — ნინიას შეყვარებული იყო. ჩაეხუტნენ ერთმანეთს. მეგონა, ერთად ვიმგზავრებდით თბილისამდე. გული გამეხერა და უხმოდ დავემშვიდობე. ოლეგა ეცა ბარგს და გაახრიგინა, ხალხს რომ გავცდით, გახარებულმა მკითხა:

— ჰა, როგორი ნაშები არიან ევროპაში?

ბაბუაჩემი სიყვარულზე

— შენ რა იცი, სიყვარული რა არის! — თვალი თვალში გამიყარა ბაბუაჩემმა, — ჩვიდმეტი წლის ვიყავი, ჩიტო რომ ვნახე პირველად გელათში, ვალიკოს ბიძაშვილებთან. პირველად მაშინ მოვწიე პაპიროსი უფროსებთან ერთად ჩიტოს დასანახად და სამი ღამე არ მეძინა, იმის გაკვირვებული სახე რომ დავინახე. ათ კილომეტრს გავდიოდი ყოველ დილით, მეორე სოფლის ბიბლიოთეკაში რომ მიმესწრო და გუგულისა და ჩიტოსთვის მოსამზადებელი წიგნები წამომეღო. მე რომ თიბვაში ვალიკოს ვეხმარებოდი, ისინი ხის ქვეშ ისხდნენ და მეცადინეობდნენ. ყველა კუნთს ვჭიმავდი, როცა მიყურებდა და ისე ვეპრანჭებოდი. წყალი პირველად რომ დამალევინა დასიცხულს, ლამის რაიონის გეგმა შევასრულეთ იმ წელს, ისეთი ჟინით გავაგრძელე ცელის ქნევა. თბილისში რომ ჩამოვედი, კაპიკი არ მქონდა და წერილსაც ვერ ვწერდი, იმან კიდე, ახლა, სიბერეში დაიწუწუნა: მაშინ მეგონა, დაგავიწყდიო. არც მე მებადა რამე და არც იმას. პირველად რომ გავისეირნეთ, იმას გუგულის კაბა ეცვა და მე — ვაჟას პიჯაკი. გაზიანი წყლები რომ დავინახეთ, ამაყად გავხედე და ხელი გავიკარი ჯიბეზე, მაგრამ სარჩული ყოფილა გახეული და შიგნით ჩამეყარა კაპიკიანები. მერჩივნა, მინა გამხეთქოდა და იქვე ჩავეტანე, მაგრამ ჩიტომ მითხრა, ექიმმა ამიკრძალა და შენ რომ დალიო, მე-ვარ-ცოდო, მეც მომინდებაო. ქორწილი რომ გადავიხადეთ, მაგიდაზე სამი ბოთლი ღვინო გვქონდა, მაგრამ დილამდე ქეიფის ხმა გადიოდა ჩვენი სახლიდან. ხუთი წელი ერთ ოთახში ვცხოვრობდით, რკინის „კრაოტებზე“ გვეძინა და ჩემები რომ გვიგზავნიდნენ საჭმელ-სასმელს, მაგით გაგვქონდა თავი. გურამზე რომ დაორსულდა, მამიდამისთან წავიდა სამტრედიაში, ცოტა შეუძლოდ იყო და ორსულს მე ვერ მოვუვლიდი და იმ სახლშიც ვერ გააჩერებდი ქალს, ყველა ღრიჭოდან რომ უბერავდა ქარი. შაბათ-კვირას ავტობუსით ჩავდიოდი და წამოსვლისას ფეხები უკან მრჩებოდა. სახლი რომ დაცარიელდა, აღარც ვჭამდი და აღარც ვსვამდი, ვერც ჩიტომ გაძლო უჩემოდ და ერთ დღესაც ჩამომაკითხა, ვითომ გავბრაზდი და დავუცაცხანე, მაგრამ ჩემზე ბედნიერი კაცი არ იყო ამქვეყნად. ედიშერმა გვიშველა და სახლკომშიც გამომყვა, კაცი არ დარჩა მთელ ქალაქში, ჩემ ბინაზე რომ არ შეეწუხებინა. და იმისმა ცოლმა, ნანულიმ, ხო გახსოვს ნანული? ახალი საბნები და ლეიბები შეაკერინა ნალოგინარი ქალისთვის, დედასავით გვიპატრონა. მე რომ პირველად სამინისტროში გადავედი, ისეთი ამაყი იყო, გეგონებოდა, მინისტრად დამნიშნეს. ბიძაშენზე რომ დაორსულდა, მაშინ აიტეხა, გინდა თუ არა, გოგოაო და ნინო უნდა დავარქვაო, ის არ იცოდა, ჩემს გვარში გოგო რომ დიდი იშვიათობა იყო. მახარობელმა, ზაზა შეგეძინაო — პირდაპირ დაიყვირა, თურმე იმშობიარა თუ არა, რომ ნახა, ბიჭი იყო, იქვე დაარქვა სახელი. ზაზა სტალინის დაბადების დღეზე გაჩნდა და ეგონა, კობას დავარქმევდი, მაშინ ეგრე იცოდნენ და დაგვასწრო თავისი ჭკუით. ზაზას გაჩენიდან შეიცვალა ჩიტო, მეორე შვილის დედობამ უფრო გააძლიერა და დააქალა. ცხოვრება რომ იცვლება, ნელნელა შენც გინდება კაი ჭაღები, მაგრამ, აბა, ზაზას ხელში რა ჭაღი და ფანჯარა გაძლებდა?! დალეწილი ჰქონდა ბურთით ყველაფერი. რვა წლის იყო, ბელკა ლეკვი რომ მოათრია ეზოდან და ჩიტომ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: არ გავაჩერებო, მეც რა უნდა მექნა? მივუყვანე „საპოჟნიკ“ სლავას და, თუ ძმა ხარ, მიხედე და ყველა ფეხსაცმელს შენთან მოვიტან-მეთქი. სლავამ კიდევ, ოღონდ შენ შვილს „რაგატკა“ წაართვი და ძაღლს კი არა, კამეჩს მოვუვლიო. ჩიტოს რომ მოვუყევი დილას, ისე იცინა, ზაზას ეგონა, მე დამცინისო და ტირილი დაიწყო. მშობელთა კრებაზე რომ დაიბარეს და უთხრეს, ორიანებზე სწავლობსო, ისეთი ამბავი მოაწყო სახლში, მთელი სამეზობლო ერთად ამეცადინებდა ზაზას. მამაშენმა ისე დაამთავრა სკოლა, მარტო ერთხელ დარეკა მასწავლებელმა და ისიც მადლობის სათქმელად, ასეთი შვილი რომ გაზარდეთო. ზაზა კიდევ ტელეფონის კაბელებს ჭრიდა ყოველ საღამოს, მასწავლებელს რომ არ დაერეკა. ჩიტო ძილის წინ შედიოდა ზაზასთან და უყურებდა, თუ ეძინა, ზაზას ხანდახან ტუჩი დაეგრიხებოდა სიცილისგან თვალებდახუჭულს და მაგ დროს მესმოდა: მამაშენს ვეტყვიო. ისე, ჩემს გასაგონად იძახდა, რომ ხმა ამომეღო, თორემ თვითონ ყველაფერს პატიობდა. სამსახურში ერთი დღე არ წასულა, ჩემს ბიჭებს ვინ მოუვლისო, გვეტყოდა. სადილს რომ გააკეთებდა, იქამდე არ გვაჭმევდა, სანამ ყველანი არ დავსხდებოდით და რომ დავიწყებდით ერთდროულად ჭამას, გვიყურებდა გამარჯვებული სახით, ჩვენი ჭამის ყურება სიამოვნებდა. არასდროს უეჭვიანია და დიდად არც მე მიმიცია საბაბი. რამდენი ვეტყოდი: ყველაზე ლამაზი ქალი ხარ დედამიწის ზურგზე-მეთქი, იმდენჯერ თვალს ჩამიკრავდა და „ბედი მქონია შენ უნდა თქვაო“ — დააყოლებდა. სანამ ქვეყანა აირეოდა, ბოლოჯერ ყველა ერთად ვიყავით სოხუმში. მამაშენი და დედაშენი ულამაზესი წყვილი იყო და ჩიტოც ზედ ყვებოდა ორივეს. რაც მე დავაკელი ცხოვრებაში გაჭირვებისგან, ყველაფერს უსრულებდა დედაშენს. ზაზა სამი-ოთხი დღე ჭკვიანად იყო, მერე „აბუინდა“ და დედამისს დაუწყო „შებმა“, სოჩაში წავალ ბიჭებთანო. ვინ დაიჭერდა? მე კი ვუთხარი, არა-მეთქი, მაგრამ ჩიტოც რომ გადაიბირა და ერთად შემომიჩდნენ, რაღა უნდა მექნა? თბილისში რომ არეულობა დაიწყო, ზაზას და მაგის სწავლას ვინღა დაეძებდა, იქით მისახედები ვიყავით მთელი ქვეყანა. საწყალი ჩიტო და მე

ქუჩა-ქუჩა ვეძებდით ხოლმე ზაზას. ხშირად ვჩხუბობდით, ძალიან რადიკალური იყო. არადა, თითქოს, ასეთი არ გაგვიზრდია! ვეღარ ვერეოდით და ნელნელა სახლიც ივსებოდა ამ ტყავის ქურთუკიანი და შავსათვალიანი ტიპებით. ომში ისე წავიდა, არც დაგვემშვიდობა. ერთი წერილი დატოვა მხოლოდ, იქაც დედამისს ამშვიდებდა, ჩემზე ერთი სიტყვაც არ ეწერა. მთელი თვე არ გვეძინა არცერთს, სტუმარსაც ვერ ვიღებდით და ღამე ორივე თვალგახელილი ვიწექით, ერთმანეთს ვერც ვუყურებდით და ამიტომ ზურგით ვწვებოდით, თითქოს, თვალს ვერ ვუსწორებდით ერთმანეთს. 23 ივლისი იყო, ეზოში ხალხი რომ დავინახე. ჩიტოს კივილი რომ გავარჩიე ხმაურში, კი შევბარბაცდი, მაგრამ მშვიდად გავიარე ხალხის დერეფანი, სეირს მოწყურებული თვალებით რომ მიყურებდნენ აქეთ-იქიდან. იმ დღეს დავბერდით ორივე. ათი დღე, სანამ ჩამოასვენეს, არც წყალი დალია და არც ლუკმა ჩაიდო პირში. ზაზა რომ ჩამოასვენეს, შენი თავი დავაფიცე და სამი ლუკმა შეჭამა, მთელი ღამე გული ერეოდა, ორგანიზმმაც არ მიიღო საკვები. იმის მერე შავი აღარ გაუხდია, თმა აღარ შეუღებავს და ხმა აღარ აუწევია არაფერზე. მე კიდევ ჯინაზე სმას მოვუმატე, ყველაფერი ერთად მოვთხოვე და ისიც ვიკადრე, ქალს გავიჩენ-მეთქი. თვალები აენთო, გამიგე?! და მთელი მკერდი ჩამომპორჭყნა სიმწრისგან, ჩამეხუტა და ტირილი დაიწყო, გეგონება, პატიებას მთხოვდა შვილის სიყვარულისთვის. იქ დავამთავრე ცხოვრებასთან ბრძოლა, დავმშვიდდი, დავწყნარდი და მთელი ცხოვრება რასაც ჩიტოსგან ვსწავლობდი, ზუსტად ისე მშვიდად დავიწყე ყველაფერთან შეგუება და ატანა. უხმო რიტუალად გვექცა საბურთალოს პანთეონში სიარული. ერთადერთი, რაც გვიხაროდა ორივეს, ზაზას დაბადების დღე იყო, ვიცოდით, ზუსტად ერთი დღე გვიცოცხლდებოდა და ათასჯერ მოსმენილ ისტორიებს თავიდან ვაყოლებდით სტუმრებს. ზაზას მერე რომ იძინებდა, თავს თავის ბალიშზე დებდა და ძილში ჩემსას მართმევდა, თავიდან „ვიბრძოდით“ და მერე ვუთმობდი. ერთხელ მისი ბალიში ავიღე, სულ სველი იყო ცრემლებისგან. გაოცებული ვიყავი, რით ვერ გაუშრა ცრემლები აქამდე-მეთქი. იმ წყეულ დღეს არ წაიღო ჩემი ბალიში. გამაღვიძა, წამალი მომიტანე, გული მაქვს ცუდადო. წამოვხტი და ძებნა დავუწყე წამალს სამზარეულოში. სანამ ვიპოვე და შევედი, უკვე თვალებდახუჭული და დამშვიდებული დამხვდა, თავთან კიდევ ერთი პარკი წამლები ედო ხელუხლებელი. ჩემ ბალიშზე ედო თავი და ისე მოკვდა. ყოველ ღამე ვეჩხუბებოდი ძილის წინ ფიქრებში, როგორ ერთხელ არ დამესიზმრე, როგორ არ მოგენატრე-მეთქი და წლისთავზე დამესიზმრა: გუგულის კოპლებიანი კაბა ეცვა, თმა ზემოთ ჰქონდა შეკრული როგორც იმ დღეს, პირველად რომ გავისეირნეთ. როგორ დამტოვე-მეთქი, ვუსაყვედურე — წამლები თუ თავთან გედო, მე რას გამიშვი მოსაძებნად-მეთქი და ჩამეხუტა.

— ზაზასთან მინდოდა წასვლა, შენ არ გამიშვებდი და გაგეპარეო! რა იცი, ბაბუკა, შენ, სიყვარული რა არის?! დამადლებულად რომ მოგაფერებინებს ადამიანი თავს და ბედნიერი ხარ, ეგ გგონია შენ სიყვარული?..

კალისტრატე და კაილი

ერთ ადგილას „ვბირჟაობდი“ წლების განმავლობაში, გრძელი სკამი და გარაჟები იყო გარშემო. მოტეხილი ადგილი იყო და წყნარად ვიყავი, ბევრი ხალხი არ მოძრაობდა. ყველა შეყვარებული მანდ მიმყავდა და საათობით ვისხედით — მარტო მე არა, ბევრჯერ დაკავებულიც დამხვედრია. ის ადგილი წმინდა იყო ეზოს ბიჭებისთვის, არც ერთხელ გვიჩხუბია ვინმესთან და საქმეც არ გაგვირჩევია. ძირითადად, ლუდს ვსვამდით და ხან პრობლემებზე ვლაპარაკობდით და ხან ფეხბურთზე, ისე, ხშირად გოგოებსაც ვჭორავდით და ალაგ-ალაგ ერთმანეთს. სიგარეტსაც ვტოვებდით ერთმანეთისთვის და სხვა მაიმუნობებსაც. ერთხელ ლუდით მთვრალები ვქანაობდით, როცა არანაკლებ არაფხიზელი ჭელო მოვიდა სუნიანი წითური ლეკვით, ყველამ გამოართვა ჩემს გარდა. როგორც გაირკვა, ქალაქგარეთ იყო რესტორანში და ტრასაზე მოსაფსმელად გადასულმა იპოვა, შეეცოდა და წამოიყვანა. „ფეისბუქზე“ დავდებ, ვინმეს თუ უნდაო და იქვე გადავუხაზეთ, „ტრუხაა“ ეგ, იყოს აქ, რას გვიშლის-თქო და ჭელომაც: იყოს რა, ჩემი რა მიდისო?! კალისტრატე დავარქვით. მაგრად შემიყვარდა, მაგრამ უბინძურესი ტიპი გამოდგა. მე ხელს არ ვკიდებდი და არც თვითონ მეკარებოდა, მაგრამ დანარჩენებს სულ ატალახიანებდა. ნელნელა ჩვენი „ბირჟა“ იშლებოდა, მარტო მე შევრჩი და ხანდახან ჩემ შტერ შეყვარებულს თუ მოვათრევდი. კალისტრატე ჩემი ძმობილი გახდა, ოღონდ ხელს ისევ არ ვართმევდი. მთვრალი თუ მოვიდოდი, სოსისებს ვყიდულობდი და ვაჭმევდი, ისე ერთ პურს გადავუგდებდი და იქვე იძინებდა ჭამით გახეთქილი. პრობლემები რომ დამეწყო, იმ ადგილზე ვმარტოვდებოდი. იქ არც ტელეფონი იჭერდა და არც ინტერნეტი. ფიქრი ბევრად ადვილი იყო. კალისტრატეს არსებობა ნერვებს მიშლიდა იმ დროს. დაწვებოდა ჩემთან ახლოს და თვალს არ მაცილებდა. ხან ძალიან ჭკვიანი თვალები ჰქონდა, ხან ძალიან სულელი იყო, თავი-ბოლო ვერ გავუგე. თუ ველაპარაკებოდი, ორივე ყური აპრეხილი ჰქონდა და მისმენდა, უცებ რაღაცა გაფხაკუნდებოდა და ეგრევე მიკიდებდა. ჩემი დანახვა რომ გაუხარდებოდა, მეგონა, საჭმლის მიტანა უხაროდა და მე ვეკიდე. ვატყობდი, ვეჭვიანობდი, თან მეცინებოდა ჩემს თავზე. პრობლემებმა რომ წამიჭირა, გარეთ გასვლა აღარ მსიამოვნებდა, მხოლოდ იმ მხარეს გავდიოდი. ერთხელ ტაქსიდან გადმოვედი და კალისტრატე გამოქანდა კუდის ქიცინით, რა გიხარია შე ნაბოზვარო-მეთქი და მოწყვეტით დავარტყი ფეხი, უკანმოუხედავად გაიქცა, მერე შეჩერდა და დაწვა წკმუტუნით. ემოციებისგან დაცლილი ნაბიჭვარი ვიყავი და გულში თავს ვიმართლებდი, ბოდიშს რა ფასი აქვს-მეთქი. მეორე სართულზე მეზობელი მიყურებდა და არხეინად ეწეოდა, რა ქენიო და კბილი გამკრა-მეთქი. კაი, კაცოო — ვითომ გაუკვირდა, ორი ნაფაზი მიყოლებით ამოარტყა და შორს მოისროლა. კალისტრატე და მე დავშორდით. რამდენიმე თვე გავიდა, ზამთარმაც გადაიარა, სიცივეებიც მორჩა, მაგრამ ჩემს დეგენერატიზმს საზღვარი არ ჰქონდა. ყველა მოვიმდურე და ეს მსიამოვნებდა. ფაქტიურად ოფიციალურ მიზეზს ვაძლევდი, ჩემთან რომ აღარ ყოფილიყვნენ, ისედაც არ იყვნენ და ბარემ ჩემსას ვისწორებდი და დაბოღმილი ვაწვალებდი ყველას. შუადღისკენ ტაბლეტებისგან გაბუჟებული სიგარეტის ღერს ვღეჭავდი და თან ტელევიზორს მივშტერებოდი უაზროდ. ძაღლების ფსიქოლოგი ლაპარაკობდა, ძაღლს თუ უყვარხარ, იმხელა სიყვარულის მატარებელია, სხვებს გინდა უყვარდე, გინდა არაო. მე კიდევ კალისტრატეც მოვიმდურე და სხვებს რას ვუზამდი. საღამოსკენ ცოტა ენერგიაზე მოვედი და ეზოში გავედი. ნეტავ, ვინმე თუ დამხვდება ჩვენს სკამზე-მეთქი და ავედი. შორიდან კალისტრატე დავინახე, ისიც მიყურებდა. მაღაზიაში შევედი, ბევრი იაფიანი სოსისი გამოვართვი და სკამისკენ წავედი. კალისტრატე დაძაბული მიყურებდა, მოჭიმული იდგა. აზრზე ხარ, ახსოვს-მეთქი — გულში გავიფიქრე და რაც შეიძლება, ტკბილი ხმით გავძახე: მოდი, ნახე, რა მოგიტანე-მეთქი. ცოტა ხანი მიყურა, შემდეგ ნელა უნდობლობით სავსე ნაბიჯებით წამოვიდა და წინ დამიდგა. საჭმელი ამოვიღე და წინ დავუდე, ენაგადმოგდებული მიყურებდა, მერე დაყნოსა და მე შემომხედა ცარიელი თვალებით. ჭამე ეხლა-მეთქი, ხმამაღლა ვუთხარი და მეორეც დავუდე, დაყნოსა ისევ და ახლოს მოვიდა. თვალებში ვუყურებდი, რა გინდა-მეთქი, ვკითხე და გვერდზე გაიხედა. იმასაც იგივე უნდოდა ცხოვრებაში, რაც მე, თან ის ვერ ლაპარაკობდა, მე კი არ ვლაპარაკობდი. ხელი ნელა მივუტანე სახესთან, გული ამიჩქარდა. ნელა მივეფერე და ყურები ჩამოყარა, შემდეგ ფეხებთან დამიწვა და ბინძურ მუცელზეც მოვფხანე, ის კიდევ აჟიტირებული მლოკავდა. ბოლოს რომ ვეღარ დავაწყნარე, საჭმელი დავუყარე, დაყნოსა ისევ და გაჩერდა, სუნთქვაც შეწყვიტა, ისე ძალიან დაფიქრდა. მიტრიალდა და ძუნძულით წავიდა. აღარ ვუყვარვარ და ეგაა-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ ამ დროს გამოჩნდა სხვა თავის ზომის ძუძუებიან ძაღლთან და ხუთ პატარა ლეკვთან ერთად. მოიყვანა ამაყი ნაბიჯებით და ფაქტიურად ოჯახი გამაცნო. ცოლმა შემომხედა ერთი და უნებართვოდ დაიწყო ჭამა. კალისტრატემაც ამომხედა: რა ვქნა, ძმაო, ხო ხედავ, ამდენი ხანი ვითმინე და ეხლა უნდა ვჭამოო. ლეკვები გარშემო დაბანდურობდნენ და ძუძუებზე კბენდნენ დედამისს. კალისტრატეს ცოლს კაილი დავარქვი, ლეკვებისთვის დამეზარა სახელების მოფიქრება. ისე, მგონი, კალისტრატეს მართლა ვუყვარვარ.

ბაინდურას მანქანა

ორი თვე იყო გასული, რაც სახლში ჩავჯექი. ბაინდურამ მაღაზიასთან დამინახა და ხელით მანიშნა, არ წახვიდეო. მანქანას მიაგინა ქუჩაზე გადმორბენისას და აქოშინებული მოვიდა. სად დამეკარგეო — მკითხა. სახლში ვზივარ და თუ გინდა, მოდი-მეთქი. ცოტა ხანი მიყურა, ოროსან ბავშვს რომ უყურებს სასწავლო ნაწილი ისე და კაი, მოვალო. იმავე საღამოს დამადგა „სპრაიტით“. ორი კილო იყო, გრძელი ხუჭუჭა თმები ჰქონდა, სიმთვრალეში ლაპარაკი ავიწყდებოდა და სულ „სპრაიტს“ სვამდა. ლოგინი ავალაგე, ჩავიცვი და ისე წამოვწექი. ბაინდურამ სავარძელი მოადგა ჩემს ლოგინს და პულტი ჩაიგდო ხელში. ნელნელა მაყოლებდა ყველაფერს, რჩევასაც არ ჩქარობდა. მერე შევატყე, რჩევების მოცემა საერთოდ არ სცოდნია და დიდად თავიც არ გამოუდია. ეზარებოდასავით და მეც გამისწორდა, მაგრად მისუქებდა ერთ ადგილს ხალხის რჩევა. თუ მაგრები იყვნენ, თავის დროზე ერჩიათ, ვისთან როგორ უნდა მოვქცეულიყავი. ერთი მითხრა: ნაბოზარი დედამისის ტრაკის თამაშს როგორ აყევიო და ეგ იყო და ეგ. სიგარეტი გააძრო, „ქემელი“ მოკლე ღერებიანი, და ლოგინში მესროლა. ამაყად მითხრა: თათია რაც გავუშვი გერმანიაში, კვირაში ერთხელ მიგზავნისო. სასწავლებლად წასულა ბაინდურას საცოლე ერთი წლით და ესეც თვეში ერთხელ ადგებოდა, ის კიდევ უგზავნიდა და უგზავნიდა გერმანულ „ქემელს“. თხილი, ჩაი და მურაბა ევასებოდა ჩემთან, კვირაში ერთხელ მოვიდოდა და ჩაეგდებოდა სავარძელში, „როლინგში“ ცხვირს ჩაყოფდა და ისე უყურებდა ტელევიზორს. ყველასგან დავიწყებულს ბაინდურას ნახვა მსიამოვნებდა, რიტუალივით მექცა ორ-სამ დღეში ერთხელ მისი მოსვლა.

შაბათი ან კვირა იყო დეკემბრის დასაწყისში, ბაინდურა რომ დამადგა, კონიაკის ბოთლი გამოაძვრინა მანტოდან. ისე, რაც თავი მახსოვს, სულ ეგეთი მანტო ეცვა, დიდი ღილებით და ერთ ჯიბეში მზესუმზირა ეყარა, მეორეში სიგარეტი და „ვრიგლი“. მანქანა ძლივს გავაჩერე ქუჩაში სადღაც ბოლოშიო, ბუზღუნებდა. თათიას ვადგები იმ კვირის ბოლოს და წამოდი შენცო, დაგაწვენთ იქ, არაა პრობლემა, ლოგინის ფორმა მიიღე უკვეო. მე რომ იქ არ ვიყავი წამსვლელი, ეგ თვითონაც კარგად იცოდა, მაგრამ რაღაცნაირად უიმედოდ მკერავდა.

— ქალში მთავარი იცი, რა არის? — ჩაი მოსვა ხმაურიანად და სიგარეტის ღერი მომაწოდა.

— ერთგულება?

— ეგ ძაღლშია მთავარი, ქალში-მეთქი!

— ძუძუები?

— 14 წლის ხარ? არა, მამენტ ეგეც მთავარია, მაგრამ უფრო? — გაეცინა თვითონაც.

— არ ვიცი.

— ჰოდა, რომ არ იცი, ძმაო, მაგიტომ გაქვს ლოგინის ფორმა მიღებული. თათიამ ახლა წარბი გაიხვრიტა, მე ხო შეყვარებული ვარ, მაგრამ არც მკითხა. აი, მოუნდა და გაიხვრიტა, იქნებ არ მომწონს?

— წარბის გახვრეტის გამო აღარ გეყვარება?

— ბიჭო, მე კი მეყვარება, მაგრამ უყურე, რა ამბავია მანდ, — დაფიქრდა და სიგარეტს მოუკიდა მეტი მისტიკისთვის, — ჯერ თმა შეიღება, მერე კაბებიდან რაღაცა „ბომჟურ“ ტანსაცმელზე გადავიდა, ახლა წარბი გაიხვრიტა, ესე ცალ-ცალკე არაფერი, მაგრამ ჯამში, ხო, სხვა ტიპი იჩითება? ქალი რომ გათხოვდება ჩემნაირ ხუჭუჭა გამხდარ ტიპზე და ბოლოს მელოტი და მსუქანი რომ შერჩება, ეგ ვარიანტია.

— გასუქდა კიდევაც? — ხმით გამეცინა და ლოგინზე გავსწორდი.

— არა, პირიქით, გახდა, მაგრამ სხვანაირი გაიჩითა, გემოვნებაც შეეცვალა და ცოტა სერიოზულია. ტელევიზორი გათიშე, რა, მაწუხებს.

ვაა, ბაინდურა მოწყენილია. არადა სამი წელია, ერთად არიან. ეს ვერ მიდის ჯერ ეგრე დიდი ხნით, მაგრამ ხშირად ჩადის და ტელეფონიც ნერვიულად სულ ხელში უჭირავს.

— თმებს იზრდიდა დიდი ხანი, ქორწილს ხომ ვაპირებთ გაზაფხულ-ზაფხულში და წასვლის წინ არ შეიჭრა? გაგიტყდაო, მეკითხებოდა და ისე დავიჭირე თავი, თითქოს არ ვიცოდი, ქორწილისთვის რომ აპირებდა გაზრდას.

— რა გჭირს? იჩხუბეთ?

— არა, ახალ წლებზე არდადეგები აქვს და მეთქი, ჩავალ და ერთად ვიქნებით, ან ის ჩამოვიდოდა, მაგრამ ალპებში მივდივარ ნათესავებთან ერთადო.

— შენც გაყევი.

— გაყევი კაია, ალპების ფული მაქვს? ჯერ მაგის ტყემლების თრევამ და „ვიზეარის“ სკამმა დამაავადმყოფა, რა ალპებში, თუ ძმა ხარ!

— რო ჩამოვა, მერე დაადექი, დაისვენეთ ერთმანეთისგან, — ცოტა გული შემეკუმშა. ვიცოდი უკვე, ბოლო რაც იქნებოდა, არადა მაგარი კაი წყვილი იყო, რაც მახსოვდა.

მალევე წავიდა, წასვლის წინ სიგარეტის კოლოფი მესროლა, ერთი ღერი იყო თათიას „ქემელი“. ორ დღეში ისევ მოვიდა, მანტო მიაგდო, დედაჩემს ჩაი შეუკვეთა და ჩაეგდო სავარძელში.

— იფიქრე იმაზე, იმ დღეს რომ გითხარი?

— კი, მაგრამ ვერ წამოვალ.

— მაგაზე არა, ქალში მთავარი რა არის-მეთქი! — დამიბღვირა.

— ააა, სიყვარულის ნიჭი.

— არაა შენი საშველი!

— აბა? — უკვე მეც ვბრაზდებოდი.

— იფიქრე კარგად. „სნუკერში“ რა ხდება? არაა დღეს? გადართე!

რა მესნუკერებოდა, ავდექი და გადავურთე. მანქანას შენ ეზოში დავტოვებო, მეზობლები თუ არ გაატრაკებენ და ერთ კვირაში ამოგივლი, ოღონდ კიდევ ლოგინში არ დამხვდეო. სიგარეტს მოუკიდა და კოლოფშივე ჩააფერფლა, დიდხანს უყურებდა და წასვლის წინ ცერით კარგად ჩასრისა გაბრაზებულმა.

ერთი კვირაც გავიდა და ორიც, მერე ახალი წლებიც მოვიდა და უფრო სწრაფად გავიდა დრო, ზამთრის ტანსაცმელებში ვეღარ ვეტეოდი, ადგომაც მეზარებოდა და ვბოდიალობდი მთელი დღე ხალათით. ფანჯრიდან გავხედავდი და ბაინდურას მანქანა ისევ იქ იდგა. ეტყობა, გაყვა ალპებში-მეთქი, ვიფიქრე და გულში მესიამოვნა. ძველით ახალ წლებზე მომირეკა და ამოვალ საღამოს და ლოგინში არ დამხვდეო, გამაფრთხილა სტანდარტულად. კარი გავაღე და გული გამისკდა, ბაინდურას თმები სულ გადაპარსული ჰქონდა, „ბონიემივით“ აღარ იყო. რაღაცნაირი გამხდარი და თვალებჩაცვენილი მიყურებდა. შემოდი, რას დგახარ-მეთქი — ვუთხარი.

— მოწევ? — საქმიანად მკითხა, სავარძელში რომ მოერგო და ფეხი ფეხზე გადაიდო.

— „კანეშნა“, მაგრამ სად დაიკარგე?

— თათიას ჩავადექი, იქ დავრჩი, წამოსვლის წინ დამშორდა.

— რაზე?

— მანძილიო, ისაო, ესა, რავი, მაგის დედაც მოვტყან!

— მერე?

— მერე ჩამოვედი და თურმე იქ ვიღაცა ქართველთან გადავიდა.

— ღადაობ? — ცოტა გავოგნდი.

— მერე ვსვამ ერთი თვეა, გადავაგორებ და მეც დავგაზავ აქედან, სიგარეტი გააქვს? მე დავანებე.

— თათიას ხათრით ეწეოდი? — ცოტა ვეცადე ხუმრობა უკბილოდ, მაგრამ გაატარა.

— მე რაც გითხარი, იმაზე იფიქრე?

— რაზე? — დამცხა, მეთქი, რამე მთხოვა და დამავიწყდა.

— ქალში მთავარი რა არის-მეთქი?

— ააა, კიი ვიფიქრე, მაგრამ აზრზე ვერ მოვედი, მითხარი რაა, — ცოტა მუდარა გავურიე ხმაში.

— კი გეტყოდი, მაგრამ არ მცოდნია, თურმე, მეც.

ბაღათერ არაბული

ციკლიდან: „ხევსურეთს ამბად ნათქვამი“

ხევსური „ყაჩაღი“ და მოკლული ქისტის მამა...

...ეს მაშინ მამხდარ
რუსის ჯარ რო შამაჭრილ მთაში, —
აჯანყებული მთიელების დასარბევად,
მოურჯულებელ ხევსურების მასარჯულებლად...

ქალ-დედროვან ყმაწვილებით და მოხუცებით
კლდე-ღრეების სამალავებში გახიზნულას,
ხოლო კაცები, მომხდურებთან საბრძოლველად,
თოფ-იარაღით უღრან ტყეებში შემალულან...

იმათში ყოფილ ცნობილ „ყაჩაღი“,
გულადობით სახელგანთქმული,
გმირ მამუკა გოგოჭურიც — ბუჩუკურთიდან,
რუსებისად სისხლ რო გაუშრავ, —
ბევრა მაუკლავ,
ბევრაისად საწუთროს მზე დაუბნელებავ,
ბევრა მკვდარ თავის წინაპართად შაუწირავ, —
— საიქიოში იმათ მსახური,
იმათ ყმებიმც იქნებითავ...

ბოლოს კი მასზე მონადირე,
რუსებისგან შავიწროებული,
მამაც აბრეკთან, —
ჩეჩენ ზელიმხან მუშმაბუკოვთან ძმადგასაფიცად
და საერთო მტერთან საომრად
გადასულ ყაზბეგ,
რომელიც მერე,
დარიალის ხეობაში,
ბალთას სასაზღვრო საგუშაგოზე,
გუდამაყრელ მწყემსისაგან ნაღალატევი,
ჯარისკაცებს ამოუცნავ და დასაჭერად გაუჩერებავ,
მიმხვდარ მამუკა,
იმის საქმე ვეღარ იყვ კარგად, —
გაუძვრავ ხანჯალი
და ქისტური წარმოშობის ერთ-ერთ ოფიცერი,
სხვებზე მეტად რო აქტიურობდ,
ელვის სისწრაფით გაუგმირავ,
(ალბათ იმაად, დამპყრობლებთან რად მსახურობავ?!)
და თან იმისად ზედ რუსებიც მიუყოლებავ,
რამდენიმე კი თავის მოკლულ
ქისტისადაც შაუწირავ, —
— იმის მონებიმც იქნებითავ,
ნუღარაფრით შააწუხებთავ!...

და მერე ტრიალ და ქარიან
მინდვრის გადავლით
თავის საშველად გავარდნილ ტყისკე,
მაგრამ იქამდე ვერ მიუღწევავ
და გონს მოსულ, გამწარებულ ჯარისკაცებს
დაუნანებლად ჩაუცხრილავ...

გამორჩეულ ხევსურ ვაჟკაცის
გმირობის მნახველს,
მოკლული ქისტის გულმოკლულ მამას
გუშაგებისად მიუმართავ:
— თქვენავ აქ ჩემს შვილს მოუარეთავ,
მე კი იმ „ყაჩაღს“ მივხედავავ,
აქ იმას პატრონ არვინ ჰყავისავ,
მკვდარს კი მგლების და
ყვავ-ყორნების შესაჭმელად ვერ გავსწირავავ,
ალაჰ ამ ცოდვას არასოდეს მაპატიებსავ...

ქისტის ქალებს კი
ხევსურ მებრძოლი
მწარე ცრემლით... დაუტირებავ;

„საით მიხოლი, ვაჟკაცო,
შე, მგზავრო, შავეთისაო,
ბრალია შენი სიკვდილი,
მიწა გიშლიდეს პირსაო...“

იმპერატორის რჩეული სამურაი და ხევსური მეომარი...

...ცარიზმის დროს მამხდარ ეს ამბავი...
თემ-სოფელში ვაჟკაცობით
და ტან-ტომაგით გამორჩეულ
მგელა ლიქოკელი
არაგველების დასასჯელად შემოსეულ
რუსების რაზმს დასცემივ თავზე...

მაუკლავ პრისტავი,
ზედ ჯარისკაცებ მიუყოლებავ
და საარაგვოს ტყიან ჭალებს შეჰფარებივ...

დაუნდობელ მტერს
მთელ სალიქოკო აუოხრებავ,
გადაუწვავ სოფელ აკუშო და კარწეულთა,
ჯვარ-სალოცავებ დაუნგრევავ,
იქ შენახულ ოქრო-ვერცხლ კი თან წაუღავის...

მგელას მშობლები
და ბიძაშვილებ დაუჭერავ,
თანაც სოფელს დამუქრებიან:
— თუ მაგ კაცისმკვლელს არ მაგვიყვანთავ,
დიდ-პატარას ყველას დაგხოცთავ!...

გაუგავ მგელას რუსებისგან შამონათვალი
და თავის ნებით ჩაღბარებივ...

იმათ კი... სადღაც დასაკარგავში,
სახალინზე გაუსახლებავ....

გამომხდარ ხანი,
ბევრ რაიმ მამხდარ იქაც და აქაც,
ბევრ ზამთარ-ზაფხულ მასულ და წასულ,
ბევრ ყვავილ-ბალახ აყვავებულ და ბევრიც ჩამქრალ...

და ერთხელაც, იმ უცხო კუნძულს
იაპონელებ დასხმიან თავზე...

და იმ ადგილის დასაცავად,
რუსებს სასწრაფოდ,
დამხმარე ძალა გაუგზავნავ,
მაგრამ იმათაც ვერა უშველავ
და შაშინებულ ციხის უფროსებს,
თავისივე პატიმრებისად
თოფ-იარაღ დაურიგებავ,
თან ისიც უთქვამ:
— თუ მაგათზე გაიმარჯვებთავ,
ყველას სახლებში გაგიშვებთავ,
თავისუფლებას მოგანიჭებთავ...

მგელასაც აბა მეტ რა უნდოდ, —
აურჩევავ აბჯარ-საჭურველი,
ხმალ-სატევარი
და ყაზარმის შესასვლელში ჩასაფრებულას
და ვისაც შიგნით ფეხ შაუდგამ,
ყველა მაუკლავ...

ბოლოს, როდესაც იაპონელებს კარ შაუმტვრევავ,
იქ ნანახით გაკვირვებულან, —
გარეშემო იმათ მკვდრებით ყოფილ მოფენილი,
თაოდ კი მგელა შუაში მდგარ
სისხლიან ხმალს ჩამოყრდნობილი...

რაზმის მეთაურს უბრძანებავ მეომრებისად:
— ხელ არ ახლათავ,
ან თოფ არავინ ესროლათავ!..

და გასაოცარ პატიმრისად,
(ალბათ სეირის საყურებლად, რას იზამსავ!)
ათ კაცზე მეტ სამურაი მიუსევავ,
მაგრამ მგელას ის მებრძოლებიც
ერთიანად ამოუხოცავ...

იმათ მეთაურს,
კარგად სცოდნივ რაინდობის ყადრი და ფასი
და დაუმარცხებ ხევსურისად მიუმართავ;
— დიდ პატივ გერგავ,
იმპერატორის რჩეულ მეომარ სამურაისგან
რჩეულ სიკვდილ დაიმსახურევ,
სხვა შენ ხელს ვერვინ ვერ გახლებსავ,
თუ მაგაზედაც გაიმარჯვევ,
თავისუფლებას მიიღებავ...

და ხმლის უცნაურ ქნევა-სისინით
და იაპონურ ილეთების შესრულებით შემოსულას
იმპერატორის რჩეულ მეომარი...

გაჰკვირვებივას მგელას იმის ასეთ საქციელი, —
— რას ჩადისავ,
ხვარ შაიშალავ,
მაგის ქნა ნეტავ რაისად უნდავ?...

და თაოდაც მკლავი და მაჯა
თავისებურ გავარჯიშებით მოუსინჯავ...

მემრე კი... მემრე
ხევსურეთის სალოცავებს შევედრებივ:
— დალოცვილნო, დამეხმარეთავ,
შენ, ტყვეთა მხსნელო
და წინამბრძოლო,
მოწამეო წმინდა გიორგივ,
შენც პირქუშო, პიროფლიანო
და შენც, კოპალავ, ლახტიანო,
დევთა მძლეველო,
თქვენც, ღვთისშვილნო, შემეწიეთავ!...

და ხმლის ელვისებრ მიქნევ-მოქნევით,
როგორც ნასწავლ ჰქონდ მამ-პაპათგან,
იმპერატორის რჩეულ მეომარი
გამორჩეულად მაუკლავის
და ისედაც გაოგნებულ იაპონელები
უფრო მეტად გაოგნებულ დაუტოვებავ...
და, მათი რაზმის მეთაურის პირობისამებრ,
თავისუფლებამინიჭებულ გამოსულას იმ ყაზარმიდან...

ეგეთ გმირ ყოფილ მგელა ლიქოკელი...

ციკლიდან: „სხვადასხვა“

ხევსურეთს მიმრავლე, ღმერთო, ხევსურები

სავედრებელი

მამ-პაპათ წეს-ადათის ერთგულად შემსრულებნი,
ხევსურეთს მიმრავლე, ღმერთო, ხევსურები...

არაგველებივით რომ იყვნენ გულადები
და მამულს იცავდნენ კვლავაც გულანთებით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლესავდნენ ფრანგულებს და ფარებს ფერავდნენ,
სულით კი ატარებდნენ კვლავ ჯაჭვის პერანგებს...

რომ მათი საბრძოლო ხაფი და ყიჟინა
მტერსა და ორგულს კვლავ სცემდეს შიშის ზარს...

მთა-ბარს ავედრებდნენ სამყაროს გამჩენს
და ღმერთებს სწირავდნენ ჯიხვებს და არჩვებს...

ჯვარ-სალოცავების წეს-რიგის შემსრულებნი,
ხევსურეთს მიმრავლე, ღმერთო, ხევსურები...

მაწმავლებ-დათვისლები, გველეთლებ-აჰოვლები[1],
მთებივით ლაღები და მთებივით ახოვნები...

ჩირდილელ-ლიქოკელნი, გუდანელ-ხახმატელნი,
თვით უფლის ყმანი და ყმანი ჯვარ-ხატების...

გვარ-ტომად ფხოველნი და ძირად ქართველნი,
პირიქითელნი და პირაქათელნი...

არღუნის, ასაის, არაგვის პირელნი,
საბრძოლო ლაშქარში ყოველთვის პირველნი...

არდოტლებ-ანდაქლები, ატაბლებ-ჯუთელები,
რომლებიც სამშობლოს ღამეებს უთენებენ...

შთამომავლები გმირი წინაპრების,
მამულის გულისთვის სიკვდილთან წილნაყრები...

ბლოელებ-ბისოვლები, ღულელებ-ჭიელები,
მომხდურზე კვლავაც რისხვად რომ იელვებენ...

მუცოელ-შატილელნი, არხოტელ-როშკელნი, —
თოვლიან მწვერვალებით და ციხე-კოშკებით...

თავის მთასიქითით და თავის გორშელმით,
ჯვარ-კვრივში შენახული საბრძოლო დროშებით...

მიუწვდომ მთა-გორებით, გაუვალ ტყე-ველით,
უტეხად რომ იდგნენ კვლავ მიღმაჰეველნი...

წინაპართ საფლავებით და შვილთა აკვნებით,
არც ვისზე მეტნი და არც ვისზე ნაკლებნი...

ახალგაზრდებით და ხანში შესულებით,
ხევსურეთს მიმრავლე, ღმერთო, ხევსურები...

[1] სოფლის სახელებია.

მონატრება

ისევ ავუვლი ჩემ ფხოვის ჭალებს
და ლამაზ დღეებს კვლავ გავიბევრებ;
ჯერ სიბერისთვის ვერ მოვიცალე,
არც მე ვახსოვარ, ალბათ, სიბერეს...

და მონატრებით, სულ რომ მაწვალებს,
ისევ ვეწვევი მშობლიურ სოფელს
და ერთხელ კიდევ შევკრებ მაწმავლებს,
ცაში მყოფებს და მიწაზე მყოფებს...

და ეშმა — მაცილს ვინც ამარიდა,
ვინც მიმაბარა ღვთისშვილებს ბავშვი,
კვლავ გამოვიხმობ ბნელ სამარიდან
და მათთან ერთად დიდ სუფრას გავშლი...

არ გავიხსენებ საგლოვ-სატირალს,
(რომ გაქრეს სევდა გულს მოჯარული!)
თამადად დავსვამ ხუცეს ბათირას
და მერიქიფედ შემთვრალ ჯამრულიჩს...

ძმა-ბიძაშვილებს ყველას დავიწვევ,
(რა ჯობს, ცოცხლებიც ერთად როცა ვართ!),
ჟიპიტაურით შევუვსებ ყანწებს
მამა-პაპათა დასალოცავად...

მალე ავუვლი ჩემ ფხოვის ჭალებს
და ლამაზ დღეებს კვლავ გავიბევრებ;
ჯერ სიბერისთვის ვერ მოვიცალე,
არც მე ვახსოვარ უკვე სიბერეს...

60 წლის თემურ ამყოლაძეს
60 წელი = 720 თვეს = 22000 დღეს

...ტყეში მკრთალად ციმციმებს
ძახველი და ცირცელი,
როგორ ჩუმად გასულა შენი 60 წელი...

მაგ სამოცის ხსენება დღეს არის საამოც კი,
რადგან იგი არ არის
მხოლოდ წელი სამოცი...

არის სამოცი ზამთრის, გაზაფხულის შემდგომი
სილამაზით შემოსვლა
ზაფხულის, შემოდგომის...

არის მხოლოდ მამულზე,
სამშობლოზე ლოცვისთვის
უფლისაგან ბოძება შენთვის 720 თვის...

22000-ჯერ მზის და
მთვარის ამოსვლა,
სინათლე და სიბნელე მარადიულ სამოსად...

22000-ჯერ შენთვის
დღისა და ღამის
მიერ გამეტებული სიხარულიც, ბალღამიც...

22000-ჯერ...
ღვთის კარნახით თუ ნებით,
ხილვა იმერეთის და შენი ქუთათურების...

ტყეში ისევ ციმციმებს
ძახველი და ცირცელი,
როგორ ჩუმად გასულა შენი 60 წელი...

სოფლის გახსენება
ეტიუდი

ჭრიჭინობლების შეკერილ ღამეს
გამთენიისას მამლები ჭრიან
და ორღობეში მდგარი სიჩუმე
სოფლიდან გააქვს ურმების ჭრიალს...
მეზობლებს მინდვრად გაჰყავთ ნახირი,
დილის ბურუსი ზეცისკენ იწევს
და გადაძახილ-გადმოძახილი
ზანზალაკებად ჰკიდია სივრცეს...

ზამთარი ბაკურიანში
ეტიუდი

მოვიდა თოვლი და მოიყოლა
ვრცელი მინდვრების ქარი მსახურად,
სახურავები წაშალა თოვლმა
და ახლა სახლებს თოვლი ახურავს...
ირგვლივ ხეებიც უკვე არ ჩანან,
თითქოსდა თოვლის ძეგლებად იქცნენ
და მხოლოდ ერთი ყვავი-ყვანჩალა,
როგორც ფოთოლი ჰკიდია სივრცეს...

* * *
ნაგვიანევი მეგობრული ლექსი მექას

გამოვაღწიე ათასნაირ ნარსა და ეკალს
და დროს ბოროტად მოყურადეს და მოდარაჯეს;
კვლავ მომიყევი სიყვარულზე ზღაპარი, მექა,
რომ შენს ტკბილ ზღაპარს ჩამოვეყრდნო,
როგორც ყავარჯენს...

გზად ჩამიარა შეუცნობი დღეების წყებამ,
მთვარის ნაწერი შრიალებდა ღამის რვეული,
ვერაფრით შევძელ შენი თავის გადავიწყება,
ვერც გონებიდან ამოვშალე ფიქრი წყეული...

შორიდან ვუსმენ მოგუგუნე ზარების რეკვას
და ვუმზერ სევდით ამოვსებულს არეს ქარებით;
მეც მოგიყვები სიყვარულზე ტკბილ ზღაპარს, მექა,
რომ შენ ჩემსავით სხვას არავის არ ეყვარები...

ჩანს, იმ შეხვედრას დროებითი ზღაპარი ერქვა,
(ჩვენი შეწევნა თვით უფალსაც ვთხოვე მრავალჯერ)
რა იქნებოდა, თუნდაც ერთხელ რომ დაგერეკა
და შენს ხმას ისე დავყრდნობოდი,
როგორც ყავარჯენს...

ბედისწერა

ეს შემთხვევითი აღმოჩენა არ არის მხოლოდ, —
მისი ღიმილი,
მისი თმები თითქოს მეცნობა;
გზად მხვდება ქალი,
დღეს რომელიც სხვა კაცთან ცხოვრობს,
ქალი,
რომელსაც, ვგრძნობ, რომ ჩემთან უნდა ეცხოვრა...

ჩვენ დაბადების წლებით დროში
ერთმანეთს ავცდით,
უფალმა, ალბათ, ეს შეცდომით ასე ინება;
იმ ქალს თან ახლავს, ჩემს მაგივრად,
ის ვიღაც კაცი,
რომელიც სულ სხვა ბედისწერის მისდევს დინებას...

ალბათ ეს არის ამ საწუთროს თავი და ბოლო, —
ქვეცნობიერით შევძლოთ ჩვენი ბედის შეცნობა;
გზად მხვდება ქალი,
დღეს რომელიც სხვა კაცთან ცხოვრობს,
ქალი,
რომელსაც, ვგრძნობ, რომ ჩემთან უნდა ეცხოვრა...

* * *
თქვენ უცხო კაცთან გხედავთ ამჯერად,
გაშლილი თმები გშვენით ისევე;
თითქოს ვეღარ მცნობთ, მაგრამ არ მჯერა,
„რომ თქვენ ვერაფრით ვერ გამიხსენეთ...“
ყოფილიყავით ჩემ გვერდზე, მსურდა,
მაგრამ უთქვენოდ გადის ზამთარი;
„ცა დააღამა ყვავების გუნდმა“,
გადაფრენილმა ფრთების ფართხალით...

* * *
დამთავრდა ჩვენი დღესასწაული,
ქარი დახურულ დარაბებს ანჯღრევს;
შენს მდუმარე სახლს როცა ჩავუვლი,
ვხედავ ჩამქრალ და დაგმანულ ფანჯრებს...
რა ვქნათ, ცხოვრება არის ასეთი,
იმ წარსულისკენ კვლავ ვიხედები,
როცა ყველაფერს ალამაზებდი
შენით სუნთქავდა სახლიც, კედლებიც...
ახლა შენ უკვე სხვის ბაღს უხდები
და სხვის მკლავებში სხივად ციმციმებ,
ჩემთან იყავი ფიქრში წუხელის
და მთელი ღამე ვერ დავიძინე...
დამთავრდა ჩვენი დღესასწაული,
ქარი დახურულ დარაბებს ანჯღრევს
და შენს სევდის სახლს როცა ჩავუვლი,
ვხედავ ჩამქრალ და დაგმანულ ფანჯრებს...

* * *
ოდეს გადიწმინდება
გაზაფხულის ცა ნისლით,
კვლავ თავისთან მეძახის ველ-მინდვრები კრწანისის...

სად ქალაქის ხმაურს და
ამ ქუჩების ყაყანს ჯობს —
ვნახო მოყელყელავე, თუნდაც ერთი ყაყაჩო...

სადაც ზამთრის ყინვების
შემდეგ ნაფერმკრთალევი
ქარში მწვანედ ელავენ მოლივლივე ალვები...

სადაც მზის ათინათით
და უცხო მონატრებით
ისევ შემოენთება ბაღებს შუქი ატმების...

საწუთრო

აქ არავინ დარჩება,
წავა ყველა წამსვლელი,
ამ საწუთროს მგზავრები იმ ერთადერთ წამს ველით.

იელთ გორზე იელი
ჩვენთვის აღარ იელვებს,
ჩამოდგება უკუნის უცხო სიცარიელე...

დაეშვება შრიალით
დროის შავი ფარდები,
ბოლოს, დასამკვიდრებლად, ყველა ცას ჩავბარდებით...

ზამთრის პირის მონოლოგი

დეკემბერი კვლავ მოვა
ქართა ავი გნიასით,
ჩუმად დაეფინება მთებზე თოვლის გლიასე...

ჩაქრებიან ტყეებში
ბზები და იელები
და ღამეში მშიერი მგლები კვლავ იელვებენ...

ჩანჩქერს დაეკიდება
ლოლუების ეჟვანი,
აივსება სამყარო სევდით და კაეშანით...

მეხსიერების განძთსაცავი

ნეტავი ის ძველი განცდა სად წავიდა?
ანდა იმ ლამაზი ქალაის თვალთ ლაციცი?
მეხსიერების განძთსაცავიდან
ამოგაქვს ყველაფერი, რაც გახსოვს, რაც იცი...

იქ იყო დღეები ტკბილი და მწარე
და წლები გაშლილი უშავეს ჭილოფად,
რომლებმაც გული მრავალჯერ დაბზარეს
და სულში დაგიტოვეს ათასი ჭრილობა...

იქ იყო სიყვარულიც, მზის შუქით ნაფერი
და უფლის ნების ღვთიური განცდა,
იქ იყო ყველაფერი, იქ იყო ყველაფერი,
რაც გზებზე გაილია და დროში გაცვდა...

და ფიქრობ: ის ძველი განცდა სად წავიდა?
ანდა იმ ლამაზი ქალაის თვალთლაციცი?
მეხსიერების განძთსაცავიდან
ამოგაქვს ყველაფერი, რაც გახსოვს, რაც იცი...

ცოტნე ავსაჯანიშვილი

„პადვალი“

ზღვასთან დადის ერთი დაცენტრილი კაცი. ანდაც რას დადის, ზის და იყურება, როგორც კაატინგაში დაკარგული სალოსი ესტებანი. ხანდახან ჩუმად იყურება, ზოგჯერ კი, რაღაცებს ბურტყუნებს კიდეც.

ორი წელია, კენტად მოთევზავე კაცს ვერ ნახავ თემქის წყალსაცავის უკაცრიელ ნაპირებში. შეშინდნენ მეთევზეები. გიჟი თავისუფალიაო, ამბობენ. რომც არ იყოს თავისუფალი, მაინც გვეშინიაო. თავისთვის რომ ლაპარაკობს, მაგისიც გვეშინიაო, იმიტომ, რომ რიბაკები ცრუმორწმუნეებიც ვართ და მისტიკური ყველაფერი გვაშფოთებსო. მეთევზეები ჯგუფ-ჯგუფად დადიან თბილისის ზღვის უკაცრიელებში, გიჟი ბევრს ერთად ვერ მოგვერევაო.

არადა, ვისაც დაუნახია დაცენტრილი, ისიც უთქვამს, არავისაც არ ერჩისო. გეგონება, არც ერჩის და არც ამჩნევსო. კაცმა რომ თქვას, ზოგი გიჟი პრინციპული გიჟია. ეგეთი გიჟები სულაც არ არიან თავისუფლები.

ოთარა

სანამ აქ იყო, კაი ბიჭი იყო ვალერა ვანიევი. კარგად იქცეოდა და, აბა, მე რა ვიცი, გულში რა ედო. შეიძლება, სულაც გვაგინებდა ყველას, მაგრამ პირში ვერ გვეუბნებოდა — ბევრნი ვიყავით. მეზობლობის ამბავში არაფერი ეშლებოდა და მაგარი ძმაკაცები არ ვყოფილვართ, ძმაო. მაგის და მევასებოდა ისეთ პონტში და ვინც მევასება, იმის ძმასთან ვერ ვძმაკაცობ. უფრო სწორად, ვისთანაც ვძმაკაცობ, იმის და არ დამევასება. მერე გავიგე, დაჩათლახობს ეგ ვანიევის დაო და გადამიარა. გავიგე კიარა, სახელოსნოში მეც მეთომარებოდა, მარა არ ვიკისრე. ტეხავდა ესე უპრაგონოდ მეზობლის ქალთან ამბავი.

ჰოდა, მერე მოხია მაგ ოჯახმა აქედან. ჯერ ომი არ იყო ცხინვალში დაწყებული. არც ვაწვებოდით ჩვენ, მაგრამ ეტყობა ისქესა ვალერამ, მოკიდა დედას და დას ხელი და წავიდა ორჯონიკიძეში. ის ამბები იყო, გამსახურდიას დროს რო მიტინგები და ამბები დაიწყო იქა. და ამან ეტყობა იფიქრა, რო აქ მონასტერი თუ აირევა, მეზობლობას და ძმადნაფიცობას დაიკიდებენო და მართალიც იყო და დავიკიდეთ კიდეც მერე.

ჰოდა, ეხლა რაღაცებს იძახიან ვალერაზე. ისეთებს იძახიან, ეგ რო ნაღდი იყოს, ჩემი ხელით დავბრიდავდი ჩემდათავად. რასაც იძახიან, ეგ ამბავი ნამდვილია თუ არა, ნაღდად არ ვიცი, მარა ის ნაღდად ვიცი, რო რაც აირია, ვანიევი გადმოსულა და ქართულ სოფლებს უბაგუნებს ავტომატით. არა, ნაღდია თუ არა, მამენტ, არც ეგ ვიცი, მე აქ ვარ, ის იქა და ჩემი თვალით არ მინახია, მარა დაუჯერებელი არ არი და ამიტომ მგონია, რო ვალერა ნაღდად ომობს ჩვენ წინააღმდეგ.

წიფურია

მე ღვინო მიყვარს. კი იძახიან დასავლეთში, ღვინის არაფერი იცისო არავინ, მაგრამ რაც ვიცი და რაც არა, კი მათრობს გემრიელად და პრიატნი დასალევიცაა. ჭაჭას კი არ ჰგავს, რომ გადაისვრი ხახაში და ტუალეტში რომ გარბიხარ, არიქა აბრატკა მომცაო.

კია მართალი, დასავლეთში, ღვინის არაფერი იცითო, რომ გვეუბნებიან, იმიტომ, რომ რაც თბილისში გადმოვსახლდი, ახლა გავუშინაურდი ღვინოს და ახლა შემიყვარდა, თორემ მარტვილში სულ ჭაჭას გეახლებოდით და არ მიყვარდა მე ჭაჭა. დათრობა მიყვარს მე ნამეტანი და დათრობა რომ მიყვარდა, იმიტომ ვიტანდი იმ ჩასაქცევი ჭაჭის გემოს. აბა, იქ რომ მქონოდა კარგი ღვინოები, რა სიკვტილი დამალევიებდა სევასტი მამფორიას საწამლავს?!

რომ ამბობენ, ღვინის არაფერი იცითო, დასავლეთში, სევასტი მამფორია მახსენდება სულ. მე მის არაყს ვსვამდი და საშინელება იყო მართლაც, მაგრამ მამფორია ღვინოსაც აყენებდა და ის ღვინოც დამილევია ორჯერ, თუ შეიძლება ღვინო ეწოდოს იმ კოწახურისფერ ოხრობას, მამფორია რომ ყიდდა ორ მანეთად ლიტრს და არასდიდებით არ გაჩუქებდა, მიუხედავად იმისა, რომ არ დაილეოდა მაგისი არაფერი.

არა, გეკითხები, ყურძენი რომ ყვითელია, ღვინო წითელი როგორ გამოდის?! მამფორიას ღვინო იყო სხვანაირი, წითელი გამჭვირვალე თუ რაღაცნაირი შინდის კამპოტივით, თორემ ვიცი მე წითელი ღვინოები რაცაა და როგორი კარგიცაა, იმდენი და იმდენგან მაქვს დალეული, შენ არც დაგესიზმრება, თელავში გინდა თუ რესტორან ფუნიკულიორში.

რა კარგია, რომ კახეთი თბილისთან ახლოსაა, ვგიჟდები კაცი პირდაპირ. ორ საათს ივლი და ისეთ და იმდენ ღვინოს იშოვი, გააფრენ და დაგავიწყდება ყველა ჭირვარამი, მანეთები რომ დაკარგე ისიც და ცოლს რომ აღარ ვუყვარვარ, ეგ ფხიზელსაც ფეხებზე მკიდია, ღმერთია მოწამე და წმინდაა მაგ ღმერთი ნამეტანი და მიყვარს ძალიან.

ღმერთზე რომ ასე ვლაპარაკობ, მაგით იმასაც უნდა მიხვდე, რომ არ ვარ მე ცუდი და ბოროტი კაცი და თუ რამე ისე ვქენი, ბოროტებით არ მიქნია მაგ. რაც უნდა კახური ღვინის სიდიადეზე გიმღერო ოდოიები, იმ დასაწვავ ოსს რომ ღვინო აქვს, ეგეთებს მარტო ჩემს მიერ ზემოთ ნახსენების მსგავსი ღმერთები სვამდნენ გრეციაში და რაც წავიდა, მის მერე რა ჯანდაბასღა დავლევდი იმ ღვინოს?! არადა, ვიცი... ვიცი მეე... აქვს მაგას სადღაც აქ. ისიც ვიცი სადაც.

ღვინო რომ მიყვარს, იმიტომ ვამბობ, რასაც ვამბობ. მაგრამ მარტო ეგ არ არის. იქ რომ ჩავიდა და ისვრის, მაგის გამო უკვე დასასჯელია მაგ ნაბიჭვარი. ჩვენ გავზარდეთ. კაცად აქ იქცა, თუ ეთქმის კაცი საერთოდ. ის კიდო ადგა და გვიშენს აკაესის პატრონებს. ე ბიჭო, რა ვაწყენინეთ ამისთანა მაგ ვირიშვილს. თავში არ ურტყამდა არავინ მის პაკალენიაში. ჰოდა, ის, რაც ვთქვი, რომ ქნა, მე არ მინახავს. არც ვინმეს უთქვამს, ვანიევმა ეგ ქნაო და, მაშასადამე, არც გამიგონია და შეიძლება, არცაა მართალი. მაგრამ კაცი რომ სროლას დაიწყებ და ომში ჩაებმები, იქ გოგოსაც გააფუჭებ და გინდა მატყუარა მეძახეთ, გინდათ პროპაგანდისტი, ნაბიჭვარია მაგ და დაისჯება კიდეც.

ბერდია

დედას გეფიცები, მე ბოლომდე ვიცავდი ყველაფერს. ჩემი კაცობა ჩემი მხრიდან მთელია. ჩემ თავთანაც მართალი ვარ და ღამეც მშვიდად მძინავს, მაგრამ ის ბიჭი რო მობრუნდეს ერთ დღესაც და მითხრას — ბერდია ძია, მე ეგრე გენდე და ვეში სად არიო, რა ვუთხრა, არ ვიცი და ისიც იფიქრებს — ამ ჩათლახმა თქვა, აღარც მოვაო და ყველაფერი ტეხნიკურად მითვისაო. არადა, ღმერთი, რჯული, მე მაგის გასაღებს ისე ვინახავდი... არა, ვინ დამიშლიდა?! ვინ მოიკითხავდა?! ისე წავიღებდი, პასუხსაც ვერ მომთხოვდა ვერავინ. გასაღები მე მქონდა. ჩაიბარეო და ჩავიბარე და ექვთიმე თაყაიშვილივით ვიყავი ორი წელი. შიმშილით რო სული გამძრობოდა, თითს არ დავაკარებდი და არც ვაკარებდი არაფერს. ესენი კიდე მომივარდნენ კალვერასავით და სამშობლოს ჭირდებაო, მიტრაკებდნენ. მეთქი, რა ჭირდება სამშობლოს, გასაღები?! დავაი, დაახვიეთ აქედან, თქვე არასწორებო. მიცემა იყოს, ჩემ ბიჭს მივცემდი. სუ მეშაყირებოდა, ყველაფერი, ყველაფერი და იმას რაღას ინახავ, რო დაძველდება მილიონები უნდა დაადოო?! მე რა უნდა დავადო, შვილო? მე რას უნდა დავადო? რაც ჩემი არ არი, იმას მე რა უნდა დავადო?!

არა, ეხლა ეგეთი დროა... არიი... არ არი... გინდა და შენია, ვსო. თუ ტრაკი გაქ, დაიადებ. ეგრე სად არი, ტო?! სახელმწიფო რო არა გაქ, კაცობაც აღარ გაქ?! მილიცია უნდა მილიციობდეს, რო შენ ის კაცი არ გაწეწო, ვისაც მთელი ცხოვრებაა უყურებ და სალამს ეუბნები?!

ბესპრიძელია რა. და ეს ჩემი ბიჭიც ატრაკებს და მე ვერ ვიბლატავე ეტყობა კარგად მაგის ბავშვობაში, ეგ რო ეგეთ რამეებზე ფიქრსა ბედამს.

ჰოდა, იმას გეუბნებოდი ჩემი დინო, რო ადგნენ და მაწვებიან სამშობლოს ჭირდება ოსის პადვლის გასაღებიო. მეთქი, თქვე ჩემისებო, პადვლის გასაღებია, განჯის გასაღები ჰოარა... რა სამშობლო და სავეცკი საიუზი. ამაზე ცალკე მომაწვნენ, საიუზი რა შუაშიაო. მეთქი, არ გამოვა, ძმებო, ეგ ამბავი და ამ მარტვილელმა არ მხია, ტო?! თან მიყვირის, მეო შენო კაცი მეგონეო და შენ სამშობლო არ გიყვარსო. მეთქი, ჩემდათავად სეპარატისტების დედაც რა ვთქვი, მარა შენი დედაც რა ვთქვი, შე ახვარო, ვის ურტყამ და უნდა გამეფინა, რო ვიღაცამ, ვერ დავინახე რომელმა, იარაღი გადამიტენა. მერე ეს ჩვენი მინანქარშიკი მეუბნება, ოთარა, ბერდო ძია, ჰო იცი, როგორ მიყვარხარო და არ გინდაო გმირობანაო, ყველაფერს იკისრებენ, ეხლა ისე არიან გამწარებულებიო. ოთარას ვეუბნები — რა ვქნა, ბიჭო, ესე როგორ მიშვებით თავზე, კაცმა ჩამაბარა... და ყველა ერთად იგინება — ვინ არიო კაციო, მაგის დედას ეგრე ვუქენითო და შემდგნენ მოკლედ. პროსტა ხელს ვეღარ მირტყამდნენ. უცებ გამოვარდა ეს ჩემი ცოლი, ეტყობა იარაღზე დაპანიკდა და გადაუგდო გასაღები ამათ.

ქართველი გოგო გააუპატიურაო, იძახდნენ. არ მჯერა მე. მე ჩემდათავად მართალი ვარ. მაგრამ უნდა შევკვდომოდი ალბათ. რო არ შევაკვდი, მაგის გამო ეხლა მთელი ცხოვრება უნდა ვამტკიცო, მართალი ვარ, მართალი ვარ-მეთქი. თან ვინმე კიარ მეკითხება, მართალი ვარ თუ არა?! შიგნიდან, ბერდია, ჩემი თავი მელაპარაკება და მიხურებს, ეგ როგორ გააბედინე, შე ჩემისავო.

ოთარა

ალბათ მურტალი სანახავია ტიტველი მშობელი. ან მშობელი ტრუსიკში. არ ვიცი, არ მინახავს მე არასდროს. მაგრამ ის, რაც ვნახე, არ ამომდის თვალებიდან და რამდენჯერაც მახსენდება, სულ გული მერევა.

მე ხო გითხარით, ოსი ვალერას და მევასებოდა-მეთქი. ისიც გითხარით, რო გავიგე, რო ქინძაობდა, მერე გული ავიცრუე-მეთქი. მაგრამ მასე მეგონა, რო ავიცრუე. ეხლა ვხვდები, რო გულის აცრუება ეგრე ადვილი არ არი. ნიუჟელი თავს ვიტყუებდი. ან იმ რეალობაში გაზრდილი ბიჭი ვარ, სადაც ბევრჯერ გაქინძული გოგო პროსტა ვერ გეყვარება. აი, შეილება გიყვარს, მარა შეუძლებელია, გიყვარდეს და ესე იგი, არ გიყვარს. მაგიტო ვაწვებოდი იმ ჩვენებას, რო დავიკიდე და მართლა მეგონა, რო დავიკიდე. ზუსტად ისეთი შეგრძნება მქონდა, როგორიც იმ კაცებს, რომლებიც მართლა იკიდებენ ხოლმე.

ჰოდა, რაღაცა მიჩქმალული ჭეშმარიტება რო ამოგიტივტივდეს თავში, ან ძალიან მაგარი რამე უნდა მოხდეს, ან ძალიან მურტალი რამე დაგემართოს. კაროჩე, გონება და სული უნდა შეგერყეს და მერე გაიგებ, რა გინდა და როგორ. ჰოდა, იმ დღეს, ის ჩათლახობა რო ვიკისრეთ მთელმა კორპუსმა, ბევრი მურტალი რამეები დამემართა. თავიდანვე ნელ-ნელა მოგორავდა მურტალი რამეები და კულმინაციის დროს მივხვდი, რო ვალერას დაიკო კიდე მევასებოდა.

ჯერ ბერდიას რო გაარტყა მარტვილელმა, მანდ ვიგრძენი თავი ძაან ცუდად. მარტო სიბრაზე რო მეგრძნო, რა უჭირდა. ჯერ ის მიტყდებოდა, ქაჯურ, პროჭულ, ჯგუფურ მარადიორობაში რო ვმონაწილეობდი იმიტო, რო მერე არ ეთქვათ, კორპუსს განუდექიო და დასასჯელი არ დასაჯეო... რა სამშობლო, თუ ძმა ხარ. ესეთი თუა სამშობლო, უნდა გვეომონ და უნდა მოგვიგონ კიდეც. ჰოდა, მაგრად მრცხვენოდა მე ეგ ამბები და ამ დროს მარტვილელმა ბერდიას გაარტყა. მე ბერდიას ხელში ვარ გაზრდილი. ბერდიას ბიჭი ჩემი ძმაკაცია. ეს წიფურია კიდე არ მევასება. რაც გადმოვიდა, სულ პროჭიაშვილს ვეძახი. ჰოდა, მეთქი, დავბრიდავ ეხლა ამ ნაბოზარს და მერე დავამუღამე, რო მთელი კორპუსი ბერდიაზე იწევდა და პადეშკას თუ მივცემდი, მეც ჩამქოლავდნენ და შემეშინდა, ბიჭო. ჩემი ძმაკაცის მამას, კაი კაცს ჩაგრავდნენ, ხელს ურტყამდნენ, აწვებოდნენ და მე იმათ მხარეს ვიდექი და ბერდიას ვეუბნებოდი — ამათ დაუჯერე, ეგრე ჯობია-მეთქი. ესე ნურასდროს ჩაგაჯმევინოთ გამჩენმა. მერე თავი შეგზიზღდებათ.

შუა ამბებში აღარ ჩავალ. ძაან გრძელია და საზიზღარი. ეს ხალხი კიდე მეჯავრება და დედაჩემიც მეჯავრება. მე არასდროს მინახავს ტიტველი მშობელი. მე არც საცვლებში მინახავს მშობელი. მაგრამ საშინელება იყო, როცა დედაჩემი, მე რომ მევასება, იმ ქალის ტრუსიკს მოარბენინებდა სახლში, მომერგებაო. ტრუსიკის მოპარვა რაღა საქვეყნო სასჯელია. ჩუმად მაინც იპარავდეთ, მთელი უბანი გიყურებთ, თქვე ჩემისებო... ჰოდა, ეგ საზიზღარი კადრი რო ვნახე, მაშინ მივხვდი, ვალერას და ისევ მინდოდა. იმიტო, რო სხვა შემთხვევაში ალბათ ეგრეც არ მეტკინებოდა და ამერეოდა გული.

წიფურია

ოსის ღვინო მინდოდა მე. აქ რომ ყოფილიყო, მომცემდა თვითონაც. მიდი ახლა და უხსენი მაგ იმ სულელ ბერდიას. მარტო თუ მივიდოდი და ვეტყოდი, დამალევინე ოსის ღვინო-მეთქი, ჭიტლაყით გამომკრავდა სადარბაზოში. მაგიტომ ვთქვი ის, რაც ვთქვი. ჩამოვიარე კორპუსში და ყველას მოვუყევი, როგორ წავიდა ვალერა ვლადიკავკაზიდან ცხინვალში და როგორ გააუპატიურა იქ გოგოები. არ ვნანობ არაფერს-მეთქი. ვლადიკავკაზიდან ცხინვალში მართლა წავიდა ის და ებრძვის ეროვნულ გვარდიას. ესვრის ქართველებს. იმასაც იზამს, რაც მე ვთქვი, არ დაუშლის გენი და ჭკუა. უბრალოდ, რომ არ გამიგია და ისე ვთქვი, მაგიტომაა ტყუილი თორე, იზამს ეგ მაგას, იზამს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივედით ყველა იმ სულელ ბერდიასთან გასაღებზე და იხტუნავა ცოტა. მოვდე კიდეც გემოზე. გაბრაზებული იყო ხალხი. ჩემკენ იყო ყველა. უნდა დავსაჯოთო ოსიო, იმისთვისო, რაც ქნაო. ცოლმა გადმოგვიგდო პადვლის გასაღები შეშინებულმა. დავიძარით ყველა ერთად, გავაღეთ კარი და შევედით. მე ვფიქრობდი, ავიღებ ღვინოს და გავალთ. ამათაც ვაცეცხლებ და მორჩება ყველაფერი. დავინახე ოცლიტრიანი ბოცა და ვიცანი მაშინვე. მოვკიდე ხელი და ამოვიტანე სახლში. უკან რომ ჩავდიოდი, გული შემიწუხდა კინაღამ. გადარეულა ეს ხალხი სულ. ურტყამდნენ ერთმანეთს. ჩემია, ჩემიაო, ყვიროდნენ. მანამდე სულ არ იყვნენ ქალები იქ, ახლა კი გაიძახოდნენ — შიმშილი და უბედურობაა ჩვენს თავს, ყველას გვიჭირს, მაგრამ მაიმუნები ჰო არ ვართ, რიგი დავიცვათო. კამპოტები, თეფშები, კრუშკები, ჯანდაბები და ყველაფერი გამოჰქონდათ ამ სასიკვდილეებს. მეხუთე სართულის თენგიზას ტომატები ეკავა და ხორხოცობდა, ასე გატეხეს ბასტილიაცო. ისტორიის მასწავლებელია მაგ და აწი რა ჯანდაბა უნდა ასწავლოს და რა ნამუსით ბავშვებს?! აბა, მე ფეხებზე მკიდია, ცხოვრებაში მორალის კითხვას არ დავუწყებ არავის, არც ტვინი მაქ მაგის და არც უფლება კიდო.

ვიცოდი, ეს ამბავი სულ მე რომ დამბრალდებოდა და დავიწყე გინება — რას შვებით, თქვე ოხრებო-მეთქი. ვინ მომისმინა?! მივარდენ ქალები, გახსნეს ჩემოდნები და კაბებს ვინ ჩივის, ლიფებს და ტრუსიკებს დაუწყეს დატაცება. რა ჯანდაბად უნდოდათ იმგენის ნაცვამი ფსუტიანი ტრუსიკები, ვერ გავიგე, მაგრამ კი მომინდა, მეცემა ყველა წკეპლით. ვიცოდი, საქმე-საქმეზე რომ მიდგებოდა, მაგ ტრუსიკებზეც იმას იტყოდნენ, წიფურიამ მოიპარაო და ჩემი ცოლის ტრაკზე ეგონებოდათ გადატკეცილი. არადა, არაა მასე მაგ. მე ასე არ ვფიქრობდი ამ საქმის გაკეთებას. ამათმა რაც იკისრეს, ჩემ ტყუილზე ნაკლები სიდამპლე არაა და ჩემი ტყუილი არცაა სიდამპლე და ათასჯერ გითხარი, რატომაც.

მე მარტო ღვინო მინდოდა. ღმერთს გეფიცები, ღვინის მეტი არაფერი წამიღია. თუ გინდა, ფულსაც გადავუხდი ვალერას. მოვიდეს, მომთხოვოს და მივცემ ოცი ლიტრის საფასურს.

ბერდია

რაზე უნდა ველაპარაკო ბავშვებს და დებილ ქალებს?! რამის გაგების თავი რომ ჰქონდეთ, გადამწყვეტ მომენტში რამე ვაჟკაცურის გაკეთების ტრაკიც ექნებათ. მაგრამ არც ერთი აქვთ და არც მეორე.

ესენი კიდე ტირიან, კრუგებს მირტყამენ და ახურებენ, დაგველაპარაკე, ბერდო, შენი ჭირიმეო. ექიმს მოვიყვანთო. მგონი, ჰგონიათ, რო გამიფრენია, აი... ჩვენს შორის გიჟის დედაც ვატირე, გაწყობთ?!

ზღვაზე ავდივარ ხოლმე. ცოტა ხანში ალბათ კარსაც დამიკეტავენ, გიჟის გარეთ გაშვება როგორ შეიძლებაო. აი, მაშინ დაველაპარაკები ყველას დედის ტრაკის შესახებ. ეხლა თქვენ არ გეგონოთ, რო მე ზღვაზე ავდივარ და ჩემ თავს ველაპარაკები. მარა მე ვერ ვხვდები სხვაობას ფიქრსა და თავთან ლაპარაკს შორის. თუ თავთან ლაპარაკი სიგიჟეა, მაშინ ფიქრიც სიგიჟეა... მგონი, ყველას მოცურებული გვაქ, უბრალოდ, ორ სიგიჟეს შორის უფრო რაციონალურს ვირჩევთ და უაზრო ვერბალურ მოძრაობებს არ ვაკეთებთ, რომ არ დავიღალოთ.

ამოვდივარ ზღვაზე და ვიღაცა მეორე ბერდია მელაპარაკება ხოლმე. სულ რაღაცებს მეკითხება და მე ქიმიის მასწავლებელს რო ვპასუხობდი ჩაჯმული, ზუსტად მასე ვპასუხობ მაგ მეორე ბერდიასაც. და ყველა პასუხის მერე რაღაცნაირად ვმშვიდდები, ბიჯო. პროსტა, ეს კითხვები არ მთავრდება, გესმის? უცებ დავმშვიდდები და, ბრახ, ახალი კითხვა მოდის და მერე ტრიალებს კრუგზე და მაგიტომ ამოვდივარ ყოველდღე თემქაზე. სახლში არ მაცდიან მოსმენას. სულ მელაპარაკებიან რაღაცა ქინძობებს. უბანშიც სულ ხმაურია. ყველგან მანქანების, ადამიანების და ავტომატის ხმა ისმის. თბილისის ზღვის უკაცრიელ სანაპიროებზე სიწყნარეა და ყველაფერი მესმის...

„მართალი ხარ, ბერდო?“

„მართალი ვარ. აბა, რა უნდა მექნა... თან მე არ მიმიცია გასაღები. ცოლმა მისცა.“

„ცოლმა ტრაკი რო მიცეს, ეგრე დათმობ?“

„ეგ რა შუაშია. ის მიცემა სხვა პალაჟენიაა, ეს სხვა...“

„რატო არ წაართვი, ბერდო, გასაღები?“

„ბევრნი იყვნენ, ვერ მოვერეოდი...“

„ვალერას რა უნდა უთხრა, რო ჩამოვა?“

„არ ჩამოვა. ან რაც მოხდა, იმას ვეტყვი. წავიდეს და სდიოს წიფურიას.“

„მართლა მშვიდად ხარ, ბერდო?“

„მშვიდად როგორ უნდა ვიყო. ჩემი თავი მელაპარაკება... თუ შემეშვები, დავმშვიდდები.“

„მართალი ხარ, ბერდო?..“

გიზო თავაძე

ესთეტიკის მასწავლებელი

სკოლის დამთავრების შემდეგ მძღოლის პროფესიის დასაუფლებლად ტექნიკურ სასწავლებელში ჩავაბარე გამოცდები.

ჩვიდმეტი წლის გახლდით და სამყარო ჩემი მეგონა.

პირველ სექტემბერს ჯინსებით, გრძელი თმითა და წვერგაუპარსავი გამოვცხადდი სასწავლებელში.

— ვინმე გარდაცვლილი გყავთ? — მკითხა ჯგუფის ხელმძღვანელმა (სახელი მისი, არისტო).

— არა, პატივცემულო...

— აბა, ვის გლოვობ? — ხმას აუწია და მოშვებულ წვერზე მიმითითა არისტოფანმა.

— ლენინს!..

— რაიო!!! სასწრაფოდ დატოვე გაკვეთილი და აქ არ დაგინახო მეორედ! — სახეშეშლილი გაჰკიოდა არისტო შავდია.

გამოვედი.

უკეთესს დასაწყისს ვერც ინატრებდი...

45 წუთი (გაკვეთილის ხანგრძლივობა) სასწავლებლის ეზოს დათვალიერებას მოვანდომე.

— მეორე გაკვეთილი ესთეტიკა გვაქვს მეშვიდე აუდიტორიაში! — მითხრა ჩვენმა უბნელმა ბიჭმა, რომლის გაცნობა დილითვე მოვასწარი.

* * *

მაგიდასთან იჯდა.

ჩვენ, ოცდახუთი მოსწავლე (სქესი — მამრობითი), ხმაურით შევცვივდით ოთახში.

არ ამდგარა, ისე მოგვესალმა.

— მე ესთეტიკას გასწავლით. იქონიეთ რვეულები და ავტოკალმები. ჩემი საგანი საგამოცდო არ არის, მაგრამ საინტერესოა. თუ ისწავლით, თქვენვე გამოგადგებათ, უკეთესები გახდებით. მე მქვია თეონა, თეოსაც მეძახიან...

— რა გვარის ბრძანდებით, პატივცემულო? — იკითხა თმადაუვარცხნელმა ბიჭმა.

— რა მნიშვნელობა აქვს, შილდელი ვარ...

დაიწყო... გასუსულები ვისხედით. საოცარი ხმით გვესაუბრებოდა. იჯდა და ყვებოდა. ჩვენზე ათი-თორმეტი წლით უფროსი იქნებოდა. უზარმაზარი ცისფერი თვალებით შემოგვცქეროდა. აუდიტორიაში დადებითი ველი და ენერგია მეფობდა.

ორმოცდახუთი წუთი თვალდახელშუა გაილია.

ორმოცდახუთი წუთის მერე ოცდახუთივე ბიჭი თეონა მასწავლებელზე ვიყავით შეყვარებული.

— თეო მასწავლებელო, ესთეტიკა კვირაში რამდენჯერ გვაქვს? — წამომაყივლა.

— ორჯერ — ორშაბათს და პარასკევს. მოგეწონათ?

— თქვენ მომეწონეთ, მასწავლებელო! — ეს არ მითქვამს, ამოვისლოკინე და ლამის ავტირდი.

— კარგი, ნახვამდის! — გაიღიმა.

ხმაურით წამოვიშალეთ. ოთახი თანდათან დაცარიელდა.

მასწავლებელი ისევ იჯდა.

ფეხს ვერ ვიცვლიდი.

— თქვენი სახელი?

— იოანე!

— გვარი?

— მინჩხი. უჰ, ბოდიში მასწავლებელო, თაბაგარი.

გაიღიმა.

— მხატვარი ხართ?

— არა, მასწავლებელო. ლექსებს ვწერ...

— გეტყობათ...

და წამოდგა...

ნეტავ არ დამენახა. ძლივს გასწორდა, ხელჯოხი აიღო (ამდენხანს რომ არ ჩანდა), თავი დამიკრა, გამიღიმა და...

აბღავლებას არაფერი მიკლდა, ღაპაღუპით ჩამომდიოდა ცრემლები.

— ნახვამდის, იოანე! — კარიდან დამიქნია ხელი.

* * *

მთელი კვირა არ დამინახავს.

როგორც იქნა, პარასკევიც მოვიდა.

მესამე გაკვეთილი ესთეტიკის გვქონდა.

ისევ ხმაურით აივსო აუდიტორია.

თეონა მასწავლებელი ისევ მაგიდასთან იჯდა.

ახლა ხელჯოხსაც ვხედავდი.

ისევ წამში გაილია ორმოცდახუთი წუთი.

კვლავ ორნი დავრჩით დაცარიელებულ ოთახში.

— წვერი გიხდება, გააგრძელე ლენინის გლოვა! — გამიღიმა და სიმწრით წამოდგა, — არისტო შავდიამ მოგვიყვა სამასწავლებლოში...

— ვიხუმრე, თეო მასწ...

— ვიცი, მაგრამ ასეთი ხუმრობისთვის მოსწავლეებს რიცხავენ...

— მადლობა გაფრთხილებისთვის!..

— ნახვამდის, იოანე!..

ტაქსი გავაჩერე. უეცრად თეონა მასწავლებელს მოვკარი თვალი.

— თეონა მასწავლებელო, წამობრძანდით, ქალაქისკენ მივდივარ.

— მე სამხედრო დასახლებაში ვცხოვრობ...

— მეც იქით მივდივარ (არადა, სხვა მხარეს ვეპირებოდი).

კარი გავუღე, მივეშველე.

დამშვიდობებისას თმები მომჩეჩა.

— კარგი ბიჭი ხარ, იოანე, მადლობა!

* * *

სამი თვე — ორშაბათი და პარასკევი — მაბოდებდა. სამი თვე მესიზმრებოდა თეონა მასწავლებელი. მისი გაკვეთილები ერთმანეთზე უკეთესები იყო. ორი სქელტანიანი რვეული გავავსე მისი მონათხრობით.

ერთხელ სიყვარულზე გვესაუბრა და ლამის გვატირა, ისე მოგვიყვა ის საბედისწრო ავტოავარია, როდესაც სიკვდილს ბეწვზე გადაურჩა და დაინვალიდდა.

გაკვეთილი კი ამ სიტყვებით დაამთავრა: „ის მაშინ მოკვდა!“

— ვინ ის? — იკითხა მწითურმა ჩაუტიძემ.

— არავინ. ავტობუსი გადატრიალდა და ყველანი გადავრჩით!

გაკვეთილი დასრულდა... ორნი დავრჩით.

— არ შეიძლება, იოანე, ბავშვები შეგატყობენ. სიყვარულს მალვა უნდა, ბიჭო!.. — თქვა და ატირდა.

მივედი და ლამაზ, ძალიან ლამაზ თავზე ვაკოცე.

* * *

მთელი კვირა აღარ წავსულვარ სასწავლებელში.

არისტოფანემ შემომითვალა: ან ავადმყოფობის ფურცელს მოიტან, ან მიგაწევ ლენინსო!..

სიტყვასიტყვით მომიტანა დანაბარები მწითურმა ჩაუტიძემ.

— სხვა მასწავლებელს არ ვუკითხივარ?

→

დასასრული

— კი, ფიზკულტურის მასწავლებელმა: რაღა ახლა გახდა ავად, ქალაქის ჩემპიონატი რომ იწყება ფეხბურთშიო!..

— სხვას?

— თეონა მასწავლებელმა იკითხა: იოანე რატომ არ დადისო!..

ველოდი...

მიყვარდა...

* * *

პარასკევს მივედი სასწავლებელში. სამი გაკვეთილის შემდეგ (მესამე ესთეტიკა გვქონდა) ქუჩაში გავედი. ჯერ ფიზკულტურის მასწავლებელს ვესაუბრე, სპორტულ დარბაზშიც შევირბინე. იქედან გამოსულმა ტაქსი გავაჩერე და... ისევ თეო მასწავლებელი დავლანდე.

— წამობრძანდით, თქვენკენ მივდივარ (ისევ ვიცრუე...).

— მეც ტაქსი უნდა ამეყვანა, დედაჩემმა ხილი გამომიგზავნა.

ჩანთა საბარგულში ჩავდე.

— სამხედრო დასახლებაში! — დავუზუსტე მძღოლს სვლა-გეზი.

— იოანე, თუ დრო გაქვს, ამატანინე ეგ ჩანთა მეშვიდე სართულზე!

ლიფტში შესვლისას მკერდზე მომიხვდა უცაბედად მკლავი და მთელ სხეულში ელექტრომუხტმა დამიარა.

გასაღები გამოვართვი და კარი გავაღე.

ერთოთახიან ბინაში ცხოვრობდა.

ოთახი წიგნებით იყო სავსე.

— დაჯექი და ყავას დაგალევინებ.

— ჩავალ და კონიაკს ამოვიტან!

— მაქვს „ვარციხე“.

— ვინ მოკვდა ავარიის შემდეგ, თეო მასწავლებელო?

— ის!

— აჰა, გასაგებია...

— მეგონა, ვუყვარდი, მან კი, როგორც კი გაიგო, ფეხი დავკარგე, აღარც კი მნახა, ავტოვარიამ გადამარჩინა და თვალი ამიხილა, თუმცა, მაინც ვერ გავძლებდი არაკაცთან...

— თქვენ გაგიმარჯოთ, თეო მასწავლებელო!

— გაგიმარჯოს, იოანე, ახლა ყველაზე მეტად შენ მიყვარხარ, დედას ვფიცავარ!..

მთელი ბოთლი დავცალეთ...

მერე მაკოცა.

— იოანე, თორმეტი წლით უფროსი ვარ შენზე, ეს არ თქვა სადმე, ბიჭო, მადლობელი ვარ ამ სიყვარულისთვის...

— თეო მასწავლებელო!..

ვტიროდი ბავშვივით (17 წლისა გახლდით)...

— კარგი, დამშვიდდი. მე აბაზანაში შევალ...

თეთრი ქათქათა ხალათით შემოსილი გამოვიდა, უღვთოდ ლამაზი იყო. გულზე მომეკრა.

— წავიდე?

— შედი, იბანავე!

საწოლში დამხვდა.

არც ხელჯოხი ჩანდა და არც „პროთეზი“.

— თეო (მასწავლებელო ვეღარ ამოვთქვი).

— მოდი ჩემთან, ოღონდ, წელსქვემოთ ხელი არ წაიღო და არც შემომხედო!

ესთეტიკა საგამოცდო საგანი არ იყო...

ის...

დაუნდობელია წუთისოფელი.

ჟამთა სრბოლა ხომ ათმაგად დაუნდობელია — ისე გაგეპარება, თვალის შევლებასაც ვერ მოასწრებ. ასერიგად დამემართა, ოთხი ათეული უკან მოვიტოვე და ისევ მარტოხელა მგელივით ვცხოვრობ.

ოცდაათისა მივხვდი, რომ ფიზიკის კანონებით და მასწავლებლობით თავს ვერ გავიტანდი; მერე რა, რომ ცოლ-შვილი არ მყავდა სარჩენი, სამაგიეროდ, მოხუც დედას ჭირდებოდა მოვლა, რომელიც, რაც თავი მახსოვს, სულ ავადმყოფობდა.

მივხვდი და შევიცვალე კიდეც პროფესია. მთის სოფლები ჩამოვიარე, ძველი და გამოუსადეგარი ნივთები (ძირითადად სპილენძის) შევიძინე, მერე ჩავუჯექი და ისეთი სასაჩუქრე ნივთები დავამზადე, თავადაც არ ვუჯერებდი თვალებს. ძირითადად, უცხოელები ყიდულობდნენ და სოლიდურ გასამრჯელოსაც იხდიდნენ.

სახლიც შევაკეთეთ და უცხოური მაღალი გამავლობის მანქანაც ვიყიდე, მთებში რომ მევლო ძველი ნივთების შესაძენად: მადა ჭამაში მოდისო და მეგობარ კერამიკოსთან თიხის საიდუმლოებებს გავეცანი. მალე ისე დავოსტატდი, ცნობილ კერამიკოსებსაც არ ვუდებდი ტოლს. რამდენიმე გამოფენაშიც მივიღე მონაწილეობა.

ოცდათხუთმეტი წლისას დედა გარდამეცვალა და მარტო დავრჩი. მალე ქალაქიც მომწყინდა და ტყის პირას სააგარაკე ადგილი შევიძინე პატარა ქოხით, რომელიც ისე მოვაწყვე, უცხოებიც კი მოდიოდნენ სანახავად. ერთი-ორჯერ უბნის რწმუნებულიც ამოვიდა. ღრმად სუნთქავდა, ეგონა, მარიხუანის სურნელს იყნოსავდა და მორიდებით მკითხა: ის წვერიანი ხალხი, აქ რომ დადის, ვინ არისო? როცა გაიგო, რომ მხატვრები და მუსიკოსები მსტუმრობდნენ, შვებით ამოისუნთქა.

ქალაქში იშვიათად ვრჩებოდი. ქოხის გვერდით პატარა სახელოსნო გავმართე და თიხასაც იქ ვზელდი, სხვადასხვა ნაკეთობასაც იქვე ვამზადებდი, უცხოელებიც ტყეში მაკითხავდნენ, ქალაქიდან ოციოდ წუთის სავალზე. ზოგჯერ მარტოხელა ამორძალებიც ამოდიოდნენ რიგ-რიგობით, ზოგი რჩებოდა კიდეც.

ოთხ ათეულსაც გადავაბიჯე-მეთქი, გულალალად გაგიმხილეთ. არც არაფერს ვნანობ, ალბათ, ასე უნდა მომხდარიყო. ჟამიჟამ ჩემს ირგვლივ ისეთი ამბები ხდებოდა, სიზმარი მეგონა...

ერთ საღამოს ის მეწვია.

მისამართი საიდან გაიგო, არ მიკითხავს. ტაქსით ამოვიდა. ათი წელი არ მენახა, ვფიქრობდი, ალბათ, გათხოვდა-მეთქი.

ის ჟურნალისტი იყო. სახელიც მახსოვს, მაგრამ თქვენთვის რა მნიშვნელობა აქვს?

ის, და მორჩა.

ქოხის წინ მდელოზე გავშალეთ სუფრა. კიტრი, პამიდორი, ბანანი და კონიაკი გამოეყოლებინა ქალაქიდან. ოჯალეში და დაწინწკლული კალმახი (მეთევზეების მოკითხული) მე შევამატე და კაი ხანს ვიჭუკჭუკეთ. მოკლე კაბა ეცვა და თავიდან უხერხულად იჯდა მდელოზე, მერე და მერე გაშინაურდა (ღვინო-კონიაკმაც იმოქმედა) და თვალიც ბარე ორჯერ გამექცა თეთრი მღვიმისკენ (ქალს რას გამოაპარებ)...

— რატომ ცოლს არ შეირთავ?

— რაღა დროს ცოლია?!

— შეირთე, შვილებს მოესწრები!

— ვნახოთ, ვნახოთ...

— ვინმე არ გიყვარს?

— ვერავინ შემიყვარა, რთული ვარ...

— მარტო რომ ხარ ამ ტყეში, არ გეშინია?

— ფულს აქ არ ვიტოვებ და ვინ დამესხმება.

ადგა. მუხლი გამართა. წყაროსთან მივიდა და სიგარეტს მოუკიდა...

— აქ არ ეწევიან, ეკოლოგიურად სუფთა ადგილია!

— მართლა? არ მეგონა. ისე, რამე რო იყოს, ხომ ჩამიყვან ქალაქში?

შევატყვე, ეწყინა.

— შენთვის გეუბნები, ნიკოტინის სუნიან ქალს ვერ ვკოცნი...

— ვინ გთხოვა...

— თვალებმა და ტუჩებმა...

სუფრა ავალაგეთ. თეფშები დავრეცხეთ. ტელევიზორს მივუსხედით.

— მეორე საწოლი გაქვს?

— რად მინდა, მარტო ვცხოვრობ...

არადა, ყველა სკამი თუ სკამლოგინი იშლებოდა, იატაკზე გასაშლელი ტყავებიც ბლომად მქონდა.

ის 32-33 წლის იქნებოდა, მახსოვდა, რომ ათი წლით ვიყავი უფროსი.

საღამურს მე ვინ მომაშავებდა, ამიტომაც, ლურჯი ტრუსით და ცისფერი ბიუსჰალტერით შესრიალდა საწოლში. თავში ათასი ფიქრი მიტრიალებდა: სად ცხოვრობდა, რატომ არ ჩანდა, რატომ ამოვიდა, ვინ მოასწავლა, თან ფეხს ვითრევდი, არ ვჩქარობდი. ტყავი გამოვიტანე და იატაკზე გავშალე.

— მართლა თუ არ გქონდა სხვა საწოლი, წავიდოდი!..

— ეგ საწოლი ორზეა გათვლილი...

ხმა არ გაუცია.

შუქი ჩავაქრე. მაისური და შარვალი გავიხადე. საწოლზე ჩამოვჯექი.

— ცოტა გაიწი, ხომ ხედავ, ფილმს ვუყურებ!..

ფრთხილად მივუწექი.

ისეთი ცხელი იყო, მეგონა, ბუხარში ჩავვარდი (მთვრალ ბიძაჩემს რომ დაემართა...). კარგახანს ვდუმდით, მხოლოდ ტელევიზორი არღვევდა მყუდროებას.

როგორც იქნა, ამოვთქვი:

— მომეხუტე, მომეფერე!..

— არა, მეშინია, თავს ვერ მოთოკავ...

— იქნებ, ვერც ახლა მოვთოკო.

— არა, არ შეიძლება!..

— აუუუ! — გავიფიქრე ხმამაღლა.

აბა, რისთვის ამოვიდა, რატომ დარჩა, რა უნდა, ვინ მოაგზავნა, ქმარი თუ ჰყავს, შვილებს თუ ზრდის, ახლა სად მუშაობს და თანდათან ამერია ყველაფერი, ვნებამაც დამრია ხელი, მკლავებში მოვიქციე, მკერდი მოვუშიშვლე, ძლივს დაიბრუნა სუნთქვა:

— თაურანგ, რაღაცას მოგიყვები და მერე...

ცრემლები ცვიოდა.

— მოყევი, ჰო!

— პატარები ვიყავით — მე — ხუთის, ჩემი და — სამის. ეზოსთან ჩანჩქერი ჩამოდიოდა, ქვემოთ კი აუზი იყო, სადაც დიდები ბანაობდნენ. ბავშვებს იქ ვინ გაგვიშვებდა...

— მაბამ? რაებს მიყვები, თუ ქალწული ხარ, ახლავე ჩაგიყვან ქალაქში!..

ისევ დავუპირე მოფერება, მსუყე ბარძაყებშუა შევრგე ცალი ფეხი, უფრო ავინთე, ტუჩებზე ხელი მომაფარა:

— თაურანგ, მარტო მაგ სახელის გამო მომწონდი. მგონი, მიყვარდი კიდეც, შენი ახირებული ქცევების და სიკეთის გამოც, მომისმინე და მერე...

— კარგი, გისმენ!..

კედლისკენ გადავბრუნდი.

— გავიპარეთ მე და ჩემი დაიკო, ღობეზე გადავძვერით, შინ ბებია იყო მხოლოდ, ისიც უსინათლო, ჩანჩქერის ხმაურში მისი ხმა იკარგებოდა და შეშინებულმა ჩემმა დამ მითხრა, დავბრუნდეთ, ბებო გაგვლახავსო. თმებში ჩავავლე და ჩანჩქერისკენ წავიყვანე, ტირილით მომყვებოდა, მე კი მისი ოქროსფერი კულულები დღემდე მელანდება, ჩანჩქერის პირას მივედით, ქვემოთ ჩავიხედეთ, აუზში იხვები ცურავდნენ, მე ფრთხილად მივყვებოდი საცალფეხო ბილიკს,რომელიც ხის გათლილი მორით გადადიოდა მეორე მხარეს. როცა მორზე შევდექი, იას ხელი გავუშვი და ვუთხარი, ფრთხილად გამომყოლოდა, შეშინებულმა თვალები შემომაფეთა და ფრთხილად გადმოდგა ნაბიჯი, ხელიც გამომიწოდა, მე კი, ღმერთო, რატომ მტანჯავ და რატომ მაცოცხლებ, ეს ხომ მხოლოდ მე და შენ ვიცით, არც საბრალო ბებომ, არც მშობლებმა, მე ვიცი და შენ, ღმერთო! ხელი ვკარი და აქაფებულ აუზში გადავჩეხე, დაფეთებული იხვები გიჟებივით ამოცვივდნენ, მე სიცილისგან ვიგუდებოდი, ერთი-ორჯერ ჩემი დის ოქროსფერ კულულებსაც კი მოვკარი თვალი და... რამდენიმე საათის შემდეგ გონდაკარგულმა მამაჩემმა თავისი ხელით ამოიყვანა თვალებგაყინული ჩემი ულამაზესი დაიკო. ერთ თვეში ბებია გარდაიცვალა, მამამ ინსულტი მიიღო და მარცხენა მხარე გაუშეშდა, დედა დღემდე შავგაუხდელად დადის...

მოტრიალდა და გულზე დამემხო.

ცხარე ცრემლებით ტიროდა.

რაღა დამაძინებდა.

ავდექი და მთელი შუშა არაყი გადავიპირქვავე.

მკვდარივით ეძინა.

იატაკზე მივწექი.

* * *

ადრიანად გაღვიძებოდა, გამოპრანჭულიყო.

— ქალაქამდე ჩამიყვან?

ძლივს გავახილე თვალი.

დამშვიდობებისას გულზე მაკოცა.

ამოვბრუნდი და შეტყობინებაც მოფრინდა:

„თაურანგ, მაპატიე, მე და არასოდეს მყოლია!..“

სიყვარული მრავალწერტილებით...

მცირე პროზა

თავდავიწყებამდე ვუყვარდი...

ვუყვარდი ოდითგანვე...

თუ დავისაჭიროებდი სისხლს, ბოლო წვეთამდე მომცემდა...

სხეულს ხო...

არასდროს დაუნანია და ყოველთვის, როცა სარეცელს ვიზიარებდით, მთავარი თვალშეუდგამი სიყვარული იყო, რაც უამეს ნეტარებას გვგვრიდა ორივეს...

განმარტოება მის მყუდრო, თბილ და სუფთა სენაკში ხდებოდა, როცა ხელისშემშლელი არავინ ჩანდა...

ხელისშემშლელი და მოშურნეც ბევრი იყო, ასეთი სუფთა და უანგარო სიყვარული, ასეთი თავდავიწყება როგორ შეიძლებაო...

ჟამიჟამ ბედოვლათიც ჩადგებოდა წმინდა სიყვარულს შუა...

მე თავისუფალი ვიყავი, როგორც ყოველთვის...

არაფერს ვამადლიდით ერთმანეთს, მით უფრო სხეულს...

არც არასდროს დაგვიკავებია ერთმანეთისთვის; სუნთქვა, სიტყვა, ხელ-ფეხი, ვნება...

მოგვესურვებოდა ერთმანეთი და...

სადაც არ უნდა ვყოფილიყავ, ჩემთან იყო, სახიერადაც...

იმ საღამოსაც გამომიარა, სულიერი ტკივილი ეწერა სახეზე, მეგონა, ვკითხულობდი მის ფიქრებს, როცა თვალებში ვუყურებდი...

მომეყრდნო და მომეთბო...

რატომღაც სურვილმა დამრია ხელი და მოსასხამი შემოვძარცვე...

პირველად გამიძალიანდა ამდენი ხნის განმავლობაში, კოცნაზეც კი ვერ მიპასუხა და ვერ მივხვდი, ხელი რომ არ უნდა მეხლო...

ძალად გავხადე მაღალყელიანი წინდა, ვემსგავსე მტაცებელს და დავიურვე სრულიად უცხო...

სად გაქრა მისი ცეცხლოვანი ალერსი, მისი საამო წამოკვნესანი, მისი ხელები, ფეხები, სხეული, რომელიც არანაირად არ მპასუხობდა...

შეჩერებასაც არ ჰქონდა აზრი, გვიან იყო...

სად დავმალულიყავი, აღარ ვიცოდი, წელი აითრია, ალასლასდა, ერთი სიტყვა თქვა...

ასე ბოზებს...

ტყვია რომ ესროლა...

სლუკუნით, ცრემლებით სავსე, გასასვლელს ვერ აგნებდა...

ათწლეულები გავიდა...

ვერ მოვინანიე...

ნეტავ, მაპატია?!

მეც ბოლოწვეთამდე მივცემ სისხლს, თუ დაისაჭიროვა...

თავდავიწყებამდე მიყვარს...

სახინკლეში

ამერიკულ ფილმებში რომ არის, ბარში რომ შეხვალ უხასიათო მამრი და ბარმენიც უსიტყვოდ რომ გისხამს, თან ვისკის ჭიქას აპრიალებს და ელოდება, გულს როდის გადაუშლი, ბარის ქვეშ გადაჭრილი თოფი აქვს შეყენებული და საქმე ისე აქვს აწყობილი, ძალიან თუ გაუგე, შეიძლება, ერთი ჭიქაზე დაგპატიჟოს კიდეც, მაგრამ ეს კინოებშია-მეთქი... აქ, ყველაზე კაი ვარიანტში, შეხვალ აყროლებულ სახინკლეში და შეკვეთას მისცემ ნემიროვის და ჩამოსასხმელი ლუდის, ხინკალთან და რამე მსუბუქ მისაყოლებელთან ერთად და იმასაც იმდენ ხანში მოგიტანენ, რომ უკვე აზრი არ აქვს არაფერს. ესე შევედი სამსახურიდან ახალი გამოშვებული, ორი დღის მოშვებული წვერითა და უკვე დაბერებული სახით დასალევად. ხალხს თვალი გადავავლე და ოდნავ მესიამოვნა, ნაცნობი სახეები რომ ვერ დავინახე. გვერდით მაგიდასთან გოგო და ბიჭი ხინკალს ჭამდნენ, თან აშკარად იპრანჭებოდნენ, არადა, ეტყობოდა, ორივეს მაგრად შიოდა. ბიჭს გლეხური მოძრაობები ჰქონდა, გოგო აშკარად მაგარი ჭკვიანი, მაგრამ უკიდეგანოდ გოიმი. ბოლოდროინდელი ჩემი სასიყვარულო ურთიერთობებიდან გამომდინარე დაგინებული მქონდა ლამის, რომ თუ მოვიყვანდი ოდესმე ცოლს, ისეთ გოიმს მოვიყვანდი, რომ ლაპარაკიც არ ეცოდინებოდა, მოფერებით მუმუს დავუძახებდი, თან 9 კლასი ექნებოდა დამთავრებული და ისიც ღამის სკოლის. ტელევიზორში ფეხბურთი გადიოდა, ჩემი მარტო ჯდომა არ გაუკვირდებოდათ, ალბათ, იფიქრებდნენ, რომ ფეხბურთს ვუყურებდი. ბექა შემოვიდა, ჩემი მეგობრის მეგობარი, ვიღაც გოგოსთან ერთად და თავისუფალი მაგიდა რომ ვერ დაინახა, სახე დაებრიცა, მაგრამ მე რომ შემამჩნია, ისე გაუხარდა, მგონი, მამაჩემს არ გახარებია ჩემი დანახვა ეგრე, რომ დავიბადე. ჩქარი ნაბიჯით წამოვიდა ჩემსკენ, ეს გოგოც წამოაქინჩილა. დაჯექი-მეთქი, რა უნდა მეთქვა, არადა, მაგრად მეზარებოდა ორასი წლის უნახავი ბექა და ვიღაც გოგო. მიმტანს გავძახე და შეკვეთა დავუმატე. ნინუცა გამაცნო, დიდად არ მივაქციე ყურადღება, ჩემი „გონკები“ მქონდა. ბარსაზე ვდგავარო, ისე მითხრა, გეგონება, წყლის თხილამურებზე იდგა და საკუთარ კატერზე იყო ჩაბმული. მეც-მეთქი, არ გავუტეხე. სალაპარაკო არაფერი გვქონდა, გაგვიმარჯოს-მეთქი და ჭიქა მივურტყი. ბექამ წარბები შეკრა და სევდიანი სახე მიიღო, აქაოდა, მაინც ვერ ავცდი დალევასო და გადაკრა. უცებ ნინუცამ იკითხა, მე არ მინდაო? ბოდიშების მოხდით მოვატანინე ჭიქა და დავუსხი. ბექამ უცებ გამარკვია სიტუაციაში, ჩემი მეჯვარეაო და თიკოს ანუ ჩემს ცოლს ველოდებით, უნდა მოვიდესო. არ ვიცი, რატომ, მაგრამ მესიამოვნა. მეორე ჭიქა ჩვენი შეხვედრის დავლიეთ. უკვე ხსნიდა ნელნელა და ვატყობდი, უფილტრო არყის გემოც აღარ მაწუხებდა. მოწევა მომინდა, წამო, მოვწიო-მეთქი და დანანებით მითხრა, აღარ ვეწევიო. ისე, ზოგადად, რაღაცნაირი ტიპი იყო, არ გაგაღიზიანებდა, მაგრამ სულ დანანებით ლაპარაკობდა ყველაფერზე და ყველა წინადადებას „აუ“-თი იწყებდა. „მამენტ“ მეკიდა, ბექას თიკომ იკითხოს, თორემ მე ყველაზე კაი შემთხვევაში წელიწადში ერთხელ ვნახულობდი. ნინუცა გამომყვა, წინ გავუშვი. წითელი „იუბკა“ ეცვა და შავი „კალგოტკები“ — არ ვიცი, ქართულად როგორ არის ეს სიტყვა, ჩულქიო არ მითხრა, ჩულქი ბებიაჩემსაც არ ეცვა „დაჟე“. კარგი ტანი ჰქონდა. სიგარეტი რომ დაიჭირა და მოვუკიდე, თითებს შეეხედე, გრძელი და ლამაზი იყო, თვალები ჭკვიანი და ოდნავ დაღლილი, ამასაც თავისი მილიონი „გონკები“ ექნება-მეთქი, გავიფიქრე. შიგნით მოწევა მომენატრა, ამკრძალავის დედა რო ვატირე-მეთქი და გულიანად გაეცინა. ცოტა მეც ავღლაბუცდი. ტვინში მაქვს ერთი „ვინტი“, რომელიც მოშვებულია და თუ ვსვამ, აუცილებლად ძვრება. ვატყობდი, მოირყა და დროის ათვლა დაიწყო. კიბეზე თიკო ამოდიოდა. ვაო, გაუკვირდა ჩვენი ერთად დანახვა, ბექა სადააო. მერე იკითხა: სვამთო? და ისიც დაიჯღანა, ეტყობა, ხარი ხართან რომ დააბა, ეგ ვარიანტი იყო და ამასაც გადაედო ყველაფრით უკმაყოფილება. ნინუცა შეჰყვა. მე დავრჩი და ერთი-ორი ადგილობრივი აბორიგენი გადავკოცნე სტანდარტული „ბაბუ-ბებეროთი“. ამ დროს ნინუცა გამობრუნდა, ამიარა გვერდი და კიბეზე ჩამოჯდა, თან ტელეფონზე ლაპარაკობდა ჩხუბით, მთლად ჩხუბით არა, მაგრამ დაძაბულად. მეც იქვე ვიდექი და მეორე ღერს ვეწეოდი, თან ვუსმენდი. ან დედამისს ეჩხუბებოდა ან შეყვარებულს, ესე გულით მარტო ამ ორ ადამიანს უჭედავ ცხოვრებაში. უცებ გათიშა ტელეფონი და წამოხტა, მე რომ შევეფეთე, არ შეიმჩნია და ძალიან მეგობრულად მითხრა: წამო, დავლიოთო. კი, გენაცვალე-მეთქი, გულში ჩამეცინა და გონებაში ოთახში სუნამოს ყუთში ჩაყრილი პრეზერვატივები გადავითვალე. შევედით და ბექამ, სად ხართ ამდენ ხანსო, ხინკალი გაცივდაო და ეცა და ერთი გადაიღო. ისე, ადამიანი რომ ერთ ხინკალს გადაიღებს და იმასაც ჩანგლით, იმას ვერ ვენდობი. ხო არის, რომ ზოგი,

ვინც არ სვამს, ან ვისაც ბევრი ცოლი ჰყავდა, იმას ვერ ენდობა; ზოგიერთი კიდევ წიკიან ტიპებს ვერ ენდობა. აი, მე ხინკალს რომ ჩანგლით ჭამენ და თან ერთს გადაიღებენ, იმას ვერ ვენდობი. ორი დაუწერელი კანონი დაარღვია 5 წამში ტიპმა. ბექამ თამადობა ითავა, დიდად მეც არ ვიყავი ლაპარაკის ხასიათზე და არ გამიპროტესტებია. მიცვალებულები გაიხსენა, უზომოდ სევდიანად და გულნატკენმა. საღღეგრძელოს რომ მორჩა, გაჩუმდა, თითქოს წუთიერი დუმილი მიაგო, თან თვალი თამაშისკენ გააპარა. მერე უცებ, მოდი, ძმაოო, დიდხანს გაჩერება არ შეიძლება და ერთიც შევსვათო, ჭიქა სამი თითით დაიჭირა და ჩვენმა პატრიარქმა ბრძანა, მიცვალებულების შემდეგ ბავშვების კი არა, ჩემი სადღეგრძელო დალიეთო და მოდი, პატრიარქს გაუმარჯოსო. კი, გენაცვალე-მეთქი, რა უნდა მეთქვა. პროსტა, სად თქვა ეგ, არ გამიგია. მე თუ არ გამიგია, ანუ იმასაც არ გაუგია. მეეჭვება, ჩემზე მეტად მორწმუნე ყოფილიყო. ამხელა ყურადღება იმიტომ გავამახვილე, რომ არ ვიყავი ესე ოფიციალური დალევის ხასიათზე და ის კიდევ მაგრად მექელეხებოდა იმ სახინკლეში. მეორე ბოთლზე უკვე შევატყვე, მაგრად შეთვრა. ეტყობა, ლუდმა და არაყმა აურია ტვინი და თიკოც ანერვიულდა, დავიძრათო. ბექა უკვე ბურტყუნზე გადავიდა და ალაგ-ალაგ „ტყ“-ს ურევდა თიკოსთან ჩურჩულში. გავიდეთ-მეთქი, თვალი ჩავუკარი ნინუცას და ანგარიში მოვითხოვე. ბექა გამობანცალდა, პირველსავე ტაქსიში შეტენა თიკომ და თქვენ რას იზამთო, გვკითხა. მე მივაცილებ და მერე სახლში დავგაზავ-მეთქი. გკოცნითო და შეხტა, რადგან ბექა უკვე ტაქსისტის პირველს ეწეოდა და თან უხსნიდა, რამდენი ხანია, დაანება მოწევას თავი. ნინუცას ვკითხე: სად ცხოვრობ-მეთქი და ახლოსო — მითხრა — ვერაზე, ფეხით ათი წუთი მოვუნდებოდითო. ტაქსი რომ გამეჩერებინა, ჯერ ჩემი სახლი იყო და მერე იმის, ამიტომ მეზარებოდა „კრუგების“ რტყმა და ბარემ ამას მივაცილებ ფეხით და თან გავისეირნებ-მეთქი, ვიფიქრე. არ გაუპროტესტებია, თან ჯერ თორმეტიც არ იყო. ამინდიც შემოდგომისებური გრილი იყო, მაგრამ ნასვამზე სასიამოვნო. ვის ეჩხუბე-მეთქი, ვკითხე და ისე შემომხედა, დამაკვირდა, აშკარად ვენდო-არ ვენდოს პონტში. შეყვარებულსო — მითხრა — უფრო სწორედ, ყოფილ შეყვარებულსო. ვაა, ერთ ბედქვეშ ვყოფილვართ, მეც ახლა დავშორდი და გაბრაზებული ვარმეთქი. გაბრაზებული რატომო. ტრაკი გადო შარაზე და მრცხვენია-მეთქი. აბა, მაშინ უნდა დაგველიაო და გაგვეცინა. თუ გინდა, ჩემთან ავიდეთ და არყის მაგივრად მაგარ კოქტეილებს გავაკეთებ და დავლიოთ, მერე სადმე დავგაზოთ და მთელი ღამე ყველას ჯინაზე მაგრად დავიმხოთ-მეთქი. არაა ურიგო აზრიო — უცებ დამთანხმდა — ოღონდ ღვინო დავლიოთ, კოქტეილი და არაყი მეზარებაო. კი, შემოგევლოს ჩემი თავი-მეთქი და ისევ გადათვალე პრეზერვატივები სუნამოს ყუთში. ღვინო სუპერმარკეტში ავარჩიეთ, ორივემ ვიცოდით, რაც იქნებოდა. ჩემს ცხოვრებაში პირველად მექნებოდა ესე სექსი და სრულიად გააბათილებდა ყველა ნეგატივს, რაც აქამდე გამოვიარე. შეიძლება, ერთად ვყოფილიყავით ამის მერე, ისე მოგვწონებოდა ერთმანეთი, ან კარგ მეგობრებად დავრჩენილიყავით. ორივე შემთხვევაში გვჭირდებოდა ერთმანეთი. კიბეები ბრაგუნით ავირბინეთ და გულამოვარდნილები გასაღებს რიგრიგობით ვუყრიდით საკეტში. საღოლ მე! ესე თუ ვარტყამ „დირკაში“-მეთქი, გავიფიქრე და კისერთან ნინუცას სუნთქვაც ვიგრძენი, ალკოჰოლის და ოდნავ ვნებისგან აკანკალებული სუნთქვა და უფრო გამწარებულმა დავიწყე კარის ჯაჯგური. შევაღე თუ არა, შემოვტრიალდი და ტუჩებში ვაკოცე. მაგრად არ მიყვარს ზასაობა, სხვის პირში ჩემი ენის წარმოდგენაც კი არ მსიამოვნებს. ნინუცამაც მაკოცა, მაგრამ უფრო ბინას დააკვირდა, სად რა იყო და, ალბათ, სად მოგვიწევდა სექსი. ეს დეტალების აღწერა მბრიდავს, თან ამ ინტიმური დეტალების, მაგრამ სიტყვაზე მენდეთ, თავი გამოვიდე, მთელი ძალები მოვიკრიბე, ღიპიც შევისუნთქე და ჯარისკაცივით რიტმულად და მკაცრი სახით შევუდექი საქმეს. მეორე ნაწილი უფრო იმის მოედანზე იყო და ამიტომ დიდად თავი არ მომიკლავს, თან 4 წლის შემდეგ პირველად ვიყავი სხვა ქალთან და ვეცადე, მაქსიმალური სიამოვნება მიმეღო. მესამე ტაიმი აღარ შედგა. ლოგინში ვსვამდით და ნინუცამ სიგარეტი მინდაო, ფანჯარა გააღე და აქ მოვწიოთ-მეთქი. უი, საძინებელში ეწევიო? განსაკუთრებულ შემთხვევებში-მეთქი. ტრუსიკზე ვუყურებდი და ტანგა მაგრად არ მევასება, მაგარი გოიმი რამეა-მეთქი და მეცო, რამე ზედა მომეცი, ადგომა მინდაო. კარადაზე ვანიშნე, აარჩიე-მეთქი. გამოაღო და ინტერესით დააკვირდა გარდერობს, რაღაცა „ჯორდანოს“ თეთრი ზედა იპოვა, მეც რომ დიდი მქონდა ისეთი და გადაიცვა. დღეს თუ დავრჩები, ამაში დავიძინებო — ნებართვა აიღო ანცად, შემდეგ პულტს ეცა და მუსიკალური არხები დაჩითა. ღვინოს წვენის ჭიქებით ვსვამდით და ბევრი მოგვდიოდა, ორივე შევთვერით. ბარი უაითი იპოვა სადღაც და გინდა, კარაოკეო? გამიკვირდა, ესეთი გოგოები ბარის არ უსმენენ, თან ის გამახსენდა, რომ ყველაზე მეტი ქალი ამ კაცის სიმღერის დროს არის დაორსულებული და ცოტა გამკრა გულში. პულტი დაიჭირა, ლოგინზე ამოძვრა და სიმღერა დაიწყო ბოლო ხმაზე, თან იცინოდა, ძალიან საყვარელი იყო. ფეხი მუცელზე დამადო და მისამღერის დროს დამაჭირა, ორივეს აგვიტყდა სიცილი და საბანი გადავაფარე, მერე დავაგდე და მთვრალი მესამე ტაიმი დავიწყეთ. ორივე მივითიშეთ და მეძინებაო, ნინუცამ, სინათლე ჩავაქრე და მივეხუტე. უზომოდ ბედნიერი ვიყავი, ალბათ სულ ესე გაგრძელდებოდა ყველაფერი, ისეთი კარგი სტარტი იყო. თუ შეყვარებული ხარ, ხო იცი, ყველა პრობლემას ერევი, „დაჟე“ დიეტასაც იცავ! დილას გამეღვიძა, ნინუცა იცვამდა, ახალი გათენებული იყო. ზარი გამომიშვიო, მთხოვა და ნომერი ვუკარნახე, დამეზარა გამოფხიზლება. კაი ვირი ვარ მეც! კართან ვკითხე დამირეკავ-მეთქი? და საღამოს თუ იქნები, მოვალ პირდაპირო. მაშინ მე საჭმელს დაგახვედრებ-მეთქი. კი, საჭმელი და ბარი უაითიო, გამიცინა და ლოყა ჩაეჩუტა, მაშინ მივხვდი, რაც მომწონდა ძალიან...

ეს ყველაფერი შეიძლებოდა, მომხდარიყო ნოემბრის სამში, როცა მე ჩემი მილიონი პრობლემით გაბერილი შევედი აყროლებულ და აყაყანებულ სახინკლეში, შევუკვეთე რაღაცები და ამ დროს შემოვიდა ბექა ნინუცასთან ერთად, თვალი მოავლო მაგიდებს და თავისუფალი ადგილი რომ ვერ დაინახა, დაუფიქრებლად მიტრიალდა და გავიდა და ნინუცაც თან გაიყოლა. მეორე დღეს ნინუცა შეყვარებულს შეურიგდა, რადგან იმ დღეს არაფერი მომხდარა.

ასე იყო...

ჩემი სკოლა გაიყიდა და კერძო სკოლად გადაკეთდა. დირექტორმა დედაჩემის ხათრით უფასოდ დამტოვა სკოლაში, დედა ბუფეტიდან დამლაგებლად გადავიდა. კლასელები დამცინოდნენ, ლტოლვილი რომ ვიყავი. ბავშვობაში შეცოდება არ იციან. ნათია მომწონდა, ჩემი კლასელი, გრძელი შავი თმა ჰქონდა და ლამაზი პენალი. მე ბოლოში ვიჯექი, მარტო. ერთხელ აკაკიმ თქვა: ტილები ჰყავსო და აღარ მეკარებოდნენ. დედაჩემმა აიჩემა: მანდ უნდა ისწავლოო, სხვას ვერაფერს ვერ გიკეთებ და მანდ მაინც ისწავლეო. მეორეჯერ აღარ მითქვამს არაფერი. ნათიას ერთხელ საშლელი დაუვარდა და ავიღე მისაწოდებლად, მთელმა კლასმა გამომხედა და დაიტოვეო. სახლში მივფრინდი, კი არ მივედი. გაკვეთილების შემდეგ ერთი ამბავი ამტყდარა, ნათიას თურმე ტელეფონი დარჩენია მერხზე და დაკარგულა, ჯერ მასწავლებელმა მითხრა: მოიტანეო, მერე მშობლები აბუნტდნენ და გამაგდეს. დედაჩემს ხმა არ ამოუღია, იცოდა, რომ არ მოვიპარავდი. არც მიტირია, პირიქით, სადღაც მომეშვა კიდეც. ერთ კვირაში დედაჩემმა დაიძინა და აღარ გაიღვიძა, მე კიდევ ნაზი დეიდას მივეკედლე და „ბუტკაში“ ვეხმარებოდი რაღაცების გაყიდვაში. სკოლაც დავიკიდე ბოლომდე. თხუთმეტი წლისამ ბორიასთან ერთად ტაქსისტი დავაყაჩაღე და ორი წლით „მალალეტკებში“ აღმოვჩნდი. იქ შესვლამდე ქურდობაზე ვოცნებობდი და გამოსვლისას „კაი სამსახურზე“. ერთ წელში ისევ დამიჭირეს, ისევ ქურდობაზე და თავყბა გამიერთიანეს პოლიციელებმა. მეორე „სროკიც“ რომ მოვიხადე, ჩვენს საერთო საცხოვრებელში ინვესტორი მოვიდა, 3500 ლარი მომცეს და გამომასახლეს. ლილოში ვაგონი ვიყიდე პატარა მიწით 800 ლარად და დანარჩენი ვაგზლის ბოზებში და „სლოტებში“ დავანიავე. „დინამოსთან“, ზემოთ, „ხიშნიკებთან“ „სტაინშიკად“ დავდექი. გელა მპატრონობდა, ისიც გაგრიდან იყო, მაგრამ ნახევარი უნდა მიმეცა იმისთვის. ჩემთვის მყოფნიდა, რასაც ვშოულობდი, „დაჟე“, ფეჩიც ვიყიდე ორ კვირაში. საღამომდე არ უნდა დამელია არც არაყი და არც „კალიკები“, საღამოს კიდევ 20 თეთრად ჩავარტყავდი და სახლში ისე მივდიოდი. ფული მინდოდა, შემეგროვებინა და ახალი კეტები მეყიდა, ეს ქუსლთან გამეხა და ხრეში მეყრებოდა შიგნით, მაგრამ ვერ მოვაგროვე, სულ მეხარჯებოდა. ეს „კალიკებიც“ გაძვირდა და მინდოდა, გადამეგდო, მაგრამ ვერ ვაგდებდი. ტოქსიკომანობასაც ვერ დავუბრუნდებოდი ჩემს ასაკში, ისევ სმით უნდა გადამეგდო. არადა, ვიცოდი, გელა გამიტრაკებდა მთვრალი რომ მივსულიყავი სამსახურში. ნუნუ შემომიჩნდა, ვიცოდი, სახლიდან ასახლებდნენ და შემოტენვა უნდოდა, მაგრამ მე არ მიყვარდა. დაიწყებდა იქ კაცების მოყვანას და გამხვევდა უბედურებაში, არადა ცოლი კი მინდოდა. დილას ერთხელ მანქანა გავაჩერებინე ერთს და ორი ლარი მაჩუქა, ქაღალდის. თვითონ ფულის გადასახურდავებლად გადავიდა, იმის ცოლს რომ შევხედე, გული გამიჩერდა, ნათია იყო, ოღონდ გრძელი თმა აღარ ჰქონდა. იმ დღეს ადრე წავედი სახლში, მაგრად წვიმდა, თან ყინავდა. ფეჩში შეშა შევაკეთე და რადიო ჩავრთე, მუჭით ჩემი ტაბლეტები ავიღე და დავლიე. ტახტზე მივწექი და ჩაცმული საბანში გავეხვიე, მოვემზადე გაბუჟებისთვის. ნელნელა მომიდუნდა ყველაფერი და გული გამიცხელდა. თვალწინ დედა დამიდგა, როგორ ალაგებდა კლასს, როგორ გაწმინდა დაფა და სველი ტილოთი როგორ დაუარა მერხებს, მე დერეფანში ვიდექი ჩანთით და ვუყურებდი, როგორ გაშტერდა ნათიას ტელეფონის დანახვაზე, როგორ უყურებდა და მერე მიპარვით როგორ აიღო და გააქანა ჯიბეში, მე კიდევ შემოვტრიალდი და უხმოდ წავედი, რომ არ დავენახე. იმ დღეს ნათიას საშლელი ნაზის შვილიშვილს გავუცვალე „კოკა-კოლაში“.

ოლგა ტოკარჩუკი

იენთას ამბავი

იენთას მამა, მაიერი კალიშიდან, სიმართლის გამრიგეთაგან ერთ-ერთი იყო, ვინც მესია საკუთარი თვალით იხილა.

ეს იენთას დაბადებამდე მოხდა, როცა ყველა მხსნელის მოლოდინში იყო, იმ ავბედით დროში, თავს დატეხილი უამრავი უბედურების გამო ადამიანები გაჩენის დღეს რომ იწყევლიდნენ, როცა ფიქრობდნენ, წუთისოფლის დინება ამ გზით უკვე შეუძლებელი იყო, რომ ამხელა ტკივილის ზიდვას დედამიწა ვეღარ შეძლებდა და ვეღარც იმ დაუსრულებელ ტანჯვა-წამებას ვერ გაამართლებდნენ იმით, თითქოს ეს ყველაფერი უფლის დაშვებით ხდებოდა. სხვათა შორის, მახვილი თვალის პატრონები, უმეტესად, მრავლისმნახველი მოხუცი ქალები, იმასაც ამჩნევდნენ, რომ სამყაროს ღერძი მოირყა: მაგალითად, ერთ წისქვილში, სადაც იენთას მამა მარცვლეულს ფქვავდა ხოლმე, ერთ ღამეს წისქვილის ყველა დოლაბი გაიბზარა, ხოლო მინდვრებზე მოდებული ღიჭა, უფრო სწორად, მისი ყვავილები, ისე უცნაური თანმიმდევრობით გაიშალა, რომ ასო ალეფი გამოისახა. საღამოობით ისეთი მეწამული დაისი დგებოდა, გარშემო ყველაფერს ყავისფერ, უფრო კი შედედებული სისხლის ფერში ხვევდა. ჭალის პირებზე ისეთი ბასრი ლერწამი იზრდებოდა, რომ ადამიანებს წვივებს უსერავდა. ავშანი ისეთი მომწამვლელი გახდა, რომ მისი სურნელი ბრგე ვაჟკაცებსაც კი აბრუებდა. და ხოცვა-ჟლეტა, რომელიც ხმელნიცკიმ მოიტანა? ნუთუ ესეც გამჩენისგან იყო მოვლენილი? საშინელი ხმები, რომელიც ებრაელებზე 1648 წლიდან მოყოლებული ერთი ქვეყნიდან მეორეში ვრცელდებოდა, ლტოლვილების, ქვრივების, ობლად დარჩენილი ბავშვებისა და საპყართა მზარდი რიცხვი — ეს ყველაფერი უკვე ნათლად მეტყველებდა იმაზე, რომ ქვეყნის დასასრული და მესიის მოსვლის დრო ახლოვდებოდა, რომ სამშობიარო ტკივილები დაიწყო და როგორც ნაწინასწარმეტყველები იყო, ძველი ადათი და რჯული გაუქმდა.

იენთას მამა პოლონეთში რატისბონადან ჩამოვიდა, საიდანაც მთელი ოჯახი ამჯერადაც იმავე მიზეზით — ებრაელთა მარადიული ცოდვებისთვის გამოდევნეს და დიდ პოლონეთში დამკვიდრდა, სადაც, ისევე როგორც მისი მოძმეების უმრავლესობამ, მარცვლეულით ვაჭრობას მიჰყო ხელი. ოქროსფერ მარცვალს ჯერ გდანსკში აგზავნიდა, იქიდან კი კიდევ უფრო შორეულ ქვეყნებში. საქმე კარგად მისდიოდა და ოჯახს არაფერი აკლდა. თუმცა ეს ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა.

1654 წელს გავრცელდა სენი, რომელმაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ამის შემდეგ, მართალია, მკაცრი ყინვები დაიჭირა და ბაცილები მოსპო, მაგრამ, საუბედუროდ, ყინვა იმდენ ხანს გაგრძელდა, რომ ჭირს გადარჩენილები ახლა ქვეშაგებში იყინებოდნენ. ზღვაც კი იმოდენა ყინულის დაფად გადაიქცა, რომ თუ მოინდომებდი, შვედეთამდე ფეხით ჩახვიდოდი. პორტები გაჩერდა, შინაური ცხოველები დაიხოცნენ, გზები ნამქერმა დაფარა და გადაადგილება შეუძლებელი გახდა. გაზაფხულზე კი ყველაფერი ებრაელებს დაბრალდათ — ქვეყნის მასშტაბით უამრავი პროცესი აღიძრა მათ წინააღმდეგ. თავის გადასარჩენად ებრაელებმა რომის პაპსაც კი მიმართეს, მაგრამ სანამ ისინი შიკრიკის დაბრუნებას ელოდნენ, ამასობაში შვედებმა მათი ქალაქები და სოფლები დაარბიეს და, საბოლოოდ, უარესად დაზარალდნენ.

ამიტომ იყო, რომ იენთას მამა დიდი პოლონეთიდან აღმოსავლეთისკენ, ლვოვში მცხოვრებ ნათესავებთან გაეშურა, სადაც მშვიდი ნავსაყუდელის პოვნის იმედი ჰქონდა. იქაურობა თითქოს სამყაროს იყო მოწყვეტილი, ყველა ამბავი იგვიანებდა, მაგრამ, სამაგიეროდ, საოცრად ნაყოფიერი მიწები აღმოჩნდა. აქაც, როგორც იმ კოლონიებში, საითკენაც ახლა დასავლეთით მაცხოვრებნი მიილტვოდნენ, ყველასთვის მოიძებნებოდა ადგილი. თუმცა მცირე ხნით, რადგან შვედების მიერ მათი ნაცარტუტად ქცეული, გაძარცვული და მიტოვებული ქალაქების მთავარ მოედნებზე კვლავ გაისმოდა კითხვა, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო რეჩ პოსპოლიტას თავს დატეხილ უბედურებათა მიზეზი. პასუხი კი, ხშირ შემთხვევაში, ყველგან ერთი და იგივე იყო: ეს იმ ებრაელებისა და სხვადასხვა რწმენის მქონე ადამიანების გამო ხდებოდა, რომლებიც მტერს შეეკვრნენ. ამიტომ ჯერ არიელების დევნა დაიწყეს, რასაც მოგვიანებით ებრაელთა დარბევებიც მოჰყვა.

იენთას ბაბუა დედის მხრიდან, კრაკოვთან ახლოს, კაზიმირში, ცხოვრობდა, სადაც თავის პატარა სახელოსნოში თექის ქუდებს კერავდა. ქრისტიანული წელთაღრიცხვით 1664, ხოლო ებრაული წელთაღრიცხვით 5425 წლის ზაფხულში კაზიმირში ტრაგედია დატრიალდა, რომლის მიზეზიც ის გახდა, რომ ერთ ებრაელს ჰოსტიების მოპარვაში დასდეს ბრალი. ამ ამბავმა ას ოცდაცხრა ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. არეულობას შეეწირა იენთას ბაბუის სახელოსნოც. ამის შემდეგ ოჯახის უფროსმა გადარჩენილი ქონება მოაგროვა, ცოლ-შვილი ოთხთვალაზე შესვა და სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ, კერძოდ კი, ლვოვისკენ აიღო გეზი, სადაც ნათესავები ეგულებოდა. ეს გონივრული გადაწყვეტილება აღმოჩნდა, რადგან ხმელნიცკის კაზაკებს 1648 წელს უკვე მოეთარეშებინათ იქაურობა. ამიტომ, როგორც ერთსა და იმავე ადგილს მეხი მეორედ აღარ დაეცემა, აღარც დიდი განსაცდელის, გეზერას განმეორება იყო მოსალოდნელი.

ლვოვთან ახლოს, სოფლად დასახლდნენ, სადაც ნოყიერი ნიადაგი, ხშირი ტყეები და თევზით სავსე მდინარეები იყო. აქაურობა დიდ მთავარს, პოტოცკის, ეკუთვნოდა, რომელიც რკინის ხელით მართავდა თავის სამფლობელოს. საწყლებს აღარც კი სჯეროდათ, რომ დედამიწაზე კიდევ მოიძებნებოდა ისეთი ადგილი, სადაც თავის შეფარება და გამჩენისთვის ბედის მინდობა შეიძლებოდა. საქმეები კარგად მისდიოდათ. ვლახეთიდან თექის დასამზადებლად მატყლი და მასთან ერთად სხვადასხვა წვრილმანი საქონელი შემოჰქონდათ. ძალიან მალე ისე მოძლიერდნენ, რომ სახლიც კი შეიძინეს თავისი ბაღჩა-ეზოთი. სახლთან პატარა სახელოსნო ჩადგეს, ეზოში ბატები და ქათმები გაიჩინეს, მწვანე ბალახში ნესვი მწიფდებოდა ყვითლად, ქლიავისგან კი, როგორც კი პირველი ყინვა მოუჭერდა, არაყს ხდიდნენ.

ერთ დღესაც, 1665 წლის შემოდგომაზე, სმირნიდან საქონელთან ერთად ამბავიც ჩამოვიდა, რომელმაც პოლონეთში მცხოვრებ ებრაელებს გული აუჩქროლა — ამბავი მესიის მოსვლისა. ყველა, ვინც კი ამის შესახებ შეიტყობდა, მაშინვე დუმდებოდა და ცდილობდა, ჩაღრმავებოდა, რა შინაარსი უნდა ყოფილიყო ჩადებული ამ პატარა წინადადებაში: მესია მოვიდა! უბრალო სიტყვები ხომ არ იყო? მის მთქმელსა თუ გამგონს თითქოს მაშინათვე თვალი ეხილებოდა და სხვანაირად ხედავდა სამყაროს.

განა აღსასრულის მომასწავებელი ცოტა ნიშანი მიიღეს? ჭინჭრის უჩვეულოდ მძლავრი, ყვითელი ფესვები, რომლებიც მიწის ქვეშ ვერაგულად ეხვეოდნენ სასარგებლო მცენარეების ძირხვენებს, იმ წელიწადს მოსული თოკის სიმსხო ღეროებიანი უცნაური ხვართქლაბალახი, ან ხვიარა მცენარეები, რომლებიც ისე სწრაფად მიცოცავდნენ ზევით, რომ მთლად დაფარეს მათი სახლის კედლები და ხეები და, ასე მოვიდა ლვოვის ებრაელთა თემშიც კრაკოველი რაბინის ბარუხ ფეისახის წერილი, რომელიც იუწყებოდა, რომ თუ უნდათ, პირველებმა იხილონ მოახლოებული სასწაული, დაუყოვნებლივ უნდა დაიძრანთურქეთისკენ და ქვეყნის აღსასრულის წინა დღეებში უკვე იქ იყვნენო.

მაიერი, იენთას მამა, მსგავს მოწოდებებს იოლად არ აჰყვებოდა ხოლმე:

მართლაც ისე რომ იყოს, როგორც თქვენ ამბობთ, მაშინ ყველა თაობას თითო მესია უნდა მოევლინოს, ხან აქ იყოს და ხან იქ. ყველა არეულობისა და ომის მერე უნდა მოდიოდეს დედამიწაზე, ყველა განსაცდელის ჟამს აქ უნდა ვხედავდეთ. არადა, გაჭირვება იმდენი გვინახავს, რამდენიც გაგიხარდებათო.

მსმენელები თავებს უკანტურებდნენ და იმასაც ხვდებოდნენ, რომ მართალს ამბობდა, მაგრამ ისევ ახლიდან დაიწყეს თავის დარწმუნება, რომ ამჯერად სულ სხვაგვარად იყო საქმე. ყველგან დადებით პასუხს ეძებდნენ — ღრუბლებში, წყლის ანარეკლში, თოვლის ფანტელთა უცნაურ ფორმებში. თვითონ მაიერმა კი ამ მსვლელობაში მონაწილეობა მაშინ გადაწყვიტა, როცა ამ ამბის აწონ-დაწონისას ღრმად ჩაფიქრებულმა, დაინახა, გრძელ ხაზად ჩამწკრივებული ჭიანჭველები როგორ მიუყვებოდნენ მაგიდის ფეხს აღმა, ზედაპირისკენ, იქ მისულები კი როგორ მოიხელთებდნენ ყველის ნამცეცებს და უკან მოცოცავდნენ. მაიერმა ნანახი ნიშნად მიიღო. ფული და საქონელი უკვე შეეგროვებინა და სიდინჯითა და გამჭრიახობით განთქმულს, არ გასჭირვებია იმ სავაჭრო ქარავანში ადგილის შოვნა, რომელიც სინამდვილეში შაბთაი ცვისთან წასასვლელად ემზადებოდა.

იენთა ამ მოვლენიდან რამდენიმე წლის შემდეგ გაჩნდა, ამიტომ ბოლომდე არ არის დარწმუნებული იმაში, რომ მესიის ხილვისას, მამამისის, და მასთან ერთად მყოფი ლვოველი მოშე ჰალების, ასევე მისი ვაჟისა და გერის, ლვოვიდან, და კრაკოველი ბარუხ ფეისახის თვალებზე გარდამოსულ სიწმინდეს თავადაც თუ ეზიარებოდა.

კრაკოვიდან ლვოვში ჩავიდნენ, ლვოვიდან კი ჩერნოვიცეს გავლით სამხრეთით, ვლახეთისკენ აიღეს გეზი. რაც უფრო უახლოვდებოდნენ დანიშნულების ადგილს, მით მეტად თბებოდა, თოვლი დნებოდა და ჰაერშიც სხვა სურნელი იგრძნობოდაო, ჰყვებოდა იენთას მამა. საღამოობით მესიის მოსვლაზე ბჭობდნენ და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ თურმე განვლილი წლების განსაცდელი შემთხვევითი არ ყოფილა და თავისი მიზანი და დანიშნულება ჰქონიაო — აგერ მხსნელი მოევლინათ. ადამიანის დაბადებას, წესით, ხომ სამშობიარო ტკივილები უძღვის წინ? სამყაროც ასე იტანჯება, როცა მესიას შობს. ამ დროს ყველანაირი კანონი და ადათ-წესები ირღვევა, ადამიანთა შორის დადებული ხელშეკრულებები ძალას კარგავს, მიცემული აღთქმა-დაპირებები ქარწყლდება, ძმა ძმას მტრობს, მეზობელი მეზობელს ერჩის. ცოტა ხნის წინ გვერდიგვერდ მშვიდობიანად მცხოვრები ადამიანები ახლა ღამ-ღამობით ერთმანეთს ყელს ჭრიან და თანამოძმის სისხლს სვამენ.

ლვოვიდან ჩასულებს მესია გალიპოლის საპყრობილეში დახვდა. სანამ ისინი პოლონეთიდან სამხრეთისკენ მიდიოდნენ, ებრაელთა არეულობითა და შაბთაი ცვის გეგმებით შეშინებულმა სულთანმა ის ციხე-სიმაგრეში გამოკეტა.

მესია დილეგში! ეს როგორ მოხდა? ასეთი რამ ხომ სრულიად წარმოუდგენელია? მარტო პოლონეთიდან კი არა, იმ დროისთვის სტამბოლში ჩასულთა უმრავლესობაც ძალიან აღაშფოთა ამ ფაქტმა. ციხე! ვის გაუგონია მესია ციხეში! განა ეს შესაძლებელია? განა ეს წერია წინასწარმეტყველებაში? ნუთუ ესაიაზე არავის არაფერი სმენია?

მოიცადეთ, რომელ საპყრობილეზე ლაპარაკობთ? თქვენ ეს მართლა საპყრობილე გგონიათ? მორწმუნეების წყალობით, შაბთაი ცვი გალიპოლის ციხე-სიმაგრეში ისე ცხოვრობს, როგორც სასახლეში და ჩიტის რძე არ აკლია. მესია ხორცსა და თევზს არ მიირთმევს. ამბობენ, მხოლოდ ხილს ჭამსო. სულ ახალ-ახალი და ნარჩევი ადგილობრივი ხილი მიაქვთ ყოველდღე, და რაც იქ არ იშოვება, გემებით ჩამოაქვთო. მესიას ბროწეული ჰყვარებია, გრძელი, თლილი თითებით არჩევს კანიდან ლალისფერ მარცვლებს და წმინდა ბაგეებით მიირთმევს — ბევრი არ სჭირდება, სულ რამდენიმე მარცვალი ჰყოფნის. მისი ორგანიზმი სასიცოცხლო ენერგიას თურმე პირდაპირ მზისგან იღებს. მავანნი საიდუმლოდ იმასაც ამბობენ, და ეს ამბავი თვალის დახამხამებაში ვრცელდება ერსა და ბერში, თითქოს, მესია ქალი ყოფილა. ვისაც ახლო მისვლა მოუხერხებია, მისი მკერდი დაუნახავსო. მის გლუვ და თეთრყირმიზ კანსაც ქალის სურნელი ასდისო. გალიპოლის ციხე-სიმაგრეში ძვირფასი ხალიჩებით მოგებულ დარბაზებში ცხოვრობს, სადაც სტუმრებს ღებულობს და არც ხელზე მოსამსახურენი აკლია. განა ამას საპყრობილეში ყოფნა ჰქვია?

აი, ასეთი ვითარება დახვდა ლვოვიდან ჩასულ ებრაელთა ჯგუფს. დატყვევებულ მესიასთან აუდიენციის მსურველი იმდენი იყო, რომ დელეგაციის შემადგენლობაში მყოფნი დღენახევარი ელოდნენ თავიანთ რიგს. მათ წინ მდგარი მრავალენოვანი ბრბო გაცხარებული იმაზე ყაშყაშებდა, მომავალში რა ბედი მოელოდა. აქ იყვნენ მუქი ფერის ჩალმებით თავდაბურული სამხრეთელი შავტუხა ებრაელები, ნემსიყლაპიებივით ფერადსამოსიანი აფრიკელი ებრაელები, შავებში გამოწყობილი სასაცილო ევროპელი ებრაელები, გახამებული და დამტვერილი საყელოებით.

დიდებული მესიის წინაშე წარდგომამდე ერთი დღე-ღამე უნდა ემარხულათ, მერე კი აბანოში წასულიყვნენ. ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, ყველას თეთრი პერანგები დაურიგეს და მესიასთან შეხვედრის ნება დართეს. ახალი მესიანური კალენდრის მიხედვით იმ დღეს დღესასწაული იყო, მაგრამ შაბთაი ცვიმ ყველა ტრადიციული ებრაული დღესასწაული გააუქმა. ძალა დაკარგა მოსეს რჯულის კანონმაც, თუმცა ახალი წესების შესახებ ჯერ არავინ არაფერი იცოდა და ვერც ის გაეგოთ, რა ეთქვათ ან როგორ მოქცეულიყვნენ.

მეწამულ მოსასხამში გახვეულ და მოჩუქურთმებულ სავარძელში მჯდარ მესიას გარშემო მხცოვანი ბრძენკაცები ეხვივნენ. სწორედ მათ ჰკითხეს სტუმრებს, თუ რისთვის გარჯილიყვნენ და მხსნელისგან რას მოელოდებოდნენ.

ბარუხ ფეისახს უნდა ელაპარაკა, ასე შეთანხმდნენ თავიდანვე, და ისიც ურიგოდ არ ართმევდა თავს დაკისრებულ მისიას:

შეუჩერებლად ლაპარაკობდა პოლონეთის სამეფოსა და პოლონელი ებრაელებისთვის თავსდატეხილ ათასგვარ უბედურებაზე, თავისი სიმართლის დასამტკიცებლად კი რამდენიმე წლის წინ გამოცემული შჩებჟეშინელი მაიერის დაწერილი ქრონიკა მოიშველია, რომელსაც ებრაულად ცოკ ჰა-ითიმ ანუ დროის მარწუხებში ერქვა. უეცრად, ომებზე, სნეულებებზე, დარბევებსა და ადამიანთა უსამართლობაზე მოტირალი ხმით მოლაპარაკე ბარუხი შაბთაიმ შეაჩერა, თავის მეწამულ სამოსზე მიუთითა და ომახიანად დასჭექა: „ხედავ ამ შურისგების ფერს?! მეწამული მმოსავს, შემომხედე, რამეთუ, როგორც ესაია წინასწარმეტყველი ამბობდა, დღე შურისგებისა გულში მაქვს, დადგა წელი ხსნისა!“ შაბთაის ხმა ისე მოულოდნელად გაისმა, რომ დამსწრენი შიშისგან მოიბუზნენ. მერე მესიამ ტანზე პერანგი შემოიხია და ესაიას, დავით ჰალევის ძეს გაუწოდა, დანარჩენებს კი შაქარყინულის ნატეხები ჩამოურიგა და უბრძანა, პირში ჩაედოთ, რათა „მათში ახალგაზრდული ძალა და შემართება გაღვიძებულიყო“. იენთას მამას უნდოდა ეთქვა, ჩვენ ახალგაზრდული ძალა და შემართება კი არა, მშვიდი და დაწყნარებული ცხოვრება გვინდა, სხვა არაფერიო, მაგრამ მესიამ დაუყვირა: „დადუმდი!“ მაიერი, როგორც საერთოდ სჩვეოდა, შეფარვით ათვალიერებდა მხსნელს, მის სანდომიან, ლამაზ სახეს, მის რბილ ნაკვთებს და წამწამებით შემოჯარულ იშვიათი სილამაზის ნოტიო და მიბნედილ თვალებს. უყურებდა, მრისხანებისგან როგორ თრთოდნენ მისი მუქი, სქელი ტუჩები და უწვერული და ნატიფი, ნუბუკივით გლუვი ლოყები, რომელზეც ხელით შეხება მოგინდებოდა. უკვირდა, მრგვალი და მუქკერტებიანი მკერდი მესიას მართლაც ქალისას რომ მიუგავდა. ვიღაცამ საჩქაროდ მოახურა მოსასხამი, მაგრამ მაიერს ეს მკერდი ცხოვრების ბოლომდე დაამახსოვრდა, მერე კი, როგორც ეს სურათების ნახვის შემდეგ ხდება ხოლმე, ეს ხსოვნაც სიტყვებად დაქუცმაცდა და მისი შვილების წარმოსახვაში ისევ ხელახლა გამთლიანდა.

ბუნებით ეჭვიანმა მაიერმა მაშინ გულის არეში უცნაური ჩხვლეტა იგრძნო, ის მღელვარება კი ღრმა დაღად დააჩნია სულზე, რომელიც შემდგომ შვილიშვილებს უსახსოვრა. იენთას მამა, მაიერი, ელიშა შორის ბაბუის ძმა იყო.

მერე? მერე არაფერი. სულ ეს იყო. ყველაფერი დაწვრილებით ჩაინერეს, მესიის ყოველი სიტყვა, მისი ყოველი ჩქამი და მოძრაობა. პირველ ღამეს სიტყვა არ დაუძრავთ. უჭირდათ თავს გადახდენილის გააზრება. ნუთუ ეს ნიშანი იყო? ნუთუ მართლა იყო შესაძლებელი მათი ხსნა? ნუთუ მოახლოებული აღსასრულის წინ ეყოფათ გონი იმის გასათავისებლად, რაც მათ ირგვლივ ხდება? არადა, ამ დროს ყველაფერი სხვაგვარადაა, სულ პირიქით.

ამასობაში სავაჭრო საქმეებიც მოაგვარეს და უცნაური, ამაღლებული განწყობით დაბრუნდნენ შინ, პოლონეთში.

ამბავი შაბთაის განდგომის შესახებ მოწმედილი ციდან მოულოდნელად ჩამოვარდნილი მეხივით დაეცათ თავს.

ეს მოხდა 5426 წლის ელულის მეთექვსმეტე დღეს, ანუ 1666 წლის 16 სექტემბერს, რის შესახებაც ყველამ ერთდროულად შეიტყო. იმ დღეს ნაადრევად და სრულიად მოულოდნელად დაათოვა ჯერ კიდევ ბოსტანში მდგარ გოგრას, სტაფილოს და ჭარხალს.

ცნობას სიმწრისგან საკინძეჩამოხეული და დღე და ღამ სიარულისგან სახეში ჭუჭყჩამკვდარი შიკრიკები ავრცელებდნენ, რომლებიც მუხლის ჩასახრელადაც კი არ ჩერდებოდნენ არსად, სოფლიდან სოფელში გადადიოდნენ და ხმამაღლა მოთქვამდნენ. ურჯულოთა ბოროტ სულთანს შაბთაის მოკვლა განუზრახავს, თუ რწმენას არ შეიცვლიდა და მუსლიმანი არ გახდებოდა, თავის მოკვეთით დამუქრებია, და მესიაც დათანხმდაო.

სახლებიდან ქვითინის ხმა გამოდიოდა. უჭირდათ გაგონილის დაჯერება. მერე სიჩუმემ დაისადგურა. პირველი სამი დღე ყველა ერიდებოდა ამ თემაზე ლაპარაკის დაწყებას. ან რა უნდა ეთქვათ? კიდევ ერთხელ მოტყუებულები და სასოწარკვეთილები, ღმერთმა საბოლოოდ მიგვატოვაო? დასჯილი მესია? ეს ხომ მას უნდა ჩამოეგდო სულთანი ტახტიდან, მსოფლიოს სადავეები ხელთ ეგდო და დამცირებულთათვის შვება მოეტანა? პოდოლეს ღატაკი სოფლების თავზე ისევ შეიყარა კარვის ბამბის სარჩულივით დაფხავებული ტყვიისფერი ღრუბელი. მაიერს ეჩვენებოდა, რომ სამყაროს განგრენა დაემართა და ლპობა დაიწყო. მძიმე ხის მაგიდასთან მიმჯდარს კალთაში უმრწემესი, ბარდის მარცვალივით ციცქნა ქალიშვილი ეჯდა და სხვებივით ჰემატრიულ სვეტებს წერდა. პირველმა ყინვებმა რომ დაჰკრა, მაშინღა დაიწყო ახსნა-განმარტებითი ბარათების დაგზავნა და კვირა ისე არ ჩაივლიდა, ვინმე მოხეტიალე მოვაჭრეს მხსნელზე რამე ახალი ამბავი არ მოეტანა. უბრალო მერძევეც კი, რომელიც სოფელ-სოფელ რძეს და კარაქს დაატარებდა გასაყიდად, ახლა ბრძენად გადაქცეულიყო და ყველგან, სადაც მოახერხებდა, თითით ხსნის სქემებს ხაზავდა.



ამ ნერვიულ, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობებისგან მთლიანი ამბავი უნდა აგეწყო, წიგნებში ჩაგეხედა, შენზე ბრძენი ხალხისთვის რჩევა გეკითხა. სწორედ ასეთმა მიდგომამ იმ ზამთარს ახალი მეცნიერება დაბადა, რომელიც გაზაფხულზე მცენარის ყლორტივით აიშოლტა და და მოძლიერდა. თურმე როგორ ვცდებოდით. დარდმა და მწუხარებამ, კარგი ადამიანისადმი უდიერმა დამოკიდებულებამ და საკუთარმა მცირედმორწმუნეობამ თვალი აგვიბა. რჯული იცვალა და მუსლიმანი გახდა, მაგრამ თურმე სხვათა თვალის ასახვევად მოიქცა ასე; ეს მისი ახალი სახეა, მიზანია, ნიღაბია და მეტი არაფერი. მესიამ მწვანე ჩალმა დაიხურა, შეინიღბა, გაყუჩდა და უკეთეს დროებას ელოდება, რომელიც მალე დადგება, ძალიან მალე, იქნებ სულ რამდენიმე დღეშიც კი.

იენთა ახლაც მაშინდელივით ცხადად ხედავს თითს, რომელიც მაგიდაზე დაპნეულ ფქვილში სეფიროტს ხატავს და ამის გახსენებაზე ოთხმოციოდე წლით უკან ბრჟეჟანებთან ახლოს მდებარე სოფელში ბრუნდება. ეს მისი ჩასახვის დღეა, რომლისთვისაც ახლა თვალის მიდევნება შეუძლია.

ნეტავ თავის უცნაურ მდგომარეობაში მყოფს, თუ შეუძლია, ოდნავ მაინც ჩაერიოს მასში და რამე შეცვალოს? როგორ აინტერესებს, შეძლებს თუ არა ამას? რომ შეეძლოს, ამ ერთ დღეს მაინც აუცილებლად შეცვლიდა.

აგერ, კალათით ხელში მინდვრისკენ მიმავალ ახალგაზრდა ქალს ხედავს. ქალს კალათში ორი ბატი უზის, რომლებიც კისრების მოძრაობას მისი ნაბიჯების რიტმს აყოლებენ. მათი მძივივით თვალებიდან იმხელა ნდობა გამოსჭვივის, როგორიც მარტო ცხოველებს და ფრინველებს აქვთ. მოულოდნელად ტყიდან გამოსულ კაზაკების რაზმს ხედავს. მხედრები მისკენ შეუპოვრად მოაგელვებენ ცხენებს და თანდათან უახლოვდებიან. გაქცევაზე ფიქრი უკვე გვიანია. გაფითრებული ქალი ადგილზე შეშდება და ბატებიან კალათს სახეზე იფარებს. ცხენოსნები მას ალყაში მოიქცევენ. მერე, თითქოს ვინმემ უბრძანათო, ერთდროულად ჩამოქვეითდებიან. ყველაფერი ძალიან სწრაფად და უსიტყვოდ ხდება. კაზაკებიდან ერთ-ერთი ქალს ხელით უბიძგებს და მიწაზე დააგდებს. ბატები კალათიდან ამოდიან, მაგრამ არსად მიდიან. იქვე მდგარნი, ცდილობენ, ხმამაღალი სისინით დააფრთხონ მომხდური, მაგრამ ვერაფერს გააწყობენ და მოსახდენი ამბის უტყვი მოწმეები რჩებიან. ორი მათგანი ცხენებს იჭერს სადავეებით, მესამე ქამარს იხსნის, რომლითაც ფართო, ნაოჭაყრილი შარვალი აქვს დამაგრებული და ქალს ზევიდან აწვება. მერე ერთმანეთს ენაცვლებიან, ჩქარობენ, თითქოს დავალება აქვთ შესასრულებელი. ის კი არა, სახეზეც კი არ ემჩნევათ, სიამოვნებას მაინც თუ ანიჭებთ ჩადენილი. მათი სპერმა ჯერ ქალში იღვრება, მერე ბალახზე წვეთავს. ვინც ბოლო მიუდგა, თან ყელში ხელს უჭერს დასახრჩობად და ქალიც მზადაა, სიკვდილს დანებდეს, მაგრამ რომელიღაც მისი თანამოძმე ხელში მათრახს შეაჩეჩებს და ისიც ქალს თავს ანებებს და ცხენს მოახტება. ერთხანს ჯიქურ აშტერდება სახეზე, თითქოს მსხვერპლის დამახსოვრებას ცდილობსო, მერე ცხენს დეზს ჰკრავს და სხვებთან ერთად გაქუსლავს.

ქალი ფეხებგაფარჩხული ზის ბალახზე. ბატებიც ისევ იქ დგანან, ქალს მიშტერებიან და აღშფოთებული ხმით ყიყინებენ. ჯერ ქვედაბოლოს სარჩულით გამოიწმენდს ფეხებს შორის ადგილს, მერე ბალახებს და ფოთლებს მობღუჯავს ხელში და იმით, ბოლოს მდინარისკენ გარბის, ქვედაბოლოს მაღლა აიწევს, წყალში ჩაჯდება და იჭინთება, ცდილობს, საშოში ჩაქცეული სპერმა გარეთ გამოდევნოს. ბატებს ეს მიპატიჟება ჰგონიათ და თვითონაც მდინარისკენ გარბიან, მაგრამ სანამ ისინი თავიანთი ბატური სიდინჯით წყალში შესვლას გადაწყვეტენ, ქალი ორივეს მარჯვედ ჩაავლებს ხელს, კალათში ჩატენის და შარაზე ბრუნდება. სოფელს რომ მიუახლოვდება, ნაბიჯს შეანელებს და შედგება, თითქოს უხილავ საზღვარს მიადგაო.

ეს იენთას დედაა.

ალბათ მთელი ცხოვრება ამიტომაც აკვირდებოდა ქალიშვილს დაჟინებით. იენთა მიეჩვია გამჭოლ მზერას, რომელსაც საქმეში თავწარგული დედა დრო და დრო ესროდა ხოლმე, როცა ბოსტნეულს ჭრიდა, ან მოხარშულ კვერცხებს ფცქვნიდა, ან ქვაბებს ხეხავდა. ყოველ წამს უყურებდა, ისეთი თვალებით შეხედავდა ხოლმე, როგორც მგელი ან ძაღლი შესცქერის ადამიანს, სანამ წვივში ეცემა. ხანდახან ამ მზერას უცნაური მიმიკაც ახლდა თან: უკმაყოფილებისა თუ ზიზღის გამომხატველი ოდნავ ატკეცილი ზედა ტუჩი, მაგრამ, საბედნიეროდ, მხოლოდ — ოდნავ.

იენთას ახსოვს, ერთხელ თმის დაწვნის დროს დედამ ყურთან, თავზე, ხალი უპოვა, რამაც ძალიან გაახარა და მამას უთხრა: „ნახე, ზუსტად იმ ადგილას აქვს ხალი, სადაც შენ, ოღონდ მეორე მხარეს, სარკისებურად“. ფიქრებში წასულმა მამამ არაფერი უპასუხა. სხვათა შორის, ეჭვი არასდროს გასჩენია. დედა ისე მოკვდა, რომ ეს საიდუმლო მუჭში ჩაბღუჯული წაიღო თან. სიკვდილისწინა აგონიაში მყოფი ცოფიანს ჰგავდა, იხლაკნებოდა და იჭინთებოდა. მეორედ უეჭველად რომელიმე მტაცებელი ცხოველის სახით მოევლინება ქვეყნიერებას.

გოგო მეთერთმეტე შვილად გაჩნდა. მაიერმა მას იენთა უწოდა, რაც „ამბის მომტანს და სხვათა განმანათლებელს“ ნიშნავს. მისუსტებულ დედას შვილის მოვლის თავი აღარ ჰქონდა, ამიტომ იენთას ოჯახში მოტრიალე სხვა ქალები პატრონობდნენ — ბიძაშვილ-მამიდაშვილები, დეიდა-მამიდა, გარკვეული ხანი — დიდედაც. იენთას ახსოვს, საღამოობით დედა თავიდან ჩაჩს რომ მოიხდიდა ხოლმე, ქეცუნცარა, მოკლედ და დაუდევრად შეღირჯნილი თმის ქვეშ პატარა გოგო როგორი ახლოდან ხედავდა ფთილა-ფთილა ქერტლითა და ფუფხით დაფარულ მის დაავადებულ თავის კანს.

იენთას ექვსი უფროსი ძმა ჰყავდა, რომლებიც იეშივაში სწავლობდნენ და შინ დაბრუნებულებიც ბეჯითად აგრძელებდნენ საღმრთო წერილის ზუთხვას. იენთა ამ დროს საქმის საკეთებლად ჯერ პატარა და სუსტი იყო და მაგიდის კიდეებზე ეკონწიალებოდა ხოლმე, რომლის გარშემოც ძმები ისხდნენ. გარდა ამისა, ჰყავდა ოთხი უფროსი და, აქედან ერთი უკვე გათხოვილი და ახლა მეორის ვინმესთვის გარიგებას ცდილობდნენ.

მამამ მალევე შენიშნა იენთას ცნობისწადილი და გოგონას ანბანი აჩვენა. მისი აზრით, ქალიშვილს ნახატებად ან ვარსკვლავებად უნდა აღექვა კატის თათის ანაბეჭდის მსგავსი მოხდენილი ალეფი, ანძიანი ერთი ციდა ნავი — შინი, როგორებსაც ხის ქერქისგან აკეთებენ და წყალს ატანენ. იენთამ კი, არავინ იცის, როდის და როგორ, ისინი სულ სხვაგვარად, ზრდასრული ადამიანივით აითვისა, თანაც იმდენად კარგად, რომ მათგან სიტყვების შედგენაც კი შეეძლო. ასეთ დროს დედა მოულოდნელად გაცხარდებოდა ხოლმე და იენთას გამეტებით ურტყამდა ხელებში, თითქოს ბავშვი რაღაც აკრძალულს შეეპოტინაო. დედამ კითხვა არ იცოდა, სამაგიეროდ, ყოველთვის ინტერესით უსმენდა ზოგჯერ ქმრის, უფრო ხშირად კი მათი ასაკოვანი ნათესავის, კოჭლი აბრაამის, მიერ ქალებისა და ბავშვებისთვის ებრაული წმინდა წიგნებიდან წაკითხულ ამბებს. აბრაამი წამღერებით ჰყვებოდა, ისე, თითქოს წიგნში ვიღაც გოდებდა. კითხვას შებინდებულზე იწყებდა, სანთლების მქრქალ შუქზე, ამიტომ ამდენი ამბისგან საღამოობით სახლში სოფლელი კაბალისტების მუდმივი თანამგზავრი, სევდა ისადგურებდა. სოფლელი კაბალისტები მაშინ მრავლად იყვნენ და ამ სევდასაც ისე ეჩვეოდა ადამიანი, როგორც ზოგიერთები არაყს. სულ ბოლოს კი ისეთი მელანქოლია ეუფლებოდათ, რომ შეხვედრას რომელიმე მათგანი აუცილებლად მოთქმით ამთავრებდა. ამ დროს იენთას უნდოდა, რამე ხელჩასაჭიდი ეპოვა აბრაამის მონათხრობში, მაგრამ ამაოდ. ეს ცარიელი, არაფრისმთქმელი სიტყვები სასოწარკვეთაში აგდებდა. გარშემო სიბნელე, სიცივე და ნესტი გამეფებულიყო, ზაფხულობით კი თვალსაწიერზე მხოლოდ მტვერი, გადაფშრუკული ბალახი და ქვები მოჩანდა. სად, სად იყო იმ წიგნებში ამოკითხული სამყარო, იქაური ცხოვრება, სამოთხე? რა გზით შეიძლებოდა, ამ სამყაროში მოხვედრა?

პატარა იენთას ეჩვენებოდა, რომ ასეთი საღამოები თანდათანობით რაღაცნაირად ბლანტდებოდა, მუქდებოდა და გაუმჭვირვალი ხდებოდა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კოჭლი აბრაამი წყნარი, რბილი ხმით მოყოლას იწყებდა:

— ჰოდა, ისიც ცნობილია, რომ სამყარო ადამიანთა ცოდვებიდან წარმოქმნილი ურჩხულებითა და ავი სულებითაა სავსე. ზოჰარის წიგნში გარკვევით წერია, რომ ისინი ჩვენს გარემომცველ სივრცეში ბინადრობენ. ღვთის სახლისკენ მიმავალი ადამიანი ძალიან უნდა გაფრთხილდეს, რომ უკან არ აედევნონ. თუნდაც ამიტომაა საჭირო, იცოდე, თუ რა წერია ზოჰარში, იქ კი, სახელდობრ, ის წერია, რომ საფრთხე მარცხენა მხრიდან გემუქრება, რადგან მეზუზა მარჯვენა მხარეს არის მიჭედებული, მეზუზაზე კი ღვთის სახელი წერია: შადდაი, რომელიც მავნეს ამარცხებს. სწორედ ეს შინაარსი დევს წარწერაში მეზუზაზე: „მოვა შადდაი და შენს ზღურბლს დაიცავს“.

→

ოლგა ტოკარჩუკი

იენთას ამბავი

დასასრული

მსმენელები თავს უქნევენ. მარცხენა მხარე როგორ არ ვიცითო.

ეს იენთამაც კარგად უწყოდა: „ჰაერი თვალებით არის სავსე, — ეჩურჩულებოდა დედა ჩაცმის დროს და თან ისე ეჯაჯგურებოდა, გეგონება, ჭინჭის თოჯინა ყოფილიყო, — გამუდმებით გითვალთვალებენ. კითხვას დასვამ თუ არა, სულები მაშინვე გიპასუხებენ. მთავარია, კითხვის სწორად დასმა შეგეძლოს, პასუხებს ყველგან იპოვი: დაღვრილ რძეში, რომელმაც ასო სამეხის ფორმა მიიღო, ცხენის ფლოქვის ანაბეჭდში, რომელიც ასო შინს ჰგავს. დააკვირდი და მოაგროვე ასოები, რომელთაგანაც სულ მალე მთელი წინადადების ამოკითხვას შეძლებ. ადამიანების დაწერილი წიგნების კითხვაში რა ყრია, როცა მთელი სამყარო ღვთის მიერ დაწერილი ერთი დიდი წიგნია. თუნდაც აყალო მიწის ბილიკი ავიღოთ, რომელსაც მდინარესთან მიჰყავხარ. კარგად დააკვირდი მას. ასევე ბატის ბუმბულს, ხის ჭიგოების გამხმარ ქერქს ღობეში, დაბზარულ თიხას სახლის კედლებზე. კითხვა იცი და წაიკითხე, იენთა!“

იენთას დედის ეშინოდა, რაც სულაც არ იყო გასაკვირი. ერთი წამით წარმოიდგინეთ, ციცქნა, უსუსური გოგო როგორ დგას გამხდარი, მომცრო ტანის ქალის წინ, რომელიც გაუთავებლად რაღაცას ბუტბუტებს და თან სულ გამწყრალი და გაავებულია. თანასოფლელები ზურგს უკან პირცეცხლიანს ეძახიან. გუნება-განწყობილება ისე მალ-მალე ეცვლებოდა, რომ იენთამ არასდროს იცოდა, კალთაში რომ ჩაისვამდა, დედა ჩაიხუტებდა და აკოცებდა თუ მკლავებში მტკივნეულად ჩააფრინდებოდა და ჭინჭის თოჯინასავით შეაჯანჯღარებდა. ამიტომ გაცლას ამჯობინებდა. უთვალთვალებდა, როგორ ალაგებდა გალეული ხელებით მისთვის სკივრში თავისი მზითვის ნარჩენებს. სილეზიელი ებრაელების შეძლებული ოჯახიდან იყო, მაგრამ იმ ქონებიდან აღარაფერი დარჩენოდა. ღამ-ღამობით იენთას მშობლების საწოლიდან კვნესა ესმოდა და ფიქრობდა, რომ მამა ამ დროს, ისე, რომ ოჯახის სხვა წევრებს ეს არ გაეგოთ, დედაში ჩაბუდებული დიბუკის გამოდევნას ცდილობდა. დედა თავიდან თითქოს წინააღმდეგობას უწევდა, მერე კი ერთს ღრმად ჩაისუნთქავდა, თითქოს ყინულივით ცივ წყალში აპირებს ჩაყვინთვას, სადაც ბოროტი ვეღარ მიაგნებდა.

ერთხელ, დიდი გაჭირვება რომ იყო, შემთხვევით წაასწრო, ლოყებჩაცვენილი დედა, რომელსაც თვალები ისეთი ჩაშავებული ჰქონდა, რომ გუგებიც კი აღარ უჩანდა, მოკრუნჩხული თითებით ჩუმ-ჩუმად როგორ ჭამდა ოჯახისთვის გადანახულ საჭმლის მარაგს.

იენთა შვიდი წლის რომ გახდა, დედა მორიგ მშობიარობას გადაჰყვა. ორივენი დაიღუპნენ — მელოგინეც და ჩვილიც, რომელსაც დედის საშოდან თავის დასაღწევად ძალა არ ეყო. იენთამ ეს დიბუკს დააბრალა. მისი აზრით, ის დედას მაშინ დაეუფლა, როცა გადანახულ საჭმელს იპარავდა, მამამ კი, იმ ღამეული ჭიდილების დროს, მისი განდევნა ვერ შეძლო. დიბუკმა დედის მუცელში დაიდო ბინა და გარეთ გამოსვლა აღარ მოისურვა. სიკვდილი კი ქალს სასჯელად მოევლინა. სასიკვდილო მშობიარობამდე რამდენიმე დღით ადრე, მთლიანად დასიებულმა დედამ, რომელიც გიჟის თვალებით იყურებოდა, გამთენიისას წამწამებზე მოქაჩვით გააღვიძა იენთა და უთხრა: „ადექი, მესია მოგვევლინა, უკვე სამბორშია“.

მაიერი, რომელსაც ცოლის სიკვდილის შემდეგ რაღაც გაუცნობიერებელი დანაშაულის შეგრძნება მოსვენებას არ აძლევდა, თვითონ უვლიდა გოგონას. კარგად არც იცოდა, ბავშვისთვის რა საქმე უნდა გამოენახა, ამიტომ, როცა წიგნებს ჩაჰკირკიტებდა, იენთაც მუდამ მამასთან იყო და მის წაკითხულს თვალს ადევნებდა.

— ეს ხსნა როგორ მოხდება? — იკითხა ერთხელ მამის გვერდით მჯდომმა იენთამ.

მოულოდნელად რეალობაში დაბრუნებული მაიერი წამოდგა და ბეჭებით ღუმელს მიეყრდნო.

— ძალიან მარტივად, — მიუგო, — როგორც კი ღვთიური სინათლის ბოლო ნაპერწკალი თავის საწყისს დაუბრუნდება, მესიაც მოგვევლინება. ყველა აქამდე არსებული წესი და კანონი გაუქმდება. ქაშერად და არაქაშერად, წმინდად და უწმინდურად აღარაფერს დავყოფთ, აღარც დღესა და ღამეს განვასხვავებთ და ქალსა და მამაკაცს შორის სხვაობაც სრულიად გაქრება. თორაში ასოები ისე გადაადგილდება, რომ ახალი თორა წარმოიშობა, სადაც ყველაფერი ახლებურად იქნება დაწერილი. ადამიანთა სხეულები სულებივით მსუბუქი გახდება, ხოლო მათში ახალი სულები ჩასახლდება, რომლებიც პირდაპირ კეთილი ღმერთის სამყოფლიდან ჩამოვლენ მიწაზე. მაშინ აღარც შიმშილი და წყურვილი შეგვაწუხებს, აღარც ძილი მოგვინდება, ნებისმიერი სურვილი კი ჰაერში კვამლივით გაიფანტება. ადამიანები არა სხეულების, არამედ წმინდა სახელების ერთმანეთთან შეერთებით გამრავლდებიან. თალმუდი საბოლოოდ ისეთი უსარგებლო გახდება, რომ ყველასგან დავიწყებული, მტვრით დაიფარება. შეხინადან კი წამოვა ბრწყინვალება და ყველაფერს ნათელი მოიცავს.

ამის მერე მაიერი საჭიროდ თვლის, იენთას კიდევ ერთი უმთავრესი რამეც შეახსენოს:

— გულსა და ენას შორის დიდი უფსკრულია, ამას ნურასდროს დაივიწყებ. შენი ფიქრების დამალვა უნდა შეგეძლოს, ყველაზე უფრო კი იმის გამო, რომ შენდა საუბედუროდ, ქალად გაჩნდი. ისე იფიქრე, ვერავინ იფიქროს, რომ ფიქრობ. ისე მოიქეცი, რომ სხვებს თავგზა აუბნიო. ყველა ასე უნდა მოვიქცეთ, ქალები — მით უფრო. თალმუდის მიმდევრებმა იციან ქალის ძალა და ეშინიათ მისი, ამიტომ პატარა გოგონებს ყურებს უხვრეტენ, რომ დაასუსტონ. განდგომილებს კი ქალისა არ გვეშინია. ჩვენ ამას არ ვაკეთებთ, რადგან ჩვენ თვითონ ვართ ქალებივით. ვფრთხილობთ, ვიმალებით, ბრიყვებივით ვიქცევით, სხვა ადამიანებად მოგვაქვს თავი, სინამდვილეში კი სხვანი ვართ. მარტო, როცა სახლებში ვბრუნდებით, მაშინ ვიხსნით ნიღბებს. დუმილი მძიმე ტვირთად გვაწევს.

ჰოდა, ამიტომაც იცის ახლა კოროლუვკის შეშის ფარდულში მწოლიარე, ნიკაპამდე საბანნაფარებულმა იენთამ, რომ ყველა გააცურა.

თარგმნა კატია ვოლტერსმა



ალბანელი პოეტი, ნოველისტი, ესეისტი და მთარგმნელი ენტელა კასი ალბანეთის პენკლუბის პრეზიდენტი და მშვიდობის ელჩი, ასევე, საერთაშორისო პენ-ის კომისიის წევრია. მიღებული აქვს ეროვნული და მრავალი საერთაშორისო პრემია მხატვრულ ლიტერატურასა და თარგმანში. მისი ნაწარმოებები თარგმნილია მაკედონიურ, სერბულ, თურქულ, ბულგარულ, იტალიურ, ფრანგულ , ინგლისურ და სხვა ენებზე. არის „Universum Dona“-ს და ლუგანოს მშვიდობის საერთაშორისო ინსტიტუტის საპატიო აკადემიკოსი.

ენტელა კასი

* * *

კვალი გაქცევის, დაბრუნების დრო მიწაზე,
რომელიც უნდა ყოფილიყო
სახლი შენი,
მაგრამ შენ ხომ მუდამ თავშესაფარი გერქვა,
...ბურუსში გახვეული, ზვავ-წაღებული, დამეწყრილი...

მთა ჩამივარდა თვალში.

ადამიანი შეიქმნა წვეთი წყლისგან,
ხოლო სამყარო განიწმინდა ცეცხლის ენებით.
ერები
ერთმანეთის მიყოლებით იფერფლებიან,
და იშლება საზღვრები, ქრება ენები.
ამბობენ, ეს მინაა, სადაც ერთ დროს ხეები დარგეს,
ამბობენ, რომ
მდინარე არის მამა — წყარო სიცოცხლის,
ვიდრე ვინმე სულს არ ჩაგბერს,
ვიდრე არ მიხვდები, რომ მსოფლიო სახლია შენი,
ვიდრე სოფლის კიდეზეც
თავს არ იგრძნობ საკუთარ სახლში,
ვიდრე მამა მდინარე არ გახდები,
იქნები ასე...
კვალი გაქცევის, დროის ბილიკი,
საზღვრებს, ქვეყნებს, ენათა შორის,
და როს სინათლე თვალთ ჩადგება,
უმზერ სამყაროს,
სიცოცხლესავით ტკბილსა და მწარეს,
მაშინ მენორას ჩართე ნათელი
და იმღერე:
„მამღერე შენთან, მითხარი რამე, მშვიდობა შენდა!“.
ბედნიერებას მოთმინების ჰქონია გემო,
სიყვარული,
ურომლისოდაც ცოდონი ვართ,
ვართ უბედურნი...

როცა მიდიხარ

როცა ადიხარ მთაზე
კალმით ხელში,
ბაბუაჩემის ძველ ალბანურზე უმღერ სიყვარულს,
ნანგრევებიდან მოდის ნათელი...
დღეს კი სხვა დროა,
დღეს ის დროა, როცა
ღრუბლებსაც ბინდები აკრავთ,
ხოლო ტალღების ხმის გასაგონად,
ფრთამოტეხილი ვეწვევი ტაძარს.
მეწამულ თასში დალექილი სიბრძნე მინდა ამოვიკითხო,
კლდეზე ნაკვეთი შენი სიტყვა.
როცა ავდივარ მთაზე,
იქ ველოდები სხვათა დროთა ქარების ქროლვას,
იქ, საიდანაც თვალწარმტაცი არის სინათლე.

თარგმნა მანანა დუმბაძემ

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტი **თამარ ჟურული**

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
9 772346 794004